აფხაზეთში კრიმინალური სიტუაცია კრიტიკულ ზღვარზეა A2

ფინანსთა სამინისტრო ინფორმაციას აყალბებს A4

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 15 მაისი, 2003 წელი. №131 (343)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი შვედეთში

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეაში, მწვავედ დასვამს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის არაკონსტრუქციული როლის საკითხს.

A2

## ეკონომიკა

### სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტო 64 ვაკანსიაზე კონკურსს აცხადებს

თავისი არსებობის ათი წლის მანძილზე, ქონების მართვის სამინისტროსთან მრავალი მსხვილი და სკანდალური გარიგებაა დაკავშირებული...

A4

## უცხოეთი

### ალ-ქაიდა დაბრუნდა

12 მაისს, საუდის არაბეთის დედაქალაქში მომხდარმა მასშტაბურმა ტერაქტმა საერთაშორისო თანამეგობრობის, პირველ რიგში კი, აშშ-ს შეშფოთება გამოიწვია.

A5

## საზოგადოება

### ნაგვის მანქანამ მცხეთელებს „სულზე მიუსწრო"

ამიერიდან, ქართულ პოლიტიკურ ელიტას რაიონების დასუფთავება აღარ მოუწევს. ამ პრობლემის გადასაჭრელად ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახური იზრუნებს. გუშინ, არასამთავრობო ორგანიზაცია "ურბანულმა ინსტიტუტმა", ქალაქ მცხეთის მოსახლეობას ახალთახალი სანაგვე მანქანა გადასცა.

A6

## სამართალი

### ხელისუფლება არჩევნების წინ არასამთავრობოებთან ბრძოლას იწყებს

არჩევნები მოახლოვდა. ხელისუფლება, რომელსაც არჩევნებზე ზემოქმედების ბერკეტები ისედაც გააჩნია, მისთვის სასურველი შედეგის უზრუნველსაყოფად უსაფრთხოების დამატებით ზომებს იღებს. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს საქართველოს არასამთავრობო სექტორის დიდი ნაწილი.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 24 | |
| ქუთაისი | 28 | |
| ბათუმი | 24 | |
| სოხუმი | 27 | |
| ფოთი | 27 | |
| თელავი | 23 | |
| ზუგდიდი | 30 | |
| გორი | 22 | |
| ახმეტა | 23 | |
| ჭიათურა | 25 | |
| გაგრა | 26 | |
| სამტრედია | 27 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.4390 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4353 |
| რუბლი | 0.0693 |

# ჯორჯ რობერტსონი: არჩევნები თავის ტკივილია, მაგრამ ეს არჩევნების ჩაუტარებლობას მაინც სჯობს

თამარ ხორბალაძე



მობრძანდით საქართველოში.

გუშინ საქართველოში ვიზიტით ჩამოვიდა ნატო-ს გენერალური მდივანი.

მიუხედავად იმისა, რომ ჯორჯ რობერტსონმა, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების კონკრეტულ პერსპექტივაზე და ვადებზე საუბარი არ ისურვა, თქვა, რომ **"როცა კვერცხის ნაჭუჭზე დადიხარ, ხტუნვა-ხტუნვით არ უნდა იარო".** ნატო-ს გენერალური მდივნის ვიზიტი ნამდვილად არ გახლავთ რიგითი მოვლენა, მით უმეტეს - საქართველოში, რომელიც, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ კიდევ ერთხელ განაცხადა, **"კვლავ ადასტურებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისკენ სწრაფვას".**

გუშინ ნატო-ს გენერალურ მდივანს ძალზე დატვირთული დღე ჰქონდა: საქართველოს პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, პარლამენტის ბიუროს წევრები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – ჯორჯ რობერტსონმა შეხვედრები ამ თანმიმდევრობით გამართა.

ედუარდ შევარდნაძესთან საუბრის შემდეგ კი, საქართველოს პრეზიდენტი და ნატო-ს გენერალური მდივანი პრესას შეხვდნენ.

ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა გაახმოვანა ნატო-ს გადაწყვეტილება კავკასიაში პროგრამის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" განსახორციელებლად საკოორდინაციო უჯრედის ჩამოყალიბების თაობაზე, ცენტრით თბილისში, რომელიც რეგიონის სხვა ქვეყნებსაც გააკონტროლებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ოსები შერეული კომისიის სხდომებს ეჭვის თვალით უყურებენ

ვასილ გულეური
გორიდან

*ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის 27-ე სხდომა, პირველად გაიმართა გორში. სხდომაზე, რომელიც სამ დღეს გაგრძელდება, ძირითადად ეკონომიკური პრობლემების მოგვარების და სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ.*

გარდა ქართული, ოსური და რუსული მხარეებისა, სხდომას ესწრებოდნენ ეუთო-ს, გაერო-ს და ევროკომისიის წარმომადგენლები. შეხვედრის დასაწყისშივე ქართული და ოსური მხარეების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შერეული საკონტროლო კომისია სხდომათა ჩატარების სიმრავლით უფრო გამოირჩევა, ვიდრე მიღწეული შედეგებით. ამის მიუხედავად, ორივე მხარე იმედს გამოთქვამდა, რომ ეს წელი ნდობის აღდგენის წელი იქნება და თუ მოხერხდება ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, მნიშვნელოვნად გაადვილდება შეთანხმებების მიღწევა სხვა საკითხებშიც.

პარლამენტარმა ვახტანგ რჩეულიშვილმა სხდომის დასაწყისშივე აღნიშნა, რომ ახლახან დაბრუნდა წმინდა მიწიდან და კომისიის ოსური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს ბორის ჩოჩიევს იერუსალიმის პატრიარქის საჩუქარი, წმინდა გიორგის ხატი გადასცა.

ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა ჟან მიშელ ლაკომბმა აღნიშნა, რომ კონფლიქტის დარეგულირებისათვის საჭიროა მოხდეს ყველა საკითხის

გაგრძელება A2 გვერდზე

# "აზოტის" მუშა-მოსამსახურეებს სამსახურის დაკარგვა ემუქრებათ

მაია მოსიაშვილი
მაია ურუშაძე

გუშინ "აზოტს" "იტერას" ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ სობოლევი ეწვია. რუსთავში ეს ვიზიტი ახლად შეძენილ საწარმოში თანამშრომელთა მოსალოდნელ შემცირებებს დაუკავშირეს. საკადრო ცვლილებებზე სობოლევმა პრესისთვის კომენტარი არ გააკეთა და განაცხადა, რომ ყველაფერი 16 მაისს, ხვალ, აქციონერთა დაგეგმილ კრებაზე გაირკვევა. თუმცა, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ეს ცვლილებები მოსალოდნელია. ხვალ საწარმოს ახალ სამეთვალყურეო საბჭოს აირჩევენ, რომელიც, შემდგომ, ახალ გენერალურ დირექტორს დანიშნავს. არაოფიციალური ინფორმაციით, "აზოტის" რეაბილიტაციის ახალმა მმართველმა გიორგი გოგოლაძემ, შესაძლოა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის სავარძელი დაიკავოს. **"თუ გოგოლაძეს გაათავისუფლებენ, კანდიდატურა მის ნაცვლად უკვე არსებობს. მისი ვინაობა აქციონერებმა უნდა დაასახელონ, რადგან საკადრო პოლიტიკას მთლიანად ისინი წარმართავენ,"** - ასეთი კომენტარი გააკეთა გუშინ "აზოტის" რეაბილიტაციის ახალმა მმართველმა ანატოლი შჩოგოლევმა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# კოლინ პაუელის ვიზიტი მოსკოვში

საუდის არაბეთში ვიზიტის დასრულების შემდეგ, რომელიც სახელმწიფო მდივნისათვის, შეიძლება, ყველაზე ტრაგიკულ მოგზაურობად ჩაითვალოს, კოლინ პაუელი მოსკოვს ეწვია. რუსეთის დედაქალაქში იგი პრეზიდენტთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრებს გამართავს.

პაუელის ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, სავარაუდოდ, რუსეთში პრეზიდენტ ბუშის ვიზიტის მომზადება იქნება, რომელიც ივნისის დასაწყისში უნდა გაიმართოს. ამერიკელმა დიპლომატებმა, რომელთაც დაინახეს, როგორ გაუმასპინძლდა პუტინი დიდი ბრიტანეთის პრემიერ ტონი ბლერს, როგორც ჩანს, საჭიროდ ჩათვალეს, სიფრთხილე გამოეჩინათ და თავიანთი პრეზიდენტი პუტინის შესაძლო გამოხტომისაგან დაეცვათ.

ვიზიტის დასაწყისშივე რუსეთის დუმამ, თავისი აზრით, "მეგობრული ჟესტი" გააკეთა და სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. ეს დუმას რამდენიმე ხნით ადრე უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ერაყის ომის დაწყების გამო, პროტესტის ნიშნად, გადადო. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, ამერიკელებმა ეს მეგობრობის ნიშნად მიიღონ, რადგან ასეთი ხელშეკრულების გაფორმებას, თავის დროზე, სწორედ რუსეთი მოითხოვდა დაჟინებით.

გაგრძელება A5 გვერდზე

# მამალაძის და "დემოკრატების" დაპირისპირებას პროკურატურა განიხილავს

მერაბ მეტრეველი

ნუგზარ გაბრიჩიძეს ახალი თავსატეხი გაუჩნდა. ლევან მამალაძის და "დემოკრატების" დაპირისპირებამ, ბოლო რამდენიმე კვირაა, ტელეეკრანებიდან პროკურატურაში გადაინაცვლა. ახლა ისინი, სწორედ, გაბრიჩიძემ უნდა განსაჯოს. უკან დახევას არც ერთი არ აპირებს. დღეს გენერალური პროკურორი მაჭავარიანის ახალ მიმართვას მიიღებს, სადაც ექსმინისტრი საქმის ბოლომდე მიყვანას ითხოვს. **"გთხოვთ, სერიოზულად მოეკიდოთ პიროვნების შეურაცხყოფას. მე სარჩელი ხმაურის ასატეხად არ ამიძრავს, მე არ მივიღებ შეურაცხყოფას ისეთი ჩინოვნიკისგან, როგორიცაა ლ. მამალაძე.**

**მოვითხოვ, დააჩქაროთ გამოძიება და აიძულოთ ლ. მამალაძე, ან დაასაბუთოს საკუთარი ცილისწამებები, ან პროკურატურამ ოფიციალურად გვამცნოს, რომ ფაქტები არ დადასტურდა, და რომ მამალაძემ პროკურატურას ცრუ ჩვენება მისცა.**

**თქვენ კი გეძლევათ საშუალება, ერთი პრეცედენტი მაინც დაუშვათ, რომ დასაჯოთ კორუმპირებული ჩინოვნიკი და ფარდა ახადოთ დანაშაულს,"** – ამ სიტყვებს წაიკითხავს დღეს გაბრიჩიძე.

ყველაფერი კი მთავრობის იმ სხდომაზე დაიწყო, როცა მამალაძემ ჟვანიას გუნდს ოთხასი მილიონის გაფლანგვაში დასდო ბრალი. მამალაძის ასეთი ბრალდებები არ ახალია, მაგრამ, როგორც ჩანს, "დემოკრატებმა" ამ ყველაფრისთვის წერტილის დასმა გადაწყვიტეს. მაჭავარიანმა მაშინვე პროკურატურაში აფრინა სარჩელი და მამალაძის ბრალდებების გამოძიება მოითხოვა. რასაკვირველია, მამალაძის ცილისწამებისთვის დასჯის მოთხოვნაც იქვე იყო.

გაგრძელება A6 გვერდზე

# ვუდროფის საქმე

ათი წლის წინათ საქართველოში, თბილისის მახლობლად, სიცოცხლეს გამოასალმეს ამერიკის მოქალაქე, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეცაგენტი ფრედ ვუდროფი - სახელმწიფო მეთაურის დაცვის უფროსის ელდარ გოგოლაძის მანქანაში მჯდომ ამერიკელს ტყვიამ თავის ქალა ახადა.

დანაშაულში ეჭვმიტანილები მკვლელობიდან რამდენიმე საათის შემდეგ თვით ელდარ გოგოლაძემ დააპატიმრა. ქართველმა სამართალდამცველებმა სამი დაკავებული ახალგაზრდიდან ერთ-ერთს – გვარდიელ ანზორ შარმაიძეს მკვლელობაში ბრალდების წარსადგენად საჭირო მტკიცებულებები სასწრაფოდ შეუგროვეს. სხვადასხვა საეჭვო ვერსიების განხილვაზე მათ დრო არ დაუკარგავთ.

სამაგიეროდ, ქართველების მიერ სარეკორდო ვადებში გამოძიებული საქმის საპირისპიროდ, ამერიკული სპეცსამსახურები ვუდროფის მკვლელობას ოთხი წლის მანძილზე იძიებდნენ და ბევრი ის მტკიცებულება, რომელიც ქართველებმა უეჭველად მიიჩნიეს, ამერიკელებისთვის ძნელად მისაღები აღმოჩნდა.

FBI-დან გაზეთ "24 საათისთვის" ექსკლუზიურად გამოგზავნილი, ოთხი წლის მანძილზე ჩატარებული გამოძიების მასალების ორტომეული - ფრედ ვუდროფის მკვლელობის ბევრ საინტერესო დეტალს ააშკარავებს.

გაგრძელება A3 გვერდზე




მანქანა, რომელიც პრეზიდენტის დაცვის სამსახურის უფროსს ეკუთვნოდა.

A2 ინფორმაცია A3 ექსკლუზივი A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# აფხაზეთში კრიმინალური სიტუაცია კრიტიკულ ზღვარზეა

*გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გუშინ მორიგი თავდასხმა მოხდა. დღის სამ საათზე აფხაზმა მესაზღვრეებმა და მილიციის თანამშრომლებმა საგუშაგოზე გააჩერეს ავტომანქანა, რომელსაც, წინასწარი მონაცემებით, აფხაზური მილიციის თანამშრომელი აკა ჩაბალუხა მართავდა. არსებული ვერსიით, საგუშაგოს მორიგე ჯგუფმა ავტომანქანის მგზავრებს ცეცხლი გაუხსნა. სროლის შედეგად, აფხაზი მილიციელი ადგილზე გარდაიცვალა.*

აფხაზეთის უშიშროების მინისტრის ლევან კიკნაძის განცხადებით, მომხდარის თაობაზე მათ სოხუმიდან ორი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია მიიღეს. **"ჯერ მივიღეთ შეტყობინება, რომ თავდასხმა "ბმვ"-ს მარკის მანქანაზე მოხდა, ხოლო მეორე ინფორმაციით კი, ცეცხლი გაუხსნეს მიკროავტობუსს. სხვა დეტალები ჩვენთვის უცნობია,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ლევან კიკნაძემ.

ერთ-ერთი ვერსიით, აფხაზი მილიციელი გატაცებული "ბმვ"-თი მოძრაობდა და იგი დადევნებულმა მანქანის მეპატრონეებმა მოკლეს. სხვა ვერსიით კი, ჩაბალუხა გაჩერების შესახებ მესაზღვრეთა მოთხოვნას არ დაემორჩილა და ცეცხლიც ამიტომ გაუხსნეს.

არის კიდევ ერთი ვერსიაც, რომლის მიხედვითაც, აფხაზმა მესაზღვრეებმა მიკროავტობუსი დაცხრილეს, რომელშიც მშვიდობიანი მოსახლეობა იმყოფებოდა.

ლევან კიკნაძის ინფორმაციით, მიკროავტობუსი საბერიოდან მოდიოდა. მან გაიარა ჭუბურხინჯის აფხაზური საგუშაგო და როცა საგუშაგოს 500 მეტრით გასცდა, აფხაზმა მესაზღვრეებმა მას ცეცხლი გაუხსნეს. მისივე განცხადებით, სროლის შედეგად მანქანის მძღოლი დაიღუპა, ხოლო სამი მგზავრი დაიჭრა. სამივე დაჭრილი მგზავრი აფხაზურმა მხარემ სოხუმის საავადმყოფოში გადაიყვანა.

**"მიკროავტობუსიდან სროლაზე სროლით არ უპასუხიათ. თუ რატომ გაუხსნეს ცეცხლი მიკროავტობუსს მესაზღვრეებმა, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. თუმცა, ჩემ ხელთ არსებული ბოლო დაუზუსტებელი ინფორმაციით, მესაზღვრეებმა მანქანა გაჩხრიკეს და მგზავრებს ხელყუმბარა აღმოუჩინეს, რასაც შეკამათება და შემდეგ ცეცხლის გახსნა მოჰყვა,"** – განაცხადა ლევან კიკნაძემ.

ერთი სიტყვით, გუშინ მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით, დაზუსტებით არაფერია ცნობილი და მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა თუ შეიძლება, მაგრამ აფხაზეთის უშიშროების მინისტრ ლევან კიკნაძეს დარწმუნებით შეუძლია იმის თქმა, რომ აფხაზეთში ბოლო პერიოდში კრიმინალური სიტუაცია საგრძნობლად დაიძაბა და ის პირდაპირ კავშირშია სოხუმში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან. **"მართალია, იქ დალაგებული სიტუაცია არასდროს ყოფილა, მაგრამ ბოლო პერიოდში კრიმინალური სიტუაცია აფხაზეთში საოცრად დაიძაბა, რაც დაკავშირებულია სოხუმში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან. იქ ახლა, პოლიტიკური თვალსაზრისით, დიდი არეულობაა, მიმდინარეობს თანამდებობების გადანაწილება და სიტუაცია, ფაქტობრივად, უმართავია,"** – აცხადებს ლევან კიკნაძე.

*"24 საათი"*

# საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი შვედეთში

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეაში მწვავედ დასვამს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის არაკონსტრუქციული როლის საკითხს.

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ სტოკჰოლმში, შვედეთის პარლამენტის (რიქსდაგის) თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში შვედეთის დელეგაციის ხელმძღვანელთან და ამ საერთაშორისო ორგანიზაციის აფხაზეთის საკითხებში დროებითი კომიტეტის თავმჯდომარესთან ტონი ტინგსგარდთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

შეხვედრაზე ბურჯანაძემ ხაზი გაუსვა, რომ გასულ წელს რუსეთის მხარის მიერ გამოთქმული დაპირებები დღემდე არ შესრულებულა, რაც აიძულებს საქართველოს, რუსი დეპუტატების მხრიდან წინააღმდეგობათა მიუხედავად, ეუთო-ს წევრი ქვეყნების ყურადღება აფხაზეთის საკითხს კიდევ ერთხელ მიაპყროს.

ამასთან, როგორც პარლამენტის თავმჯდომარესთან შვედეთის პარლამენტის საგარეო კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, საქართველო მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ ევროკავშირთან თანამშრომლობა ასოცირებული ურთიერთობების დონეზე აიყვანოს.

ნინო ბურჯანაძემ შვედ კოლეგებს პარლამენტში საქართველოსთან მეგობრობის სპეციალური ჯგუფის შექმნა სთხოვა, რომელიც მუდმივად იქნება საქართველოში მიმდინარე პროცესების კურსში.

ვიზიტის ბოლო დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შვედეთის პრემიერ-მინისტრთან მოლაპარაკებები გამართა. პრემიერ-მინისტრთან საუბრისას ნინო ბურჯანაძემ გამოხატა საქართველოს დაინტერესება ევრაზიული დერეფნის "პერპენდიკულარული" დერეფნის შექმნით. საინტერესოა, რომ შვედეთიდან ბალტიისპირეთის გავლით შავი ზღვის ქვეყნებთან, შემდეგ კი - კასპიის ქვეყნებთან დაკავშირების იდეა პირველად ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლებმა გამოთქვეს. შვედეთის ხელისუფლებაშიც ამ ინიციატივამ საკმაოდ სერიოზული გამოხმაურება ჰპოვა.

ვიზიტის დასასრულ ნინო ბურჯანაძე შვედეთის მეფეს კარლ გუსტავსაც შეხვდა, რომელთანაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

*"24 საათი"*

# "მაოკი" ერთადერთ გამოსავალს არჩევნების გადადებაში ხედავს

*მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები, როგორც ჩანს, ყველას ანერვიულებს. მიუკერძოებელ არასამთავრობო ორგანიზაციათა კავშირის (მაოკის) წევრები ამ საკითხზე იმდენად ღელავენ და იმდენად მუქ ფერებში ხედავენ ყველაფერს, რომ ისინი ერთადერთ გამოსავალს არჩევნების ერთი წლით გადავადებაში ხედავენ. "მაოკის" წევრებმა გუშინ საზოგადოებას გააცნეს წერილი, რომელსაც ისინი საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და სახელმწიფო მინისტრს უგზავნიან.*

ბელა მახარაძე

"მაოკელების" წერილში, ძირითადად, განხილულია, თუ რატომ უნდა გადაიდოს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. მათ მიაჩნიათ, რომ დღეს არსებული ძალები, ვერც სახელისუფლებო და ვერც ოპოზიციური, ორ ნოემბრამდე ვერ მოასწრებენ საარჩევნო კანონის მიღებას, ცივილიზებული წინასაარჩევნო ატმოსფეროს შექმნას და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებას.

"მაოკელები" ფიქრობენ, რომ ცესკო არანაირი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ არ უნდა დაკომპლექტდეს. მათ ეს უფრო დიდ შეურაცხყოფად მიაჩნიათ, ვიდრე ამომრჩევლის მარკირება. ისინი საარჩევნო პროცესის მთავარ სუბიექტებს მოუწოდებენ, "**ხელი აიღონ არჩევნების შედეგების თავადვე დამტკიცების სწრაფვაზე და ეს არაპოლიტიზირებულ, მაღალრეიტინგიან არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ავტორიტეტულ, შეუბღალავი რეპუტაციის მქონე მოღვაწეებს მიანდონ, რომელთაგანაც საარჩევნო კომისიები უნდა დაკომპლექტდეს"**.

"მაოკელები" აპროტესტებენ იმასაც, რომ არჩევნების შედეგებს ცენტრალური საარჩევნო კომისია ამტკიცებს და ისინი ნდობას უზენაეს ან საკონსტიტუციო სასამართლოებს უცხადებენ. მათ გაღიზიანებას იწვევს ოპოზიციაც: "**სჯობს ოპოზიციამ ხელი მოაწეროს მემორანდუმს, საარჩევნო პროცესში ორმაგი ბუღალტერიის არდაშვებისა და უცხოური კაპიტალის მიერ ქართული პოლიტიკური ძალების დაფინანსების დაუშვებლობის შესახებ"**.

ერთი წლის შემდეგ, მათ იმედი აქვთ, საქართველოში გამოჩნდებიან ისეთი ძალები, რომელსაც ხალხი ენდობა და ეს ძალები არ იქნებიან "გასვრილი" სხვადასხვა მაქინაციებში, ასეთ ძალებად "მაოკელები" არასამთავრობო ორგანიზაციებს მიიჩნევენ, რომლებიც ქვეყნის გადარჩენაში მონაწილეობის მიღებას "სუფთა ხელებით" აპირებენ.

## "ახლებმა" პოლიტიკურ შეთანხმებაზე ხელმოწერა "აღორძინებას" შესთავაზეს

"ახალმა მემარჯვენეებმა" პოლიტიკურ შეთანხმებაზე ხელმოწერა შესთავაზა "დემოკრატიული აღორძინების კავშირს" და დოკუმენტის პროექტიც გაუგზავნა, თუმცა, "ჯერჯერობით "აღორძინებიდან" არანაირი რეაქცია არ ყოფილა", - იუწყება "ახალი მემარჯვენეების" გენერალური მდივანი დავით საგანელიძე.

"ახლები" აღნიშნულ თემაზე სასაუბროდ შეხვდებიან "ტრადიციონალისტთა კავშირის" ლიდერს, დეპუტატ აკაკი ასათიანს, რომელიც ამჟამად საქართველოში არ იმყოფება.

საგანელიძის თქმით, ხელმოწერის საკითხზე მოლაპარაკებები უკვე შედგა ერთ-ერთი ზვიადისტური დაჯგუფების - "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის" ხელმძღვანელ გურამ აბსანძესთან. "ახლების" გენერალური მდივნის თქმით, "მემარჯვენეები" მზად არიან ყველა ნამდვილ ოპოზიციურ პარტიასთან ითანამშრომლონ. **პრაიმ-ნიუსი**

## ამომრჩეველთა სიების დასადგენად შსს აღწერას ატარებს

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო მთელი საქართველოს მასშტაბით ამომრჩეველთა სიების დასადგენად მოსახლეობის აღწერას ატარებს. პრეზიდენტის ამავე განკარგულების საფუძველზე, ფინანსთა სამინისტროს შსს-სათვის 180 ათასი ლარის გადარიცხვა დაევალა.

შს მინისტრის პირველი მოადგილის შოთა ასათიანის თქმით, ძირითადი სამუშაოები უკვე ჩატარებულია. აღწერა სამინისტრომ აქამდე საკუთარი სახსრებით განახორციელა, თუმცა ფინანსთა სამინისტროდან სათანადო თანხების გადმორიცხვის შემდეგ პროცესი უფრო დაჩქარდება, - განაცხადა ასათიანმა. **პრაიმ-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** ფრაქცია „ტრადიციონალისტი" ცესკო-ს და დანარჩენი საარჩევნო კომისიების ეუთო-ს წარმომადგენლებით დაკომპლექტებას მხარს უჭერს და მიიჩნევს, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ ვადაში ამ მექანიზმის შექმნა-ამოქმედება შესაძლებელია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბორჯომი.** ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობაში გავრცელებული ქერქიჭამიები გააქტიურების ფაზაში იმყოფებიან. მათ მოსასპობად შეძენილი პრეპარატების - ფერომონების დამონტაჟება კი უსახსრობის გამო ვერ ხერხდება. ამის შესახებ სატყეო დეპარტამენტის ტყის დაცვის სამმართველოს უფროსმა, რომან მამალაძემ განაცხადა.

გასულ წელს ქართველმა ბიზნესმენმა, ბიძინა ივანიშვილმა ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობისთვის 6 000 ცალი ფერომონი შეიძინა. ფერომონების ტყეებში განსათავსებლად, დაახლოებით, 80 ათასი ლარია საჭირო, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კი მხოლოდ 10 ათასი ლარის გამოყოფა მოხერხდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამაჩაბლოს და აფხაზეთის ომის ვეტერანთა ერთი ნაწილი თბილისის მთავრობას უპირისპირდება და მისგან მუნიციპალურ ბიუჯეტში საკრებულოს მიერ ჩადებული ვეტერანთა რეაბილიტაციის და დასაქმების ფონდის პროგრამის აღსრულებას მოითხოვს. "თეთრი გიორგის" ყოფილი ბატალიონის და "წმინდა გიორგის" სახელობის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ყოფილ "მხედრიონელებთან" და ყოფილ "გვარდიელებთან" ერთად მერიის შენობის წინ გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია გამართეს. **ინტერ-პრესი**

# ოსები შერეული კომისიის სხდომებს ეჭვის თვალით უყურებენ

პირველი გვერდიდან

ბალანსირება - ეკონომიკური პრობლემები, დევნილთა დაბრუნება, დანაშაულის აღმოფხვრა და ა. შ. პრობლემათა მოგვარებაში მნიშვნელოვანია შერეული სამშვიდობო ძალების როლი. მან მწუხარება გამოთქვა თამარაშენში მომხდარი მკვლელობის გამო და ორივე მხარის სამართალდამცავებს თანამშრომლობისკენ მოუწოდა.

თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგანგებო საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა, რომელიც კომისიაში ოსურ მხარეს ხელმძღვანელობს, საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ ქართული მხარე ძალიან ცოტას აკეთებს ადრე მიღწეული შეთანხმებების შესასრულებლად, განსაკუთრებით - სამართალდამცავი ორგანოების კოორდინირებული მუშაობის მხრივ. **"ელჩი თანაგრძნობას უცხადებს მინდიაშვილების ოჯახს, მაგრამ ავიწყდება სამძიმარი გამოუცხადოს ჯიოევის ოჯახს, რომელიც ქურთაში მოკლეს. ასეთი წვრილმანები ხელს უშლის ნდობის დამყარებას,"** - ნაწყენმა განაცხადა მან და უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ოსური მხარე არ არის ჩართული მინდიაშვილების მკვლელობის გამოძიებაში.

სხდომის პირველ დღეს ყურადღება გამახვილდა საბაჟოზე წესრიგის დასამყარებლად ახალი საკონტროლო მექანიზმების შექმნაზე, რადგან კონტრაბანდული ტვირთის დიდი რაოდენობა საქართველოში რუსეთიდან სწორედ სამხრეთ ოსეთის მხრიდან შემოდის. როგორც ვახტანგ რჩეულიშვილმა განაცხადა, ევროკომისიამ 1999 წელს



*ვახტანგ რჩეულიშვილმა ბორის ჩოჩიევს წმინდა გიორგის ხატი გადასცა.*

გამოყო 2,5 მილიონი დოლარი, რომელიც ჯერ არ არის ათვისებული. **"ერთ-ერთი პროექტი ითვალისწინებს რუსეთის საზღვრიდან გორის რეგიონამდე ტვირთების გაკონტროლებას. უნდა ჩამოყალიბდეს საკონტროლო პუნქტი ან რუსეთის საზღვართან, ან - მოძრავი. თუკი ასეთი გაკეთდა, ეს იქნება ადგილობრივი მაკონტროლებელი ორგანოს და საბაჟოს შეცვლა სხვა მექანიზმით, რომელზეც ესენი ვერ წამოვლენ,** - აღნიშნა მან, - **თუმცა არსებობს გამოსავალი. ეს იქნება მხოლოდ დაკვირვების, მონიტორინგის პუნქტები. უფლებამოსილების გამიჯვნა ადგილობრივ სამსახურებსა და ამ საკონტროლო ჯგუფებს შორის შესაძლებელია. მე მგონი, გადაწყვეტილების ძირითად ნაწილს ჩვენ მივიღებთ და შეთანხმებული იქნება მერე ორივე მხარის ხელმძღვანელობასთან. ჩვენ იმისათვის ჩამოვედით, რომ შევზღუდოთ კონტრაბანდა და აღვადგინოთ ერთობლივი მუშაობის ჩვევები."**

**"ნდობის აღსადგენად საჭიროა ავიღოთ ეკონომიკური მიმართულება, რადგან თუ არ ავაშენებთ სახლებს, თუ არ გამოვნახავთ სამუშაო ადგილებს, რომელ შედეგებზე შეიძლება ლაპარაკი,** - განაცხადა ჩვენთან საუბარში ბორის ჩოჩიევმა, - **ქართული მხარე, ჩემი აზრით, ძალზე პასიურია. ითქვა, რომ ეს დაკავშირებულია საქართველოში არსებულ სიტუაციასთან. მაშინ გვიჩნდება შეკითხვა - თუ საქართველოში მოსალოდნელი არჩევნების, რუსეთთან ურთიერთობის გამო არ არის ნაყოფიერი მუშაობის შესაძლებლობა, რატომ ვკვებავთ ერთმანეთს დაპირებებით? თუ შედეგი არ ექნება, არ გვინდა ასეთი სხდომები. ისედაც ბევრი ჩავატარეთ."**

**"დღევანდელ სხდომაზე წამყვანი თანამშრომლობის საკითხია,** - განაცხადა ინტერვიუში კონფლიქტის დარეგულირების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა ირაკლი მაჭავარიანმა, - **მაგრამ ოსურ მხარეს არ ეტყობა სურვილი. ან ჩემი კოლეგა უნდა მიხვდეს, რომ ასე ვერ გაგრძელდება და უნდა შეცვალოს თავისი მუშაობის სტილი, ან მისი ხელმძღვანელობა მიხვდება და მაშინ თვითონ მას შეცვლიან. ეგ უკვე მაგათი პრობლემაა, მაგრამ ამ გზით შედეგი არ მიიღწევა."**

შეცვლიან თუ არა მუშაობის სტილს მხარეები, ეს სხდომის დასასრულს გამოჩნდება. თუმცა, როგორც შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული დავით ქობლიანიძე ამბობს, ის, რომ შეხვედრა გორში გაიმართა, რაც მისი უშუალო ძალისხმევით მოხერხდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და დადებით შედეგს გამოიღებს.

# ჯორჯ რობერტსონი: არჩევნები თავის ტკივილია, მაგრამ ეს არჩევნების ჩაუტარებლობას მაინც სჯობს

პირველი გვერდიდან

ეს გახლდათ ერთ-ერთი მთავარი შედეგი ვიზიტისა, რომლის მიზნების შესახებ თავად ჯორჯ რობერტსონი გუშინ გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ წერილში წერდა.

ჯორჯ რობერტსონმა ისაუბრა ევროატლანტიკური გაერთიანებისთვის კავკასიის რეგიონის უდიდეს მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ საქართველო ნატო-ს სტრატეგიული პარტნიორია და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ ნატო-ს მიერ პროგრამის - "პარტნიორობა მშვიდობისათვის" - ახალი მიდგომების მიმართ საქართველომ მზადყოფნა გამოთქვა.

რობერტსონის აზრით, რუსეთი, როგორც პლანეტის ერთ მეშვიდედზე გადაჭიმული ქვეყანა, უდავოდ ახდენს გავლენას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. ამასთან, რუსეთი კავკასიის რეგიონის ერთ-ერთი ქვეყანაა, რაც ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებაზე ზემოქმედების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. **"თუმცა, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებაზე უშუალო და პირდაპირ გავლენას ვერ მოახდენს სიტუაცია კავკასიაში,"** - განაცხადა ჯორჯ რობერტსონმა, რითიც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ **"საქართველოს გაწევრიანება ნატო-ში მთლიანად საქართველოზეა დამოკიდებული..."**.

**"ინსტიტუციონალური ცვლილებები, დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება და სამხედრო რეფორმა,"** – ასეთი თანმიმდევრობით დაასახელა გენერალურმა მდივანმა ნატო-ს პრიორიტეტები საქართველოსთან დაკავშირებით. ეს მოხდა ცოტა მოგვიანებით, პარლამენტის ბიუროს წევრებთან გამართულ დახურულ შეხვედრაზე, საიდანაც ჟურნალისტებისთვის ინფორმაცია გიგი წერეთელმა და მაია ნადირაძემ "გამოიტანეს".

მანამდე კი, სპეციალურ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ გენერალურ მდივანთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით ნატო-ს შესაძლებლობებს; იმას, რომ დიდია რუსეთის როლი ამ პრობლემის გადაწყვეტის საქმეში; რეფორმების მიმდინარეობას; მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში შექმნილ მდგომარეობას...

სწორედ აღნიშნული საკითხები გახლდათ გუშინდელი ვიზიტის ფარგლებში გამართული ყველა შეხვედრის ძირითადი თემები, თუმცა ცხადია, რომ პარლამენტში განსაკუთრებული აქცენტი არჩევნებზე გაკეთდა.

გასაგებია, რომ არჩევნებთან პრობლემებია დაკავშირებული. არჩევნები თავის ტკივილია, მაგრამ ეს არჩევნების ჩაუტარებლობას მაინც სჯობს... – ქართველ პარლამენტართა თქმით, განუცხადებია მათთან შეხვედრაზე ნატო-ს გენერალურ მდივანს.

ვიზიტის დასასრულს ჯორჯ რობერტსონი ქართველ სტუდენტებს შეხვდა;

საღამოს კი სომხეთის დედაქალაქში გაემგზავრა.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ უკვე პარასკევს საქართველოს უშიშროების საბჭო ნატო-ში ინტეგრაციის პროგრამას განიხილავს.

# „კმარა„ შეტევისთვის ემზადება

ნანა ქადაგიშვილი

*"ქვას ერთი დარტყმით ვერ გახვრეტ, მაგრამ ინტენსიური დარტყმებით მოერევი", - განაცხადეს გუშინ იუსტიციის სამინისტროს წინ მოწყობილ აქციაზე "კმარასა" და "დედამიწა ჩვენი სახლიას" წევრებმა, რომელთაც ამ აქციით სამინისტროს აღმასრულებელ სამსახურებს მხოლოდ მსუბუქად დაარტყეს. თუმცა, ინტენსიური დარტყმებისთვისაც ემზადებიან.*

"კმარა სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობა და აღმასრულებელთა თავგასულობა" - მსგავსი შინაარსის ტრანსპარანტმომარჯვებული აქციის მონაწილენი იუსტიციის სამინისტროს წინ დიდ ხანს არ გაჩერებულან. "ჯერჯერობით ეს მხოლოდ გამაფრთხილებელი აქციაა. დროა აღიკვეთოს ის განუკითხაობა და უსამართლობა, რაც აღმასრულებელ ბიუროებში სუფევს. უკვე არა ერთმა მოქალაქემ მოგვმართა დახმარებისთვის. მათ სასამართლოს გადაწყვეტილება დიდი წვალების ფასად მოიპოვეს, მაგრამ სააღმსრულებლო ბიუროში მის აღსრულებას წლების განმავლობაში უშედეგოდ ელიან. ამ ხალხმა სასამართლოსა და აღმასრულებელთა ნდობა უკვე დაკარგა და პრობლემის გადასაწყვეტად კრიმინალებს მიმართავს. ასეთი უსამართლობის ფონზე კრიმინალების ავტორიტეტი გაიზრდება, რაც სასამართლოში ბაჟის გადასახადისა და, შესაბამისად, მოსამართლეების ხელფასების შემცირებას გამოიწვევს. ეს კი მათ კორუფციისკენ უფრო მეტად უბიძგებს. დღევანდელი აქციით აღმასრულებლებს საკუთარ



*"კმარა, თორემ!..."*

მოვალეობას შევახსენებთ, ხოლო თუ მათი მხრიდან რეაგირება არ მოჰყვა, სასამართლოში სარჩელს შევიტანთ. ჩვენ იურისტები ვართ და ბრძოლა არ გაგვიჭირდება", - განაცხადეს არასამთავრობო ორგანიზაცია "დედამიწა ჩვენი სახლიას" წევრებმა.

აქციის ორგანიზატორებს გვერდში აღმასრულებელი დეპარტამენტის მიერ დაზარალებული მოქალაქეებიც ედგნენ. ცენტრალური სამხედრო ჰოსპიტალის ყოფილ თანამშრომლებს 14 თვის ხელფასს არ აძლევენ. "სამსახურიდან 2000 წლის პირველ თებერვალს გაუფრთხილებლად გაგვათავისუფლეს, - მოხუცდით და თანაც სამხედროები არ ხართო. ჰოსპიტალის ხელმძღვანელობას ჩვენთვის 14 თვის ხელფასი აქვს მოსაცემი, მაგრამ 3 წელია ამაოდ ვიბრძვით. შარშან ისანი-სამგორის რაიონის სასამართლომ გადაწყვეტილება ჩვენს სასარგებლოდ გამოიტანა, მაგრამ სააღმსრულებლო დეპარტამენტი გადაწყვეტილებას არ ასრულებს. დეპარტამენტის ერთმა თანამშრომელმა, დავით ტაპატაძემ შემოგვთავაზა, - დაგეხმარებით, ოღონდ თქვენი ხელფასის 30 პროცენტი მომეცითო", - ჩიოდნენ კუთვნილი ხელფასის მოლოდინით გაწამებული მოქალაქეები.

ბიუჯეტში შესული ყველა კატეგორიის სააღმსრულებლო მოსაკრებლის 15 პროცენტი იუსტიციის სამინისტროს ერიცხება და აღმასრულებელი ბიუროს თანამშრომელთა მატერიალურ წახალისებას ხმარდება. ასე რომ, აღმასრულებელთა უმოქმედობას დაბალი ანაზღაურებით ვერ გავამართლებთ. თუმცა, მათ ჰოსპიტალის ყოფილი თანამშრომლებისთვის პასუხის გაცემა არ უჭირთ: თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის თანამშრომლებმა ხელფასი ცენტრალური ბიუჯეტიდან უნდა მიიღონ და თუკი ბიუჯეტში ფული არ არის, აღმასრულებელმა სამსახურმა რა ქნასო. დაზარალებული მოქალაქეები ასეთ პასუხს არ სჯერდებიან და სააღმსრულებლო დეპარტამენტის წინ შიმშილობის აქციით იმუქრებიან.

# "კმარას" აქციამ ფოთში ხელისუფლების მუქარის ფონზე ჩაიარა

ხათუნა ცომაია
ფოთიდან

14 მაისს ფოთის არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოძრაობა "კმარას" მხარდამჭერი აქცია გამართეს. აქციას ცხრა არასამთავრობო ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა.

არასამთავრობოებს მხარდაჭერა პოლიტიკური პარტიების ფოთის ორგანიზაციების ლიდერებმაც გამოუცხადეს. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დაწყებულ საპროტესტო მსვლელობას ფოთელი "ნაციონალისტები", "დემოკრატები" და "ახლები" შეუერთდნენ. აქცია "კმარას" მხარდასაჭერად ფოთის საკრებულოსა და მთავრობის შენობის წინ "ლეიბორისტული" და "რესპუბლიკური" პარტიის ლიდერებიც გამოცხადდნენ. აქციას 150-დან 180-მდე ადამიანი ესწრებოდა. მათი დიდი უმრავლესობა სტუდენტები იყვნენ.

"კმარას" მონაწილეებმა აღნიშნული ლოზუნგით მოხატეს ქალაქის ცენტრალური ქუჩები.

აქციის მონაწილეთა პლაკატებზე "კმარა კორუფცია", "კმარა არჩევნების გაყალბება", "მოვითხოვთ მერის არჩევას", "კმარა ხმაპარიათა საკრებულო", "ნავსადგური ხალხს და არა კლანს" და სხვა მსგავსი მოთხოვნები იყო ასახული.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მთავრობა აქციის ჩაშლის შესახებ ჯერ კიდევ 13 მაისის საღამოს აცხადებდა და აქციის დღესაც, ძალოვანი სტრუქტურების სრული მობილიზება დილიდანვე შეინიშნებოდა. მიუხედავად ქალაქის მერის მხრიდან წინასწარი გაფრთხილებისა და მუქარისა, თითქოს, 14 მაისს, იგი მთავრობის შენობის წინ 10 ადამიანის ერთად შეკრებასაც არ დაუშვებდა, აქციამ საათნახევარი გასტანა და საკმაოდ მშვიდობიანად ჩაიარა.

აქციის კომენტირებისას "ნაციონალური მოძრაობის" ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, არჩილ კუპრეიშვილმა აღნიშნა, რომ იგი მიესალმება აღნიშნული ორგანიზაციის ფოთში გამოჩენას და მიიჩნევს, რომ **"მართლაც კმარა ფოთის ნავსადგურის ახვლედიანების კლანისთვის დამტკიცება და კმარა ფოთში "გასტროლიორი" მერების დანიშვნა."**

დღემდე ფოთის მერი აცხადებდა, რომ მას ქალაქში ოპოზიცია არ ჰყავს. აქციის შემდეგ კი "ფოთის ხონთქარი" (როგორც მას ფოთელები უწოდებენ) ასე თავდაჯერებულად, აშკარად, ველარ გამოიყურებოდა, თუმცა რაიმე კომენტარი არ გაუკეთებია.

14 მაისს "კმარამ", ფოთში საკრებულოს თავმჯდომარის, "მოქალაქეთა კავშირის" ფოთელი ლიდერის, წარსულში სტალინური პარტიის თავმჯდომარის, თეიმურაზ წურწუმიას წინააღმდეგაც გაიჟღერა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ვუდროფის საქმე

სოფიკო ჩხაიძე
ინგა ალავიძე

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. N129-130*

## 24-ე ვაზნა

შემთხვევის ადგილზე გასულმა სპეცჯგუფმა მკვლელობის ადგილის სიახლოვეს შარმაიძის "აკს"-ის სისტემის ავტომატიდან გასროლილი 24-ე ვაზნის მასრა იპოვა. თუმცა, მოგვიანებით. საქმე ისაა, რომ შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად პირველად ელდარ გოგოლაძე წაიყვანეს – 10 აგვისტოს. 16 აგვისტოს უკვე შარმაიძის თანმხლებნი – ბედოიძე და ბერბიჭაშვილი. ხოლო 17 აგვისტოს – თავად შარმაიძე. სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილზე მხოლოდ მეოთხედ მისვლისას იპოვეს მწვანე ნარგავების ქვეშ დაგდებული მტკიცებულება - მასრა, როგორც ექსპერტიზამ დაადგინა – შარმაიძის ავტომატიდან გასროლილი. ამ მასრის შესახებ დღესაც სერიოზულ ეჭვებს გამოთქვამენ, აცხადებენ, რომ ის შემთხვევის ადგილზე დააგდეს.

ამ ვერსიას ეთანხმება უშიშროების სამსახურის მაშინდელი უფროსი ირაკლი ბათიაშვილი: **"ის მასრა, რომელიც, ვითომდა, შემთხვევის ადგილზე იქნა აღმოჩენილი, უკვე მკვლელობის შემდეგ დააგდეს. როცა ნივთმტკიცება დასჭირდათ, მივიდნენ, გაისროლეს გვარდიელის ავტომატიდან, მასრა აიღეს და ნივთმტკიცებაც მოიპოვეს – ეს ნამდვილად ვიცი,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას დეპუტატმა ირაკლი ბათიაშვილმა.

**"ზოგიერთები დღესაც აცხადებენ, რომ შარმაიძის ავტომატიდან გასროლილი ტყვიის მასრა, ანუ, იმ ტყვიის მასრა, რომელმაც ფრედი სიცოცხლეს გამოასალმა, შემთხვევის ადგილზე დააგდეს. ძალიან მიკვირს, როცა ამას აცხადებს ირაკლი ბათიაშვილი, რადგან მან ძალიან კარგად იცის, რომ იქ არავის არაფერი დაუგდია. როცა შემთხვევის ადგილის სანახავად წავედით, მე ვერც მივაგენი იმ ადგილს, უბრალოდ, ზუსტად არ მახსოვდა და იმიტომ. საგამოძიებო ჯგუფის წევრები შემთხვევის ადგილიდან 300-500 მეტრის დაშორებით მივიყვანე. მერე, მანქანაში მყოფმა ქალბატონებმა მიუთითეს ზუსტად მკვლელობის ადგილი,"** – "24 საათთან" საუბრისას განაცხადა ედუარდ შევარდნაძის დაცვის სამსახურის ყოფილმა უფროსმა, ახლა უკვე კომპანია "ქართუ ჯგუფის" ვიცე-პრეზიდენტმა ელდარ გოგოლაძემ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნაპოვნ ტყვიის მასრას წვერი გადაჭრილი ჰქონდა კუსტარული წესით. როგორც შარმაიძემ ახსნა, მას ასეთი ტყვიები აფხაზეთიდან ჰქონდა ჩამოტანილი. საქმე ისაა, რომ აფხაზეთის ომში მებრძოლები ვიეტნამის ომისას აპრობირებულ მეთოდს იყენებდნენ - ტყვიებს წვერს აჭრიდნენ მიზნამდე უკეთ მიღწევის მიზნით. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წვერის გადაჭრა ტყვიას აკარგვინებს მყარი საგნის განჭოლვის უნარს. ამავე დროს, ასეთი ტყვია მიზანში მოხვედრისას მოძრაობას აგრძელებს და ფლეთს რბილ სხეულს. ფრედ ვუდროფის გვამის ფოტოს თუ ნახავთ, მიხვდებით, რომ რბილი ქსოვილი მისთვის მოხვედრილ ტყვიას ადვილად დაუფლეთია, მაგრამ არც მყარი საგანი გამომდგარა დაბრკოლებად – ვუდროფის სხეულში მოხვედრამდე ტყვიის გულას გავლილი უნდა ჰქონოდა სხვა მკვრივი საგანი, ამ შემთხვევაში მანქანის რეზინის ან პლასტმასის მონიკელებული სალტეები, მინა და თუნუქის ძარა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი, პროკურატურის გამომძიებლებმა შარმაიძის მეგობრის საფლავზე 8 აგვისტოს დილით გასროლილი ავტომატის მასრები იპოვეს. ვუდროფის მკვლელობის ადგილის სიახლოვეს ნაპოვნი ტყვიის მასრა და მამიკონიანის საფლავზე ნაპოვნი მასრები ექსპერტიზამ იდენტურად მიიჩნია. დაასკვნა, რომ ორივე შარმაიძის "აკს"-ის სისტემის ავტომატიდან იყო გასროლილი.

თუმცა, გამოძიებამ ბოლომდე ვერ მიაგნო ვუდროფისთვის ნასროლი საბედისწერო ტყვიის ისეთ ფრაგმენტს, რომლითაც დადგინდებოდა, რომ ის ნამდვილად ანზორ შარმაიძის იარაღიდან იყო გასროლილი. სხვათა შორის, დღემდე პასუხგაუცემელია კითხვა საბედისწერო ტყვიის გულის გაუჩინარების შესახებ. ვუდროფის თხემ-კეფიდან გამოვარდნილმა ტყვიამ გახია მანქანის ჭერის დერმატინის საფარი და შიგნიდან დააზიანა თუნუქის სახურავი. ზემოდან მანქანის სახურავი გახვრეტილი არ არის, მხოლოდ ამოზნექილია. შესაბამისად, ტყვია მანქანაში უნდა ეპოვათ, მაგრამ ასე არ მოხდა - საგამოძიებო ჯგუფმა ტყვიის გულას ვერ მიაგნო.

ამიტომაც ვერსია მანქანის სალონში გასროლის შესახებ თავისთავად გამოირიცხა იმის გამო, რომ ახლო მანძილიდან სროლის შემთხვევაში ვუდროფს ჭრილობაზე დენთის კვალი უნდა ჰქონოდა, რაც კრიმინალისტ-ექსპერტებმა ვერ აღმოაჩინეს.

ერთი სიტყვით, გამოძიება ეცადა, საქმე იმგვარად წარემართა, რომ მკვლელობას პოლიტიკური სარჩული მოშორებოდა და ასეც მოხდა. გამოძიებას ხელი შეუწყო თავად ანზორ შარმაიძემ და მისმა მეგობრებმა.

საქართველოში ჩამოსული ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის პირველი წარმომადგენლის, ამერიკის საელჩოს თანამშრომლის ფრედ ვუდროფის სიკვდილის მონათვლა რიგითი გვარდიელის ხულიგნობის შედეგად მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევად, ხელს აძლევდა ყველას, ვისაც პირადად, სამსახურებრივად თუ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ეხებოდა ეს ამბავი. ყველას, გარდა თავად ანზორ შარმაიძისა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების სისწორეში დღესაც ეჭვი შეაქვს ქართული სპეც-სამსახურის ყოფილ უფროსს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი ბათიაშვილს.

**"მე დღეს ბრალმდებელი ვერ ვიქნები, მაგრამ, როგორც საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მაშინდელი ხელმძღვანელი, მაშინაც და ახლაც გამოვთქვამ ეჭვს, რომ გამოძიება ხელოვნურად წარიმართა და საქმე ისე შეითიხნა, რომ ყველაფერი რიგით მებრძოლს დაბრალდა. მე მაშინვე გამოვთქვი ჩემი მოსაზრება, რომლის თანახმადაც ეს იყო წინასწარ დაგეგმილი მკვლელობა, ტერორისტული აქტი და უკავშირდებოდა შეერთებული შტატების აქტიურ თანამშრომლობას საქართველოსთან და კერძოდ, ჩვენს სპეცსამსახურთან. ვუდროფის მკვლელობის გამო შექმნილ საგამოძიებო ჯგუფში გაერთიანდნენ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის გამომძიებლებიც. ამიტომ, როგორც კი შევატყვეთ, რომ გამოძიება გამრუდებულად, არასწორი მიმართულებით მიდიოდა - ამის თაობაზე თავად საგამოძიებო ჯგუფის უფროსმა მითხრა - მაშინვე გამოვიწვიე ჩემი გამომძიებლები საგამოძიებო ჯგუფიდან და თხოვნით მივმართე ამერიკის საელჩოს, მკვლელობის გარემოებების გასარკვევად FBI მოეწვიათ,"** – აცხადებს ირაკლი ბათიაშვილი.

მკვლელობის თვითმხილველი ელდარ გოგოლაძე დღესაც საფუძვლიანადაა დარწმუნებული, რომ მისი უცხოელი კოლეგა და მეგობარი შემთხვევით გასროლილმა საბედისწერო ტყვიამ გამოასალმა სიცოცხლეს. **"ფრედის მკვლელობის შემდეგ თითქმის 2 თვის მანძილზე საოცარ სტრესში ვიყავი. დღესაც კი, ხანდახან როცა ვფიქრობ, რა მოხდა, საოცარი ემოცია მეუფლება. ფრედი ნამდვილად შარმაიძის მიერ გასროლილი ტყვიით მოკვდა. ყველა ის ვერსია, რასაც ანვითარებენ დღესაც კი, აბსურდულია. ამ ვერსიას ანვითარებდნენ ის ადამიანები, ვისაც საქართველოს იმიჯის შერყევა სურდათ. ჩემი საეჭვო დაკავშირება ამ ამბავთან სახელმწიფო მეთაურის იმიჯის შერყევასთან პირდაპირ კავშირში იყო. ამიტომაც ვთხოვე აშშ-ს ელჩს კენტ ბრაუნს, გამოძიების ჩასატარებლად FBI მოეწვია. ასეც მოხდა. ვერსიას ვუდროფის მკვლელობისთვის პოლიტიკური სარჩულის დადების თაობაზე შოთა კვირაია ანვითარებდა. არც გენერალურ პროკურატურას და არც FBI-ის სპეციალისტთა ჯგუფს ასეთი დასკვნა არ გაუკეთებია. იმ ხალხს, ვისაც ამ ვერსიის ამოტივტივება უნდოდა, პირადი ინტერესები ამოძრავებდა. მათი საეჭვო საქმიანობის შესახებ მე ძალიან ბევრ და ძალიან სერიოზულ ინფორმაციებს ვფლობდი, აი, ეს იყო მათი ჩემთან დაპირისპირების მიზეზი,"** – ამბობს ედუარდ შევარდნაძის დაცვის სამსახურის ყოფილი უფროსი ელდარ გოგოლაძე.

ელდარ გოგოლაძემ დაცვის სამსახური საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა და გამოძიების დასრულების შემდეგ ახალ თანამდებობაზე დაინიშნა - უშიშროების სამსახურის ტერორიზმისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსად. 1996 წლის გაზაფხულზე ელდარ გოგოლაძე, უშიშროების მაშინდელი მინისტრის შოთა კვირაიას ბრძანებით, 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის თაობაზე არსებული ინფორმაციის დაფარვისთვის დააკავეს. უშიშროების იზოლატორში გამომწყვდეული თანამშრომლისგან უშიშროების სამინისტროს გამომძიებლები 3 წლის წინ მომხდარი ფრედ ვუდროფის მკვლელობის აღიარებასაც ითხოვდნენ.

**"რაც შეეხება გამოძიების გაგრძელებას, ეს მე ძირფესვიანად ველარ მოვასწარი – საამისო ბერკეტები აღარ გამაჩნდა. თუმცა, ვერავინ აგვიკრძალავდა ოპერატიულ მუშაობას. ჩვენ ამას დამოუკიდებლად ვაკეთებდით, ვმუშაობდით ვერსიაზე, რომლის თანახმადაც ეს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული შეკვეთილი მკვლელობა იყო. ამ მიმართულებით ოპერატიული სამუშაოების ხელმძღვანელობა დავავალე ჩემს მაშინდელ მოადგილეს შოთა კვირაიას და ის ძალიან საინტერესო კონდიციამდე მივიდა,"** – იხსენებს ირაკლი ბათიაშვილი.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, შოთა კვირაიამ ფრედ ვუდროფის მკვლელობაში საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე დაადანაშაულა. ამასთან, გიორგაძის თანამონაწილეობა დააბრალა ელდარ გოგოლაძესა და მავან "ცნობილ ქართველ ბიზნესმენს, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში იქნა მხილებული".

სხვათა შორის, დაკავებულ ელდარ გოგოლაძესთან მომუშავე გამომძიებელთა შორის იყო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ის თანამშრომელიც, რომელმაც ვუდროფის საქმის გახსნაში და ანზორ შარმაიძისთვის მკვლელის სტატუსის მინიჭებისთვის ჩატარებულ სამუშაოებში სერიოზული წვლილი შეიტანა. თუმცა, ელდარ გოგოლაძე მაშინ ვერც 29 აგვისტოს ტერაქტსა და ვერც ვუდროფის მკვლელობაში ვერ დაადანაშაულეს. იგი სამინისტროს იზოლატორიდან "სუფთად" გამოვიდა.

**"ფრედ ვუდროფი ანზორ შარმაიძის მიერაა მოკლული. ვერ დაგეთანხმებით ვერც იმაში, რომ მკვლელობის საღამოს გზაზე უამრავი ხალხი მოძრაობდა და შესაძლოა, ვინმე სხვა იყოს მკვლელი და არა შარმაიძე. მისი ბრალეულობა როგორც ქართველების, ისე ამერიკელების მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ დაადასტურა. შეხვედით მოწმეებს, რომლებმაც იმ დროს ტრასაზე გაიარეს და ნახავთ, რას მოგიყვებიან ისინი შარმაიძის შესახებ, დაელაპარაკეთ საგამოძიებო ჯგუფის უფროსს, რომელმაც უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა, ნახეთ FBI-ის მასალები. როგორც ვიცი, გენერალურ პროკურატურას მათ გამოუგზავნეს დასკვნა. ჩემგან ამ თემაზე საუბარი მაინც დაინტერესებული პირის მონოლოგს დაემსგავსება. ამერიკელებთან მე დღესაც არაჩვეულებრივი კონტაქტები მაქვს, იცით ეს რას ნიშნავს? მათ რომ ჩემში სულ მცირე ეჭვი შეეტანათ, საქმე სხვანაირად წავიდოდა. ისე, ამ თემაზე არ მინდა საუბარი, რადგან თავის სამართლებელი არც არაფერი მჭირს,"** – აცხადებს "ქართუ ჯგუფის" ვიცე-პრეზიდენტი ელდარ გოგოლაძე.



შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი მასრა.



ირაკლი ბათიაშვილი.

1993 წლის 10 ნოემბერს გენერალურმა პროკურორმა ცსს-ს ოფიცრის ფრედ რასელ ვუდროფის მკვლელობის საქმის წინასწარი ძიება დასრულებულად გამოაცხადა და საქმე საბოლოო გადაწყვეტილებისთვის უზენაეს სასამართლოს გადააბარა.

## სასამართლოზე შეცვლილი ჩვენება

**"8 აგვისტოს კვირას საღამოს თბილისის მახლობლად ატეხილი უაზრო სროლის შედეგად დაიღუპა ფედერიკ რასელ ვუდროფი. ბატონი ვუდროფი გახლდათ აშშ-ს საელჩოს პოლიტიკური განყოფილების რეგიონულ ურთიერთობათა სექტორის თანამშრომელი. იგი დროებით იყო მივლინებული თბილისში სამუშაოდ და რამდენიმე დღეში უნდა გამგზავრებულიყო სამშობლოში. ეს იყო უაზრო, ტრაგიკული შემთხვევა, ძალადობის უაზრო გამოვლინება,"** – ასეთი მოკლე წერილი გაუგზავნა ჯერ გამოძიებას, შემდეგ კი უზენაეს სასამართლოს საქართველოში ამერიკის მაშინდელმა ელჩმა კენტ ბრაუნმა და დაზარალებული მხარის წარმომადგენლად სასამართლოში საელჩოს თანამშრომელი უილიამ მაქსველი მიავლინა.

სასამართლო პროცესში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ფრედ ვუდროფის მეუღლემ, რომელმაც მანამდე ქმრის სიკვდილის შესახებ ფრედის მეგობარს ბარათი მისწერა: **"ძალიან სამწუხაროა, ფრედი ტრაგიკული ბედისწერის მსხვერპლი გახდა. ისღა დაგვრჩენია, ფრედის მოგონებით გავაგრძელოთ ცხოვრება."**

ფრედ ვუდროფის მეუღლემ საქართველოში აშშ-ს საელჩოს წერილს, ბრალდებულისთვის დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების დაკისრების შესახებ, უარით უპასუხა. მართალია, თავდაპირველად დაზარალებული მხარის წარმომადგენელმა გამოძიებას განუცხადა, ვუდროფის დაკრძალვის ხარჯებს მოგვიანებით სასამართლოზე წარმოგიდგენთო, მაგრამ უკვე სასამართლოზე სწორედ ვუდროფის მეუღლის სახელით საუბრობდა უილიამ მაქსველი, როცა მოსამართლეს შარმაიძისთვის ხარჯების ანაზღაურების დაკისრებაზე წერილობითი უარი განუცხადა.

ამერიკულ მხარეს, ფრედ ვუდროფის მკვლელობაში ბრალდებული ანზორ შარმაიძის სასამართლო პროცესში, მონაწილეობა არ მიუღია.

**"ამ საქმის წარმოება საქართველოს პრეროგატივაა. ჩვენი მონაწილეობა შემოიფარგლება გამოძიების პროცესში მხოლოდ ინფორმაციის ურთიერთგაცვლით. საქართველოს მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად, აშშ-ს საელჩო წარმოგიდგენთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტებს წერილობით,"** – ასეთი წერილი მისწერა ქართველ სამართალდამცველებს აშშ-ს ელჩმა კენტ ბრაუნმა.

მოგვიანებით, ამერიკულმა მხარემ უზენაეს სასამართლოს კიდევ ერთი ბარათი გაუგზავნა: **"აშშ-ს მხარე სასამართლო პროცესში მონაწილეობას არ მიიღებს,"** – წერდა უილიამ მაქსველი.

მართალია, თავდაპირველად FBI სასამართლო პროცესზე მისი წარმომადგენლის მონაწილეობას გეგმავდა, მაგრამ დიდი ყოყმანის შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალეს. რატომ, უცნობია. ამასთან დაკავშირებით FBI საკმაოდ ბუნდოვან განმარტებას იძლევა. **"FBI განიხილავს სასამართლოზე დასწრების საჭიროებას. თუმცა, მიიღო ინფორმაცია, რომ თბილისში ჩაფრენა არ არის მიზანშეწონილი, რადგან თვითმფრინავები ცუდად დაფრინავენ და პოლიტიკური სიტუაცია არასტაბილურია, შესაბამისად, მოგზაურობა სახიფათოა,"** – ამიტომაც საბოლოოდ გადაწყდა, რომ FBI საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამართულ პროცესს არ დაესწრებოდა.

უზენეს სასამართლოში დაიკითხა ყველა ის მოწმე, ვინც წინასწარი ძიებისას მისცა ჩვენებები, ყველამ ადრე მიცემული ჩვენება გაიმეორა, მათ შორის ანზორ შარმაიძემაც. იგი კვლავინდებურად აცხადებდა, თეთრი ფერის "ნივას" გაბრაზებულმა ვესროლე, მაგრამ ამერიკელის მკვლელობა დაგეგმილი არ მქონია, შემთხვევით მოხვდა ტყვიაო.

ერთი სიტყვით, ანზორ შარმაიძე ჯერ ყველაფერს კატეგორიულად უარყოფდა, შემდეგ აღიარა, თეთრი ფერის "ნივას" მე ვესროლეო, შემდეგ კი, სასამართლოს ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე ჩვენებები რადიკალურად შეცვალა. **"მანქანისკენ საერთოდ არ მისვრია,"** - თქვა მკვლელობაში ბრალდებულმა ანზორ შარმაიძემ 1994 წლის 24 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომაზე, - **ადრე ამას იმიტომ ვამბობდი, რომ ბერბიჭაშვილისა და ბედოიძის ჩვენებების გარეშე ჩემს ნათქვამს აზრი არ ჰქონდა."** განსასჯელმა სასამართლო კოლეგიას მოულოდნელად ახალი ჩვენება მისცა. **"იმ საღამოს ავტომატიდან, მართალია, გავისროლე, მაგრამ ჯვრის მონასტერთან ახლოს და თანაც ჩახმახს შემთხვევით გამოვკარი ხელი,"** – განაცხადა შარმაიძემ. იგი ამტკიცებდა, რომ აღიარებითი ჩვენების მიცემა მილიციის სამმართველოში 14 აგვისტოს ღამით აიძულეს. განსასჯელის განცხადებით, იგი საკნიდან ნიღბებით სახედაფარულმა ხალხმა გაიყვანა და როცა სიტყვიერი მუქარით დანაშაულის აღიარებას ვერ მიაღწიეს, შემდეგ აწამეს.

**"პირზე აირწინაღი გამიკეთეს, რკინის მილი მკლავებს შორის გამიყარეს, ხელებზე ბორკილები დამადეს, ჩამომკიდეს და დამიწყეს ზურგზე და ფეხის გულებზე ცემა..."** – განაცხადა ანზორ შარმაიძემ. მისი თქმით, წამების შემდეგ უთხრეს, შენმა მეგობრებმა ყველაფერი აღიარეს, დუმილს აზრი არ აქვს, სხვა გზა აღარ დაგრჩენია, მკვლელობა შენს თავზე უნდა აიღოო. **"წამების მომდევნო დღეს გენადი ბერბიჭაშვილი დამიპირისპირეს, ჯობია თქვა, რომ მანქანას ესროლე, ახლა ასეა საჭიროო, - მითხრა ბერბიჭაშვილმა,"** – განუცხადა სასამართლო კოლეგიას განსასჯელმა. სხვათა შორის, განსასჯელის ამ განცხადების დამადასტურებელი მტკიცებულება, შარმაიძისთვის ბერბიჭაშვილის მიერ საკანში მიწერილი ბარათი, ციხის ბადრაგმა ამოიღო და გამოძიებას გადასცა. ბარათში ბერბიჭაშვილი შარმაიძეს წერდა: ჯობია, ყველაფერი ვაღიაროთ, დამალვას აზრი არ აქვს, არ მოგვკლანო.

დაპირისპირების დეტალები, მკვლელობაში ბრალდებულმა, სასამართლო პროცესზე მეორე მეგობარს, გელა ბედოიძეს შეახსენა: **"დაპირისპირებისას ბედოიძემ მითხრა, თავს რატომ იღუპავ, მკვლელობას რატომ იღებ შენს თავზეო,"** - ეს სიტყვები სასამართლოზე ბედოიძემაც დაადასტურა, თუმცა, ჩვენება არ შეუცვლია.

სასამართლოზე განსასჯელის მიერ მკვლელობის უარყოფას დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. ანზორ შარმაიძემ საკუთარ თავს ვერ უშველა. 1994 წლის 30 იანვარს უზენაესმა სასამართლომ საქართველოში აშშ-ს საელჩოს პოლიტიკური განყოფილების რეგიონული ურთიერთობის სექტორის თანამშრომლის ფრედ ვუდროფის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ ანზორ შარმაიძეს 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**"იმ დღეს დიდი მორალური ტრავმა მივიღე,"** – სასამართლოზე განაცხადა გამოძიების მიერ დაზარალებულად გამოცხადებულმა ელდარ გოგოლაძემ და სროლის შედეგად დაზიანებული მანქანის შესაკეთებლად ანზორ შარმაიძეს 3 ათასი მანეთის გადახდა მოსთხოვა. თუმცა, მისი თხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან შარმაიძეს ზარალის გადასახდელი ქონება არ აღმოაჩნდა.

პატიმრობიდან 7 წლის შემდეგ ანზორ შარმაიძემ საკუთარ უდანაშაულობაზე საუბარი კვლავ დაიწყო. ე.წ. "კრიტში" მსჯავრდებულმა არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენლებთან შეხვედრა მოითხოვა და მათ განუცხადა, იმ დროს საერთოდ არ ვყოფილვარ იმ ადგილას, სადაც ფრედ ვუდროფს ესროლეს. გარდა ამისა, ტუსაღმა თავის უდანაშაულობის დასადასტურებლად სიცრუის დეტექტორი მოითხოვა. არასამთავრობო ორგანიზაციამ პატიმრის მოთხოვნა საქართველოში აშშ-ს საელჩოს გადასცა. საელჩოს წარმომადგენლის პასუხი ასეთი იყო: საქართველოში ამგვარი დანადგარი არ არსებობს, ამერიკიდან მისი ჩამოტანა კი სერიოზულ პრობლემებთანაა დაკავშირებულიო. არადა, თავის დროზე საქართველოში ჩამოსულმა FBI-ის თანამშრომლებმა სიცრუის დეტექტორი ჩამოიტანეს და ვუდროფის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებულმა ყველა ადამიანმა ჩვენება დეტექტორზეც მისცა. ყველამ, გარდა თავად ანზორ შარმაიძისა. მკვლელობაში ბრალდებულმა მაშინ კატეგორიული უარი განაცხადა სიცრუის დეტექტორის გამოყენებაზე. როცა FBI-ისა და აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლები ტუსაღის უარს ისმენდნენ, თურმე ძალიან გაკვირვებულან, - ვერაფერს ვიზამთ, სიცრუის დეტექტორზე ჩვენების მიცემა ნებაყოფლობითიაო, - უთქვამთ ამერიკელებს.

**"ჩემს უარს არანაირი ზეწოლა არ უძღოდა წინ, მე თავად ვთქვი კატეგორიული უარი, სიცრუის დეტექტორზე მიმეცა ჩვენება. უნდა ეკითხათ, მყავდა თუ არა კაცი მოკლული, ჩემი პასუხი იმთავითვე დაადასტურებდა გამოძიების მიერ წაყენებულ ბრალდებას, რადგან აფხაზეთის ომში ვიყავი ნაომარი და როგორ არ მეყოლებოდა ვინმე მოკლული,"** – მომხდარიდან 10 წლის შემდეგ, მის უარს ასე ხსნის ახლა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფი ანზორ შარმაიძე.

**"აგენტები ორი კვირით ჩავიდნენ საქართველოში და იმედი ჰქონდათ, რომ ინტერვიუს დროს ვიღაც უფრო გაიხსნებოდა. თავიდან შარმაიძემ მოიწონა, რომ ფე-ბე-ერი ჩართულია ვუდროფის მკვლელობის გამოძიებაში, მაგრამ რატომღაც უარი თქვა პოლიგრაფ ტესტზე. აგენტებიც შეთანხმდნენ, რომ ტესტს არ აქვს მნიშვნელობა, რადგან შეიძლება დაადასტუროს ან უარყოს ძალიან წვრილმანი დეტალები,"** – საქართველოში ვიზიტის შემდეგ პოლიგრაფ ტესტის შედეგების შესახებ გაკეთებულ ანგარიშში დაწერეს FBI-ის ექსპერტებმა.

პოლიგრაფ ტესტი გაიარა ელდარ გოგოლაძემ და იმ ორმა ქალმაც, რომლებიც ვუდროფის სიკვდილის მომენტში მანქანაში ისხდნენ. **"FBI-ისა და აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლებს ჩემთვის არ უთხოვიათ, სიცრუის დეტექტორზე მიმეცა ჩვენება, მე თავად ჩემი სურვილით მივმართე მათ და ჩავიტარე პოლიგრაფ ტესტი. შევატყვე, რომ აშშ-ს ელჩს კენტ ბრაუნსა და FBI-სა თანამშრომლებს გაეხარდათ კიდეც, როცა ჩემი თხოვნა მოისმინეს, ანუ, ჩემი აზრით, მათ უნდოდათ კიდეც, გამევლო სიცრუის დეტექტორი, მაგრამ ვერ მიბედავდნენ თქმას. ერთი სიტყვით, სიცრუის დეტექტორი გავიარე და შემდეგ შედეგიც გამაცნეს. როგორც ვიცი, სიცრუის დეტექტორი თითქმის ყველამ გაიარა, მაგრამ ვინ თქვა უარი, არ ვიცი, ამით არ დავინტერესებულვარ,"** – იხსენებს "ქართუ ბანკის" ვიცე-პრეზიდენტი ელდარ გოგოლაძე.

1994 წლის 30 იანვარს უზენაესი სასამართლოს მიერ ანზორ შარმაიძისთვის გამოტანილი საბოლოო განაჩენით ცსს-ს სპეციალური აგენტის მკვლელობის საქმეს საბოლოოდ დაესვა წერტილი. არადა, ამ დროისთვის თბილისიდან უკვე წასული იყო FBI-ის სპეცჯგუფი, რომელიც 1993 წლის 11 აგვისტოს თბილისის აეროპორტში დაჯდა და რომელსაც აშშ-ს ხელისუფლების ბრძანება უნდა შეესრულებინა - ცსს-ს წამყვანი კადრის მკვლელობის საქმე გამოეძიებინა. FBI-ის სპეციალისტებმა საქართველოში ორიოდე კვირა დაჰყვეს, საჭირო მასალები მოაგროვეს და ისე დატოვეს თბილისი, რომ მათ მიერ შესრულებული საქმის შედეგებზე კრიტიკიც არ დაუძრავთ. თუმცა, FBI საქართველოში 2-კვირიანი ვიზიტით არ დაკმაყოფილებულა, ცსს-ს სოლიდური ფიგურის მკვლელობის საქმეს ვაშინგტონი წლების მანძილზე იძიებდა, ფრედ რასელ ვუდროფის საქმეს FBI-ში გრიფი "SECRET" წლების მანძილზე ედო. იმას, რაც ქართველმა სამართალდამცველებმა ფრედ ვუდროფის მკვლელობიდან რამდენიმე საათში გააკეთეს - ფაქტობრივად, საქმე 8 აგვისტოს ღამესვე გამოიძიეს - FBI-ში წლები დასჭირდა.

### შემდეგ ნომერში წაიკითხავთ:

- ფრედ ვუდროფის მკვლელობამ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის გეგმები შეცვალა.
- თბილისში ჩამოსული FBI-ის სპეცაგენტთა ჯგუფისგან სახსოვრად საქართველოს მხოლოდ ფოტოსურათები დარჩა.
- FBI-ის აზრით, ქართველი გამომძიებლების მიერ მოპოვებული და მყარად ჩათვლილი მტკიცებულებები, ან უვარგისი, ან უმნიშვნელოა.
- FBI-ის ექსპერტების დასკვნა თავდაყირა აყენებს ქართული გამოძიების შედეგებს: ქართველი ექსპერტების დასკვნა მცდარია – აცხადებს საგამოძიებო ბიურო.
- ვუდროფის მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე საქართველოში ჩამოსული ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიცერი საბჭოთა სუკ-ის აგენტი აღმოჩნდა – ოლდრიჯ ეიმსს ამერიკის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

# სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტო 64 ვაკანსიაზე კონკურსს აცხადებს

სოფო კვინტრაძე

14 მაისიდან ქონების მართვის სამინისტრომ ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა. სამინისტროში არსებული პრივატიზაციისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის დეპარტამენტები ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს შეუერთდა. აღნიშნული დეპარტამენტები, ჯერჯერობით, ძველი თანამშრომლებით დაკომპლექტდება, ხელმძღვანელებადაც იგივე პირები დარჩებიან – გიორგი თოდუა და თემურ გოდერძიშვილი. ქონების მართვის სამინისტროს ბაზაზე უკვე შეიქმნა სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტო, რომელიც ასევე ეკონომიკის სამინისტროს დაექვემდებარება. სააგენტო ქონების მართვის სამინისტროს ყოფილ შენობაში განთავსდება და მას ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე ვაჟა კაპანაძე უხელმძღვანელებს. სააგენტოს სამართავად გადაეცემა სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი 1500-მდე საწარმო, რომელთა დივიდენდების 15 პროცენტი სააგენტოს დაფინანსებას მოხმარდება. როგორც ვაჟა კაპანაძემ განაცხადა, სააგენტოს თანამშრომლებს საკმაოდ მაღალი ანაზღაურება ექნებათ. მთლიანად ამ უწყებაში 67 ადამიანი დასაქმდება, აქედან, დირექტორისა და მისი მოადგილეების გარდა, ყველა საშტატო ერთეულზე ღია კონკურსი გამოცხადდება.

ქონების მართვის ყოფილი მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი კი ეკონომიკის მინისტრმა გიორგი გაჩეჩილაძემ პრეზიდენტს თავისი მოადგილის თანამდებობაზე წარუდგინა. ჯერჯერობით, პავლიაშვილის დანიშნვის თაობაზე ბრძანებას ხელი მოწერილი არა აქვს.

თავისი არსებობის ათი წლის მანძილზე ქონების მართვის სამინისტროსთან მრავალი მსხვილი და სკანდალური გარიგებაა დაკავშირებული. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საქმედ ითვლება საქართველოში უდიდესი ამერიკული კომპანიის AES-ის შემოსვლა, რომელმაც "თელასის" აქციების 75 პროცენტი იყიდა. ქონების მართვის სამინისტროსა და AES-ს შორის დადებული ხელშეკრულება არაერთგზის გამხდარა კრიტიკის საგანი. ხშირად მას ქართული მხარისათვის კაბალურს უწოდებენ.

ქონების მართვის სამინისტროს სახელს უკავშირდება გასულ წელს "ელექტროკავშირისა" და "ტელეკომის" გაყიდვის ფარული მცდელობაც, ასევე სულ ახლახან, დაჩქარებული წესით გაყიდული "აზოტი" და მართვაში გადაცემული "თბილავიამშენი". მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, ქონების მართვის სამინისტრომ ვერ შეძლო "თბილგაზი" მიეყიდა ვერც ებრაული კომპანია "ტაჰალისათვის" და ვერც რუსული "იტერასთვის". ქონების მართვის სამინისტროს ისტორიაში ასევე სკანდალურ გარიგებად შეიძლება ჩაითვალოს ფოთის გემთსაშენის პრივატიზება. საეჭვო წარმომავლობის ინვესტორმა Darlingwatt Ltd-მ გემთსაშენის აქციები საფონდო ბირჟაზე უკანონოდ და მალულად გაყიდა. მთლიანობაში კი, ქონების მართვის სამინისტრომ ათასამდე მსხვილი და 13 ათასამდე პატარა საწარმოს პრივატიზება მოახდინა.

# აზერბაიჯანი 60 მილიარდი დოლარის მოლოდინში

სოფო კვინტრაძე

კომპანია "ბი-პი აზერბაიჯანის" პრეზიდენტის დევიდ ვუდვორდის განცხადებით, მომავალი ათი წლის მანძილზე აზერბაიჯანს ნავთობისა და გაზის პროექტები 60 მილიარდ აშშ დოლარს მოუტანს. ამ პროექტებში იგულისხმება აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ნავთობის და შაჰდენიზის გაზის საბადოების ამოქმედება, ასევე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ექსპლუატაციაში შესვლა. ვუდვორდის განცხადებით, ესაა ოპტიმალური პროგნოზი იმ ფასიდან გამომდინარე, რაც ამჟამად არის მსოფლიოში ერთ ბარელ ნავთობზე - 25 აშშ დოლარი. თუ ფასი დაიწევს 20 დოლარამდე, მაშინ აზერბაიჯანის შემოსავალი 45 მილიარდ დოლარამდე შემცირდება, ხოლო თუ 16 დოლარამდე ჩამოვა ერთი ბარელი ნავთობის ღირებულება, მაშინ აზერბაიჯანი ვალუტით 27 მილიარდს მიიღებს.

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოს სრულად ასათვისებლად, რომლის რეზერვი 5,4 მილიარდ ბარელ ნავთობს შეადგენს, 12 მილიარდ აშშ დოლარზე მეტია საჭირო. წარმოება პიკს 2008-2009 წლებში მიაღწევს, როცა ნავთობმოპოვება დღეში ერთ მილიონ ბარელამდე ავა (50 მილიონი ტონა წელიწადში). დევიდ ვუდვორდის განცხადებით, ამ წლებში საოპერაციო ხარჯები წელიწადში 250 მილიონი დოლარი იქნება. კონტრაქტს აზერი-ჩირაგისა და გიუნეშლის საბადოების განვითარების შესახებ 1994 წლის 20 სექტემბერს მოეწერა ხელი და ძალაში იმავე წლის 12 დეკემბერს შევიდა.

გარდა 60 მილიარდიანი მოგებისა, აზერბაიჯანი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისაგან შეღავათიან კრედიტებსაც ელოდება, რაც ქვეყანაში რეფორმების განხორციელებას უნდა მოხმარდეს. დღეს ვაშინგტონში გაიმართება საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ხოლო ხვალ - მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოების კრება, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, აზერბაიჯანისათვის ახალი კრედიტის გამოყოფაზეც იმსჯელებენ. აზერბაიჯანის ფინანსთა მინისტრის ავაზ ალაკბაროვის განცხადებით, მოსალოდნელია, რომ მსოფლიო ბანკმა ქვეყანას 30 მილიონი დოლარის, ხოლო სავალუტო ფონდმა 16 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტები გამოუყონ. მინისტრის თქმით, აზერბაიჯანმა ყველა ის მოთხოვნა და რეკომენდაცია შეასრულა, რაც წინ უძღოდა ამ კრედიტების გამოყოფის პროცედურას.

სპს "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები

www.dvnk.ge

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ გუშინ კომპანია "ანგლოილის" მიმართ სახელმწიფო შპს "საქენერგოს" ვალთან დაკავშირებულ საკითხზე იმსჯელა და გადაწყვიტა, რეაგირებისათვის კომისიის საბოლოო დასკვნა პრეზიდენტს გადაუგზავნოს. ამასთან, "მრეწველები" ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას აპირებენ. ფრაქციის ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, რომ მირცხულავამ პრეზიდენტის დავალება არ შეასრულა და არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ კომპანია "ანგლოილის" მიმართ ენერგოსექტორის ვალი არ გაზრდილიყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** „PA Consulting"-ის 23-კაციანი გუნდი და ექსპერტთა ჯგუფი სამშაბათს ოფიციალურად შეუდგნენ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მართვას. სადისტრიბუციო კომპანიის პრესსამსახურის ცნობით, 18-თვიანი მართვის პერიოდში „PA"-ის გუნდი ძირითადად იმუშავებს კომპანიის რეორგანიზაციაზე, ფინანსურ მენეჯმენტსა და დაგეგმვაზე, დაარეგულირებს აღრიცხვის, დარიცხვისა და ელექტროენერგიის მიწოდებას, შრომითი რესურსის ოპტიმიზაციას, ურთიერთობებს სამთავრობო და მარეგულირებელ უწყებებთან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის საბიუჯეტო ოფისში მიაჩნიათ, რომ ოთხი თვის განმავლობაში ბიუჯეტის შესრულების მცდელობამ მარცხი განიცადა. ამიტომ უმჯობესია, მთავრობამ ბიუჯეტის სეკვესტრის პროექტი პარლამენტს ახლავე წარუდგინოს. საბიუჯეტო ოფისის მონაცემებით, ოთხ თვეში სახელმწიფო ბიუჯეტი წლიური გეგმის მხოლოდ 27 პროცენტით შესრულდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოფიციალურმა ერევანმა დაადასტურა, რომ დაინტერესებულია თბილისი-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენით. ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია სააგენტო „ინტერფაქსმა" სომხეთის ეროვნული კრების ვიცე-სპიკერ ტიგრან ტოროსიანზე დაყრდნობით გაავრცელა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ერევანი.** საინფორმაციო სააგენტო "მედია-მაქსის" ცნობით, "სომხეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის" პრეზიდენტი არსენ კაზარიანი აცხადებს, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის საქონელბრუნვა პრაქტიკულად ნულის დონეზეა. კაზარიანის განცხადებით, "სომხეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირი" საქართველოში სავაჭრო სტრუქტურის შექმნას აპირებს, რომელიც ქართველ მომხმარებელს სომხური პროდუქციით დააინტერესებს. **პრაიმ-ნიუსი**

# "აზოტის" მუშა-მოსამსახურეებს სამსახურის დაკარგვა ემუქრებათ

## "აზოტისათვის" "იტერა" საგადასახადო შეღავათებს ითხოვს

პირველი გვერდიდან

საქართველოს ქონების მართვის სამინისტროში აცხადებდნენ, რომ "აზოტის" "იტერასათვის" გადაცემა **"ქართული მხარის ინტერესების მაქსიმალური დაცვით"** მოახერხეს. **"ჩვენ "იტერას" საქართველოსთვის იმდენად მომგებიანი ხელშეკრულება შევთავაზეთ, რომ რუსული კომპანია მისი ხელმოწერისგან კარგა ხანს თავს იკავებდა,"** – ასე აფასებდნენ თავის დროზე ხელშეკრულების ქართველი ავტორები საკუთარ ღვაწლს. ერთი კვირის წინ კი, "აზოტში" სტუმრად მყოფმა სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, უკვე მერამდენედ, სიამაყით გაუსვა ხაზი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა "აზოტი" "იტერას" მიჰყიდა. **"ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს "იტერასთან". საქართველოს ხელისუფლება მზად არის, საწარმოსთან დაკავშირებული პრობლემები მოკლე დროში გადაწყვიტოს. ჩვენ უნდა შევქმნათ გარემო, როცა ადამიანებს, სამი ათასზე მეტ კაცს, დასაქმებულს ამ საწარმოში, ჰქონდეს მუდმივი იმედი, რომ მათი ოჯახები ეკონომიკურად უზრუნველყოფილი იქნება,"** - განაცხადა მაშინ სახელმწიფო მინისტრმა.

თუმცა, გუშინ სამი ათასი ოჯახის კეთილდღეობის პერსპექტივა "ნაციონალურმა მოძრაობამ" ეჭვქვეშ დააყენა. როგორც "ნაციონალური მოძრაობის" წევრმა, პარლამენტარმა გია ხევიაშვილმა საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, "აზოტში" მოსკოვმა რუსი დირექტორი დანიშნა, რომელსაც ოფიციალურად 16 მაისს, სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე წარადგენენ. **"ეს არის პიროვნება, რომელსაც "აზოტთან" შეხება არ ჰქონია. ის ქართველი პერსონალის დათხოვნას აპირებს. გამოდის, რომ "აზოტის" მთელი სიკეთე, მოგების სახით, რუსეთში წავა, საწარმოში დასაქმებული 3000 ქართველი ქიმიკოსი კი ქუჩაში დარჩება,"** – განაცხადა ხევიაშვილმა. მისი ვარაუდით, "იტერას" ქართველი ტექნიკური პერსონალისა და ადმინისტრაციის გასათავისუფლებლად საკუთარი გეგმა უკვე შემუშავებული აქვს: **"ის მათ შავ მუშებად დატოვებს და, შესაბამისად, ანაზღაურებასაც მინიმუმამდე შეუმცირებს."** ამის გამო "ნაციონალები" "აზოტის" პიკეტირებით იმუქრებიან.

"ნაციონალების" მიერ აღმოჩენილ საფრთხეს ვერ ხედავს "აზოტის" პროფკავშირების თავმჯდომარე გულნარა მანჩხაშვილი. მისი თქმით, საწარმოში შემცირება არ იგეგმება. **"ბიზნეს-გეგმაში წერია, რომ საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა 95 პროცენტი შენარჩუნებული იქნება,"** - აცხადებს ის. "24 საათის" ინფორმაციით კი, ბიზნეს-გეგმის ხელმოწერილ ვარიანტში ასეთი რამ დაფიქსირებული არ არის.

მუშა-მოსამსახურეთა კონტინგენტის შესაძლო შემცირებას არც ანატოლი შჩოგოლევი ადასტურებს: **"ჩვენ უკვე გავუშვით აზოტის ჯგუფის საამქროები. უახლოესი გეგმა კი კაპროლაქტამის წარმოების გაშვებაა. სწორედ ამის გამო, ჯერჯერობით არ არსებობს საჭიროება, რომ შევამციროთ ან სამსახურიდან გავუშვათ ხალხი. პირიქით, ჩვენ გავზარდეთ კიდეც შტატი. მეტიც, თუ კაპროლაქტამს გავუშვებთ, სპეციალისტები კიდევ დაგვჭირდება."** სამაგიეროდ, შჩოგოლევი აცხადებს, რომ იგეგმება მმართველობითი აპარატის ოპტიმიზაცია: **"საშუალო რგოლი - ეს სერიოზული საკითხია და გულმოდგინე მუშაობას საჭიროებს. ბოლოს და ბოლოს, ადამიანის გასათავისუფლებლად სერიოზული მიზეზებია საჭირო. ჩვენ მმართველობითი აპარატის ოპტიმიზაციას დავიწყებთ. შემცირებები დაგეგმილი არ არის, თუმცა რაღაც გადაადგილებები ნამდვილად იქნება. შევხედავთ, ვინც პროფესიონალი იქნება და მუშაობას შეძლებს, დარჩება. ვინც დაკისრებულ სამუშაოს ვერ შეასრულებს, გადავაადგილებთ, უფრო მცირე მოცულობის სამუშაოს მივცემთ."** იმას, თუ რა იგულისხმება მმართველობითი აპარატის ოპტიმიზაციაში, "აზოტის" რეაბილიტაციის მმართველი არ აკონკრეტებს და აცხადებს, რომ მისი საქმე მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაა, მუშა-მოსამსახურეების ინტერესების დაცვა კი არ ევალება. თუმცა, შჩოგოლევმა იქვე უარყო ჭორი, თითქოს "აზოტში" ქართველებს რუსებით ჩაანაცვლებენ. **"ჩვენ მთავარი ენერგეტიკოსი გავათავისუფლეთ, მის ადგილზე კი ისევ ქართველი დავნიშნეთ,"** - განუცხადა "24 საათს" შჩოგოლევმა.

"24 საათი" უკვე წერდა იმ საკადრო ცვლილებების თაობაზე, რაც ბოლო ერთი თვის მანძილზე "იტერამ" "აზოტში" განახორციელა. ინვესტორმა თითქმის მთლიანად შეცვალა დირექტორატი. შეიცვალა გენერალური დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში. ეს პოსტი ვლადიმირ ნაუმკინმა დაიკავა, რომელიც აქამდე "შკონინოაზოტში" მუშაობდა. ფინანსებისა და ეკონომიკის დარგში გენერალური დირექტორის მოადგილედ ზურაბ გოზალიშვილი დაინიშნა. მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება გიორგი გოგოლაძისათვის პირველი მოადგილის – ანდრეი პარშუტინის დანიშვნა იყო. იგი 34 წლისაა, ოთხი წლის მანძილზე "როსნეფტო-ზაპადში" მუშაობდა, 1996 წლიდან დღემდე კი - "იტერაში". მას რუსეთის სახელმწიფო სამსახურის აკადემიის გადამზადების კურსი აქვს გავლილი. ჩვენი ინფორმაციით, სწორედ პარშუტინია ის კანდიდატურა, რომლითაც გოგოლაძეს უახლოეს მომავალში ჩაანაცვლებენ.

რაც შეეხება სობოლევის ვიზიტს, მისი შეხვედრების ძირითადი თემატიკა "აზოტისათვის" ხელშემწყობი გარემოს ფორმირება იყო. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რისი გადაწყვეტაც "იტერას" საქართველოს ხელისუფლებისგან სურს, "აზოტის" რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში შემოტანილი ნედლეულისა და მანქანა-დანადგარების საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებაა. ეს საკითხი "აზოტის" რეაბილიტაციის მმართველმა ანატოლი შჩოგოლევმა სახელმწიფო მინისტრთან საუბრისას წამოსწია. მას მხარი პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში ლევან მამალაძემაც დაუჭირა.

სოფლის მეურნეობის მინისტრთან "იტერას" ვიცე-პრეზიდენტმა საქართველოს ბაზრის სასუქებით მომარაგების საკითხზე იმსჯელა. როგორც ცნობილია, ქართული მხარე საქართველოსთვის განკუთვნილ პროდუქციაზე "იტერას" რენტაბელობის მაჩვენებლის არა უმეტეს 5-პროცენტიანი განაკვეთით განსაზღვრას სთხოვდა, თუმცა ეს პუნქტი, "24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, ხელშეკრულებაში აღარ ჩაიდო.

გუშინდელი შეხვედრებიდან სობოლევის ვიზიტის ძირითად თემატიკას გასცდა შეხვედრა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში, სადაც "იტერას" ვიცე-პრეზიდენტი საქართველოს ხელისუფლებასთან მომავალი ურთიერთობის საკითხებითა და "თბილგაზის" ვალების საკითხით დაინტერესდა.

დღეს დაგეგმილია შეხვედრები ეკონომიკის სამინისტროსა და "საქართველოს რკინიგზაში". ეკონომიკის მინისტრთან სობოლევი "აზოტის" მიერ წარმოებული პროდუქციის დამატებული ღირებულებისგან გათავისუფლების საკითხს დასვამს, ხოლო "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობასთან ამ პროდუქციის რკინიგზით დაუბრკოლებლად გადაზიდვის უზრუნველყოფის საკითხებზე იმსჯელებს.

## მონიტორინგი

# ფინანსთა სამინისტრო ინფორმაციას აყალბებს

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ ინფორმაცია მოცემულია N1 ცხრილში.

თქვენს ყურადღებას კვლავ გავამახვილებთ გარდამავალ საბრუნავ სახსრებზე (წინა წლიდან გადმოყოლილი ნაშთი).

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით ნაშთი 8,5 მილიონი ლარია. აქედან ორი მილიონი ლარი - ცენტრალური ბიუჯეტის, 4,8 მილიონი ლარი - სოციალური ფონდის და 1,7 მილიონი ლარი საგზაო ფონდის ნაშთია.

ოთხი თვის ბალანსების ანალიზი გვაჩვენებს, რომ ცენტრალური ბიუჯეტის ნაშთი სინამდვილეში იყო 1,96 მილიონი ლარი, სოციალური ფონდის ნაშთი – 3,86 მილიონი ლარი, ხოლო საგზაო ფონდის ნაშთი – 1,71 მილიონი ლარი: სულ 7,53 მილიონი ლარი. ანუ ფინანსთა სამინისტროსათვის მშვენივრად არის ცნობილი ნაშთის ზუსტი მაჩვენებლები.

ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში პროგნოზსა (გეგმა) და შესრულებაში (ფაქტი) მითითებულია შესაბამისად 8,5 და 8,46 მილიონი ლარი.

**ჩვენს მიერ წარმოდგენილ ცხრილში გასწორებულია გაყალბებული ინფორმაცია და ნაშთის შესრულება მოცემულია - 7,52 მილიონი ლარი.**

აუცილებელია გარდამავალი საბრუნავი სახსრების (ნაშთი) შესრულების ერთი მილიონი ლარით შემცირება. სწორედ ამას ერიდება მთავრობა. თორემ არც კი გვინდა იმაზე ფიქრი, რომ სახელმწიფო ხაზინაში 8,5 მილიონ ლარამდე თვლა არ შეუძლიათ.

ბიუჯეტის შემოსავლებში არსებული ქაოსი პირდაპირპროპორციულად აისახება სახელმწიფოს მიერ სოციალური ვალდებულებების შესრულებაზე.

თებერვლის თვის პენსიების დაფინანსებაში გარღვევა დაახლოებით 8,8 მილიონი ლარია. დაწყებულია მარტის თვის პენსიების დაფინანსება, თუმცა გარღვევა 10,4 მილიონ ლარს შეადგენს. ასევე დაწყებულია აპრილის თვის პენსიების გაცემა, თუმცა აქ გარღვევა შეადგენს 15 მილიონ ლარს.

**საგულისხმოა, რომ თებერვალ-აპრილის პენსიები გაცემულია მხოლოდ თბილისში, ფოთში და აჭარაში. ზოგიერთ რაიონში კი მიმდინარე წლის სამი თვის საპენსიო დავალიანება არსებობს. ეტყობა მთავრობას სხვა რეგიონებში ხალხის ქუჩაში გამოსვლის არ ეშინია.**

სავალალო მდგომარეობაა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსებაში. მათი შესრულება მოცემულია N2 ცხრილში.

**მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა I კვარტლის გეგმასთან (?!) შედარებით დაფინანსებულია 94,3%-ით, მოსახლეობის სტაციონარული დახმარების პროგრამა - 77,1%-ით, ხოლო მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების პროგრამა - 55%-ით.**

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

ცხრილი N1

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | % [illegible] | % [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 1027.4 | 529.8 | 387.44 | 27% | 58% |
| [illegible] | 835.7 | 385.09 | 218.49 | 26% | 57% |
| [illegible] | 659.9 | 318.64 | 183.81 | 28% | 58% |
| [illegible] | 78.4 | 36.16 | 26.33 | 34% | 73% |
| [illegible] | 95.4 | 38.3 | 8.34 | 9% | 22% |
| [illegible] | 244.2 | 116.81 | 75.95 | 31% | 65% |
| [illegible] | 49.5 | 24.03 | 13.16 | 27% | 55% |
| [illegible] | 239.8 | 118.66 | 82.39 | 34% | 69% |
| [illegible] | 8.5 | 8.5 | 7.53 | 89% | 89% |
| [illegible] | 22 | 13.5 | 14.34 | 65% | 106% |
| [illegible] | 40 | 29.54 | 17.51 | 44% | 59% |
| [illegible] | | | 3.7 | | |
| [illegible] | 41.5 | 9.51 | 4.2 | 10% | 44% |
| [illegible] | 127.8 | 57.61 | 35.11 | 27% | 61% |

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | % [illegible] | % [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 311.7 | 260.00 | 169.53 | 33% | 65% |
| [illegible] | 389.1 | 181.04 | 94.23 | 24% | 52% |

ცხრილი N2

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | % [illegible] | % [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 37,888 | 22,240 | 17,629 | 46.5% | 79.3% |
| [illegible] | 6,775 | 1,438 | 1,886 | 27.9% | [illegible] |
| [illegible] | | 400 | 150 | | [illegible] |
| [illegible] | | 670 | 323 | | [illegible] |
| [illegible] | | 300 | 76 | | [illegible] |
| [illegible] | | 40 | 30 | | [illegible] |
| [illegible] | 24,630 | 13,083 | 10,089 | 41.0% | 77.1% |
| [illegible] | | 750 | 382 | | [illegible] |
| [illegible] | | 630 | 418 | | [illegible] |
| [illegible] | | 1,800 | 1,344 | | [illegible] |
| [illegible] | | 2,620 | 800 | | [illegible] |
| [illegible] | | 170 | 95 | | [illegible] |
| [illegible] | | 1,600 | 1,158 | | [illegible] |
| [illegible] | | 450 | 280 | | [illegible] |
| [illegible] | | 675 | 570 | | [illegible] |
| [illegible] | | 570 | 461 | | [illegible] |
| [illegible] | | 1,200 | 1,500 | | [illegible] |
| [illegible] | | 325 | 462 | | [illegible] |
| [illegible] | | 1,675 | 1,917 | | [illegible] |
| [illegible] | | 50 | 25 | | [illegible] |
| [illegible] | | 75 | 64 | | [illegible] |
| [illegible] | 5,700 | 5,122 | 4,829 | 84.7% | 94.3% |
| [illegible] | | 3,162 | 2,912 | | [illegible] |
| [illegible] | | 1,000 | 1,000 | | 100.0% |
| [illegible] | | 425 | 382 | | [illegible] |
| [illegible] | | 100 | 100 | | 100.0% |
| [illegible] | | 78 | 23 | | [illegible] |
| [illegible] | | 100 | 47 | | [illegible] |
| [illegible] | 793 | 600 | 776 | 98.1% | 129.6% |



# კოლინ პაუელის ვიზიტი მოსკოვში

პირველი გვერდიდან

ერ-რიადის ტერაქტს, ჩეჩნეთში მომხდარი ორი აფეთქება დაემთხვა. რუსეთი ამ შემთხვევას, ალბათ, ხელიდან არ გაუშვებს, რომ ამერიკელებს საერთო მტრის, ისლამური ტერორიზმის არსებობაზე მიანიშნოს. თუმცა, ჯერჯერობით, ამერიკელებთან ეს ნომერი ნაკლებად ჭრის. დასავლეთში ჩეჩენ მებრძოლებს კვლავინდებურად "ამბოხებულებს" და არა საერთაშორისო ტერორისტებს უწოდებენ. თუმცა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ისევე, როგორც ენერგეტიკული თანამშრომლობა, მაინც ორი ქვეყნის თანამშრომლობის ძირითად სფეროდ რჩება.

ექსპერტების შეფასებით, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში არსებული საერთო ფონი, ამჟამად, საკმაოდ დაძაბულია. განხეთქილებამ, რომელიც ერაყის ომმა გამოიწვია, ორმხრივ ურთიერთობებს სერიოზული კვალი დააჩნია. თანაც, რუსეთი ცდილობს ერაყის საკითხი დღის წესრიგში რაც შეიძლება დიდხანს დატოვოს. კრემლი, როგორც ცნობილია, პრაქტიკულად ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც ერაყის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მოხსნას ეწინააღმდეგება. პრეზიდენტი პუტინი კოალიციისაგან ჯიუტად მოითხოვს, რომ სანამ სანქციებს მოხსნიდნენ, ერაყში არსებული მასობრივი განადგურების იარაღის არსენალები აღმოაჩინონ და გააუვნებელყონ.

თავის მხრივ, ამერიკასაც აქვს უკმაყოფილების საფუძველი. თუკი ის, რომ უშიშროების საბჭოში რუსეთი ომის წინააღმდეგ გამოვიდოდა, თავიდანვე არავისთვის საიდუმლო არ იყო, რუსული კომპანიების მიერ ერაყისთვის სამხედრო აღჭურვილობის მიყიდვის ფაქტმა ვაშინგტონის სერიოზული აღშფოთება გამოიწვია.


კოლინ პაუელი და იგორ ივანოვი.

REUTERS

ერთი სიტყვით, ერაყის თემა დღის წესრიგში რჩება. პუტინს თავი ისე უჭირავს, თითქოს კოალიციისაგან ომის გამო ბოდიშის მოხდას მოითხოვდეს, ბუში კი ომთან დაკავშირებით მხოლოდ მილოცვებს თუ მიიღებს.

ექსპერტების თქმით, რუსეთთან ურთიერთობაში, ამერიკისათვის ირანის საკითხი ამჟამად ერაყზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. უკვე რამდენიმე წელია, აშშ აცხადებს, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს და რუსეთი ამაში აქტიურად ეხმარება. ამერიკელებმა არაერთხელ სცადეს, სახიფათო თანამშრომლობის შეწყვეტაზე რუსეთის დაყოლიება, მაგრამ მოსკოვი, არც ელცინისა და არც პუტინის დროს, არაფრის დიდებით არ თანხმდება.

რაც დრო გადის, პრობლემა უფრო მწვავდება, რადგან ირანი სულ უფრო უახლოვდება იმ ზღვარს, რომლის შემდეგაც მას ბირთვული იარაღის შექმნა შეეძლება. ვაშინგტონი მიიჩნევს, რომ ახლო აღმოსავლეთისათვის ეს შეიძლება კატასტროფით დასრულდეს, ამიტომ, იგი შეეცდება კიდევ უფრო მეტი ზეწოლა განახორციელოს რუსეთზე. სახელმწიფო დეპარტამენტთან დაახლოებული წყაროების ცნობით, მოსალოდნელია, რომ იმ კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც რუსეთთან თანამშრომლობენ, აშშ-მ სანქციები შემოიღოს.

ერთი სიტყვით, პაუელის ვიზიტს მიმომხილველები ბუში-პუტინის შეხვედრის წინ გენერალურ რეპეტიციად მიიჩნევენ. სანკტ-პეტერბურგის შეხვედრის შემდეგ კი გამოჩნდება, მოსკოვი და ვაშინგტონი - სტრატეგიულ პარტნიორობას, მათი პრეზიდენტები კი ერთმანეთის "თვალებში ყურებას" გააგრძელებენ თუ არა.

# ალ-ქაიდა დაბრუნდა

ლევან ღირსიაშვილი

12 მაისს საუდის არაბეთის დედაქალაქში მომხდარმა მასშტაბურმა ტერაქტმა საერთაშორისო თანამეგობრობის, პირველ რიგში კი, აშშ-ს შეშფოთება გამოიწვია. უნდა ითქვას, რომ შეერთებული შტატების სპეცსამსახურები ტრაგედიამდე ორი კვირით ადრე ფლობდნენ ინფორმაციას მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, თუმცა, როგორც ყოველთვის, ინფორმაცია დეტალური არ იყო. სპეცსამსახურებს მხოლოდ რამდენიმე ფაქტი ჰქონდათ მოპოვებული, რომელიც გარკვეული შეშფოთების საფუძველს იძლეოდა. **"ჩვენ გვქონდა მინიშნებები, რომ ისინი რაღაცას აპირებდნენ, მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით, კონკრეტულად რა იგეგმებოდა,"** - განაცხადა აშშ-ს მთავრობის ოფიციალურმა პირმა. აშშ-ს სპეცსამსახურების კითხვას - თუ რა იგეგმებოდა და როდის - პასუხი კარგად ორგანიზებული და დაგეგმილი ტერაქტით, ორშაბათს თავად ტერორისტებმა გასცეს.

როგორც ცნობილია, ერ-რიადში დატრიალებული ტრაგედიის შედეგად, სულ ცოტა, 29 ადამიანი დაიღუპა და 194 დაიჭრა. ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების ცნობით კი, მსხვერპლთა რიცხვმა უკვე 34-ს მიაღწია. დაღუპულთა შორის ამერიკელი მოქალაქეებიც არიან. უკვე გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ტერაქტს დიდი ბრიტანეთის, ირლანდიის და ფილიპინების მოქალაქეებიც ემსხვერპლნენ.

დღეს უკვე აღარავინ ეჭვობს, რომ ტერაქტი ალ-ქაიდას განხორციელებულია. ყველა დარწმუნებულია, რომ ამ ტრაგედიის უკან დღემდე მოუხელთებელი ოსამა ბინ ლადენი და მისი ორგანიზაცია დგას. სპეცსამსახურების სპეციალისტების დასკვნით, ერ-რიადში მოწყობილი ტერაქტის ხელწერა და შესრულება სწორედ ალ-ქაიდას ჩვეულ სტილს განეკუთვნება.

ერ-რიადის ტერაქტს, პირველ რიგში, შეერთებული შტატების ხელისუფლება გამოეხმაურა. ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ განაცხადა, რომ აშშ-მ ტერორისტებთან ბრძოლა უნდა გააგრძელოს. **"ამ საფრთხის თავიდან აცილების ერთადერთი გზა მისი საბოლოო განადგურებაა. არც ერთ ხელშეკრულებას ამ პრობლემის გადაწყვეტა არ შეუძლია. არ არსებობს არც ერთი პოლიტიკური შეთანხმება, არც შეკავების პოლიტიკა, რომელსაც შეუძლია ამ საფრთხის აცილებაზე იმუშაოს. ჩვენ ტერორისტები უნდა ვიპოვოთ,"** - განაცხადა დიკ ჩეინიმ.


ერ-რიადის ტრაგედიის შემდეგ.

REUTERS

გუშინ, ლონდონში გამომავალმა არაბულენოვანმა გაზეთმა ელ-ფოსტით შეტყობინება მიიღო. წერილის ავტორი აცხადებს, რომ ალ-ქაიდას ხელმძღვანელობამ ტერაქტს მაღალი შეფასება მისცა. უცნობი პიროვნება გაზეთს უცხადებს, რომ შემდგომი დარტყმები ჯერ კიდევ წინ არის. ასევე ელექტრონული წერილი მიიღო საუდის არაბეთის ჟურნალმა "ალ მაჯალაჰმა," რომელიც ასევე ლონდონში გამოდის. **"ალ-ქაიდა ხანგრძლივი დროის მანძილზე გეგმავდა ოპერაციას სპარსეთის ყურეში, სადაც ორგანიზაციამ დიდძალი იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებების აკუმულირება მოახერხა,"** - განაცხადა წერილის ავტორმა, რომელიც თავის თავს აბუ მოჰამედ ალ-აბლაჯს უწოდებს.

ერ-რიადში მომხდარი ტერაქტი რომ საბოლოო არ იქნება, ამაში თავად საუდელები და ამერიკელებიც დარწმუნებულნი არიან. შეერთებული შტატების მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ ალ-ქაიდა, ჩვეულებრივ, მომხდარ ტერაქტებზე პასუხისმგებლობას თავის თავზე არასდროს იღებს ხოლმე. მიუხედავად ამისა, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ანალიტიკოსები დარწმუნებულნი არიან, რომ ტერაქტი ალ-ქაიდას მებრძოლებმა განახორციელეს. **"2001 წლის სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ, ალ-ქაიდას ფინანსების მოზიდვის და მებრძოლების გადაბირების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შეეზღუდა. ამიტომ, ყურადღების მისაქცევად მათ რაღაც უნდა მოემოქმედათ,"** - აცხადებს სადაზვერვო სააგენტოს ერთ-ერთი წარმომადგენელი.

ამჟამად, ერ-რიადში განხორციელებულ ტერაქტში ეჭვმიტანილია, დაახლოებით, 19 პიროვნება. საუდის არაბეთის პოლიცია და სპეცსამსახურები მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ინტენსიურ რეიდებს აწყობენ, თუმცა ჯერჯერობით, ეჭვმიტანილთა დაკავება ვერ მოხერხდა. საუდელი კოლეგების დასახმარებლად ერ-რიადში აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს სპეციალისტთა ჯგუფი უკვე ჩავიდა. ისინი, საუდის არაბეთის სპეცსამხურებთან ერთად, არა მარტო ძებნილთა დაკავებას, არამედ მომავალში მოსალოდნელი ტერაქტების თავიდან აცილებასაც შეეცდებიან.

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მომხდარი ტერაქტი უკვე დაგმო. **"ეს იმ მკვლელებმა ჩაიდინეს, რომელთა ერთადერთ სარწმუნოებასაც სიძულვილი წარმოადგენს,"** - განაცხადა თეთრი სახლის მეთაურმა.

ჯერჯერობით, ალ-ქაიდას ლიდერი და მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტი ოსამა ბინ ლადენი არსად ჩანს. როგორც წესი, მისი მიმართვა, ალბათ, გარკვეული ხნის შემდეგ გამოქვეყნდება, სადაც ბინ ლადენი მუსულმანურ სამყაროს კვლავ ამერიკელთა და ებრაელთა მკვლელობებისაკენ მოუწოდებს. ის ხომ ამას "წმინდა საქმედ" მიიჩნევს. არის საფრთხე, რომ სპარსეთის ყურეში და სხვა რეგიონებში უფრო მასშტაბური ტერაქტები განხორციელდეს. ერ რიადის ტრაგედიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საერთაშორისო ტერორიზმი და მისი სულისჩამდგმელი ალ-ქაიდა კვლავ ფორმაშია და ბრძოლას აგრძელებს.

# კიდევ ერთი ტერაქტი ჩეჩნეთში

გუშინ ჩეჩნეთში მორიგი მასშტაბური ტერაქტი განხორციელდა, რის შედეგადაც, სულ ცოტა, 20 ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე ათეული მძიმედ დაიჭრა. ტრაგედია გუდერმესის რაიონში ილისხან-იურტის დასახლებაში დატრიალდა, როდესაც ხალხი რელიგიურ დღესასწაულს - მოციქულ მუჰამედის დაბადებას ზეიმობდა. ჩეჩნეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის მოვსარ ჰამიდოვის განცხადებით, დაღუპულთა უმეტესობას ხნიერი ადამიანები შეადგენენ. ტერაქტი კამიკაძე ქალმა განახორციელა, რომელმაც წელზე მიმაგრებული ასაფეთქებელი ნივთიერებები, ე.წ. "შაჰიდის სარტყელი" აამოქმედა.

დღესასწაულში მონაწილეობას თავად ჩეჩნეთის ადმინისტრაციის მეთაური აჰმად კადიროვიც იღებდა, თუმცა ის აფეთქების შედეგად არ დაზიანებულა. არ გამორიცხავენ, რომ ტერაქტი სწორედ კადიროვის ლიკვიდაციას ისახავდა მიზნად. ამის თაობაზე, ჩეჩნეთის ადმინისტრაციის მეთაურის მრჩეველმა შამსაილ სარალიევმა განაცხადა. მისი თქმით **"ამჟამად დგინდება, არიან თუ არა დაღუპულთა შორის ადმინისტრაციის სხვა ჩინოვნიკები,"**. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ტერაქტის ადგილზე 15 ათასი ადამიანი იმყოფებოდა, რომლებიც მუჰამედის დაბადებას აღნიშნავდნენ.

უნდა ითქვას, რომ ამ კვირაში განხორციელებული ეს უკვე რიგით მეორე ტერაქტია. როგორც ცნობილია, 12 მაისს ჩეჩენმა კამიკაძემ ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული სატვირთო ავტომანქანა ნადტერეჩნის რაიონში ზნამენსკოეს დასახლებაში ააფეთქა.

# რომში მატარებლები ერთმანეთს შეეჯახა


შეჯახება რომში.

REUTERS

ოთხშაბათს, პიკის საათის დროს, ორი საქალაქთაშორისო მატარებელი რომის მახლობლად სადგურში ერთმანეთს შეეჯახა. ხელისუფალთა თქმით, მგზავრები უმნიშვნელოდ დაზიანდნენ.

"ჩვენ შვებით ამოვისუნთქეთ, რადგან არავინ დაღუპულა და მხოლოდ რამდენიმემ მიიღო დაზიანება", - განაცხადა მთავრობის წარმომადგენელმა ემილიო დელ მეზემ.

"შეჯახება იმიტომ მოხდა, რომ ერთ-ერთი მატარებელის მემანქანეემ შუქნიშანს ყურადღება არ მიაქცია", - განუცხადა მან სადგურზე შეკრებილ რეპორტიორებს. დელ მეზეს ცნობით, 10 კაცზე მეტი არ დაშავებულა.

მატარებლები იტალიის დედაქალაქის ჩრდილოეთით მდებარე სადგურ ტიბურტინასთან ერთმანეთს თბილისის დროით 9:30 შეეჯახნენ. ერთი ლოკომოტივი და ექვსი ვაგონი ლიანდაგიდან გადავარდა.

ერთ-ერთი მატარებელი რომიდან მიუნჰენში მიდიოდა, ხოლო მეორე - იტალიის ჩრდილოეთიდან უკიდურეს სამხრეთში.

უკანასკნელ წლებში იტალიის რკინიგზაზე რამდენიმე შეჯახება მოხდა. სწორედ ამ მიზეზით მოითხოვენ ტრანსპორტის სამინისტროს მაღალჩინოსნები დიდი ინვესტიციების განხორციელებას, რათა მოძველებული მართვის სისტემის მოდერნიზება განახორციელონ.

# დიდ ბრიტანეთში უსაფრთხოების ზომები გამკაცრდა

ბრიტანელ მებაჟეებს მალე ახალ ზემგრძნობიარე ტექნიკას დაურიგებენ, რათა ქვეყანაში ტერორისტებმა რადიაქტიური მასალების შეტანა ვერ შეძლონ.

"ბიბისის" ცნობით, რადიაქტიური ნივთიერებების ამომცნობი ტექნიკა მებაჟეებს ყველა პორტში დაურიგდებათ.

ამავდროულად, პოლიციამ უარყო პრესაში გავრცელებული ცნობები, თითქოს, ალ-ქაიდა ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ტანკერების ჩამოცლას გაერთიანებულ სამეფოში აპირებს.

"დაზვერვას გაერთიანებულ სამეფოში რომელიმე ადგილას დაგეგმილი ტერორისტული აქტის თაობაზე ცნობები არ გააჩნია", - განაცხადა სკოტლანდ იარდის წარმომადგენელმა.

თუმცა, დიდი ბრიტანეთის უშიშროების სამსახურები, დიდი ხანია, რაც დუვრში შემოსულ გემებსა და მათ ტვირთს საგანგებოდ ამოწმებენ, რათა რადიაქტიური ნივთიერებების შემოტანა არ გამოეპაროთ. მებაჟეებს ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობა ცოტა ხნის წინ დაავალეს.

მებაჟეებისათვის დამატებითი ტექნიკის მისაწოდებლად, დაახლოებით, 50 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოიყო. მიმდინარე წელს დიდი ბრიტანეთის ბიუჯეტში ანტიტერორისტული საქმიანობისათვის სულ 330 მილიონი გირვანქა არის გამოყოფილი.

დიდ ბრიტანეთში პორტებისა და აეროპორტების ტერმინალების ჩათვლით, დაახლოებით, ათასამდე საბაჟო პუნქტია.

"ეს ტერორისტების მიერ შექმნილ საფრთხეზე ჩვენი პასუხია", განაცხადა საბაჟოს სამართალაღსრულების დეპარტამენტის დირექტორმა ტერი ბაირნმა. ბაირნის აზრით, ახალი უსაფრთხოების ზომები უფრო ტერორისტების დასაფრთხობად და შესაკავებლად არის გამიზნული, ვიდრე ერთი რომელიმე კონკრეტული ოპერაციის ჩასატარებლად.

ამას გარდა, ბრიტანელ კოლეგებთან ერთად, ამერიკელი ოფიცრებიც დაიწყებენ ინგლისის პორტებში მუშაობას, რათა ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს ბირთვული მასალების გადაგზავნა არ დაუშვან. მალე, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები სადაზვერვო ინფორმაციას გაცილებით დიდი რაოდენობით გაცვლიან, ვიდრე ეს დღეს ხდება.

# "ზნამენსკოე და ერ-რიადი ერთი და იგივე ჯაჭვის რგოლებია"

რუსებს კონკრეტული სამხილის წარმოდგენა უჭირთ.

რუსმა პოლიტიკოსებმა შანსი არ გაუშვეს ხელიდან და ჩეჩნეთში 9 მაისსა და 14 მაისს მომხდარი აფეთქებები ორშაბათს ერ-რიადში ამერიკელების წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს დაუკავშირეს.

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის თქმით, ათასობით კილომეტრით დაშორებული ტერაქტი "აბსოლუტურად იდენტური" სქემით განხორციელდა და "აბსოლუტურად მსგავსი" შედეგები გამოიწვია.

"აფეთქებები ჩეჩნეთში, საუდის არაბეთსა და ნებისმიერ სხვა ადგილას – ეს ერთი და იგივე ჯაჭვის რგოლებია", - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ალექსანდრ იაკოვენკომ.

თუმცა, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ამგვარი კავშირის დამამტკიცებელი საბუთი არ წარმოუდგენიათ.

რუსეთის მთავრობა, დიდი ხანია, აცხადებს, რომ მუსლიმებით დასახლებულ ჩეჩნეთში მიმდინარე ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ წარმოებული ომის მეორე ფრონტია, რომლის წინააღმდეგ რუსეთი, შეერთებული შტატები და სხვა სახელმწიფოები უნდა გაერთიანდნენ. რუსეთის ძალოვანი უწყებები ამტკიცებენ, რომ არაბულმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა, მათ შორის, ალ-ქაიდამ, ჩეჩენი მებრძოლების დასახმარებლად მილიონობით დოლარი და ასეულობით მებრძოლი გააგზავნა.

ერთ-ერთმა რუსმა მაღალჩინოსანმა ორშაბათს "ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა, რომ ზნამენსკოეში აფეთქებები რესპუბლიკაში მყოფი არაბი მებრძოლების ნახელავია, რომელთა მეთაური ვინმე აბუ ვალიდია. "აქ არაბული კვალია. ეს მათი სტილია, - თქვა მაღალჩინოსანმა, რომელმაც კორესპონდენტს მისი ანონიმურობის დაცვა სთხოვა, - "შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ეს ამ ტიპების ნახელავს ჰგავს".

ჩრდილოეთ ჩეჩნეთის ქალაქ ზნამენსკოეში, სატვირთო მანქანის აფეთქების შედეგად, სამი სამთავრობო შენობა და რვა საცხოვრებელი სახლი დაინგრა. ჩეჩნეთის ხელისუფალთა თქმით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ზნამენსკოეში შესვლამდე პოლიციამ სატვირთო მანქანის მძღოლის საბუთები შეამოწმა, მაგრამ ძარაზე აღარ შეუხედავთ.

დღეისათვის ასზე მეტი ადამიანი საავადმყოფოში იმყოფება და ზოგიერთი მათგანი კრიტიკულ მდგომარეობაშია. მაშველებმა ნანგრევებიდან მხოლოდ 23 ადამიანის გამოყვანა მოახერხეს. საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს თანამშრომლებს ნანგრევებში მოყოლილი გადარჩენილი მოქალაქეების პოვნისა და გადარჩენის იმედი გადაეწურათ.

# მამალაძის და "დემოკრატების" დაპირისპირებას პროკურატურა განიხილავს


ლევან მამალაძე


მიხეილ მაჭავარიანი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

### პირველი გვერდიდან

პროკურატურამ რაც დღემდე მოახერხა, ისაა, რომ მამალაძეს ახსნა-განმარტებები ჩამოართვა. ამ პროცედურის დროს კი მამალაძე ეშხში შევიდა და ოთხასი მილიონი ცხრაას მილიონამდე აიყვანა. მამალაძის ახსნა-განმარტება იმით არის საინტერესო, რომ იქ ზოგად ბრალდებებს კონკრეტული სახე აქვს მიცემული. მამალაძე ცდილობს, თავისი სიმართლე ციფრებისა და ფაქტების მეშვეობით დაამტკიცოს. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს მამალაძის მიერ პროკურატურისთვის მიცემული ახსნა-განმარტებიდან და მაჭავარიანის იმ მიმართვიდან, რომელსაც დღეს თავად ბატონი მიშა მიუტანს გენპროკურორს (სტილი ორივეგან დაცულია):

მამალაძე: **"ოთხასი მილიონი - ეს კიდევ შემცირებული თანხაა, რომელიც ჟვანიას მიერ წარდგენილი მინისტრების მეშვეობით გაქრა და ვერ მიიღო გაჭირვებულმა ადამიანებმა, არ დაფინანსდა ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური სფეროები. ეკონომიკური და საფინანსო სამინისტროების მონაცემებით 1999 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს დააკლდა 273 მილიონი ლარი, 2000 წელს დააკლდა 234 მილიონი ლარი, 2001 წელს დააკლდა 234 მილიონი ლარი. ჯამში ეს არის 610 მილიონი ლარი, რაც შემოსავლების მინისტრის პირადი პასუხისმგებლობის, ამ შემთხვევაში ყოფილი მინისტრის მიხეილ მაჭავარიანის პირდაპირი პასუხისმგებლობის საკითხია. 1999-2001 წლების ჩათვლით ხარჯვით ნაწილს სახელმწიფოში დააკლდა 972 მილიონი ლარი".**

მაჭავარიანი: **"მე მიხეილ მაჭავარიანს, 1999 წ. 24 დეკემბერს პარლამენტმა კენჭი მიყარა მინისტრის კანდიდატურაზე დასამტკიცებლად, შესაბამისად 1999 წ. ბიუჯეტის შესრულებაზე მე პასუხისმგებელი ვერ ვიქნებოდი... რაც შეეხება 2000 წ. ბიუჯეტის შესრულებას, გთხოვთ იხილოთ კონტროლის პალატის აქტები (თან ერთვის), სადაც ნათლად წერია, რომ ბიუჯეტი (საგადასახადო შემოსავლების ნაწილში) შესრულებულია. 2001 წ. 15 აგვისტოს მე განცხადება გავაკეთე გადადგომაზე... რაც შეეხება, 610 მლნ-ს, (როგორც მამალაძე განმარტავს, თანხა, რომელიც დააკლდა პენსიონერთა დაფინანსებას) ეს არის თანხა (თუ ასეთი მონაცემი არსებობს და მამალაძე ამ ციფრს არ იგონებს), რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მისი ხელმძღვანელის – პრეზიდენტის უუნარობის შედეგად ვერ მიიღეს პენსიონერებმა."**

მამალაძე: **"...1999 წლის არჩევნების წინ ზურაბ ჟვანია პირადად ახდენდა ბიუჯეტის ხარჯების განაწილებას, აჭარბებდა თავის უფლებამოსილებას, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე... მინდა ასევე დავამატო, რომ ზურაბ ჟვანიას დავალებით შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი ახორციელებდა ფინანსურ მანიპულირებას, კანონსაწინააღმდეგოდ. ასე მაგალითად, "ყაზბეგი-კასტელის" სასამართლოს მიერ დაკისრებული 3.621 ათასი აშშ დოლარი, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ერთპიროვნულად შეამცირა 1.330. ათას ლარამდე, მიახლოებით ხუთი მილიონი ლარით ამ შემთხვევაში დაზარალდა სახელმწიფო, გთხოვთ პროკურატურამ შეისწავლოს, სად წაიღო მან ეს თანხები"**

მაჭავარიანი: **"გთხოვთ, აღძრათ სისხლის სამართლის საქმე ლევან მამალაძის მხრიდან ბ-ნი ზურაბ ჟვანიას მიმართ ცილისწამების გამო. ლ. მამალაძე აღნიშნავს, რომ ზურაბ ჟვანია პირადად ახდენდა ბიუჯეტის ხარჯების განაწილებას და აჭარბებდა უფლებამოსილებას... კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ხარჯებზე პასუხისმგებელი არიან ფინანსთა სამინისტრო და პრეზიდენტი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი. მამალაძე აცხადებს, რომ ზურაბ ჟვანიას დავალებით მე, შემოსავლების მინისტრი 1999 წლის არჩევნებში ვახორციელებდი ფინანსურ მაქინაციებს (?!). განვმარტავ: 1999 წ. საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა 1999 წ. 30 ოქტომბერს, მე კი მინისტრი დეკემბრიდან ვიყავი. რაც შეეხება "ყაზბეგი-კასტელის" საქმეს, ეს ფაქტი 1999 წ. არ ყოფილა, რაც შეეხება მათ შორის მორიგებას, ეს სასამართლოში განხილული საქმეა და როგორც საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო, ასევე "ყაზბეგი-კასტელი" სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად მოქმედებდა..."**

მამალაძე: **"ჟვანიას აქტიური მხარდაჭერით მიხეილ მაჭავარიანმა მოითხოვა სიგარეტზე აქციზის შემცირება და 2000 წლის ბოლოს მოახერხა ამ საკითხის პარლამენტში გატანა. ასე მაგალითად, თუ კი სიგარეტიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 2000 წელს (ეკონომიკის სამინისტროს მონაცემები) შევიდა 37 მილიონ 927 ათასი ლარი, 2001 წელს შევიდა 16.000.000 ლარი... სახელმწიფომ იზარალა 20.000.000 ლარით, მოვითხოვ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და გაირკვეს სად წაიღეს 20.000.000 ლარი დასახელებულმა პირებმა."**

მაჭავარიანი: **"განვმარტავ: ეს გადაწყვეტილება პარლამენტში შევიდა საგადასახადო შემოსავლების კომიტეტის ინიციატივით, კერძოდ, ვიტალი ხაზარაძის მოთხოვნით, მოწონებულ იქნა პრეზიდენტის მიერ და კენჭისყრით, მოწინააღმდეგის გარეშე შევიდა ძლაში."**

მამალაძე: **"ასევე გთხოვთ ჩამოართვათ ახსნა განმარტებები ჟვანიას, მაჭავარიანს და სააკაშვილს, რატომ შემოიღეს ჯართზე ნულოვანი დაბეგვრის რეჟიმი, რომლის შედეგადაც გაიძარცვა მთელი ქვეყანა და გაარკვიოთ, რა შეღავათებით სარგებლობენ ის ფირმები, რომლებსაც გააქვთ ჯართი და ხომ არ დგანან ისინი ჯართის ბიზნესის უკან..."**

მაჭავარიანი: **"რაც შეება ჯართს, მასზე ნულოვანი განაკვეთი ჟვანიას, სააკაშვილსა და მაჭავარიანს არ შემოუტანიათ. ჯართზე ნულოვანი დაბეგვრის შემოღება უშუალოდ პრეზიდენტის ინიციატივა იყო..."**

მამალაძე: **"რაც შეეხება 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების თემას... ჟვანიას დავალებით მაჭავარიანი ახორციელებდა ფინანსების მოზიდვას და მის განაწილებას, მათ ამისთვის სეიფში ჰქონდათ შენახული ჟურნალი, სადაც აღრიცხავდნენ შემოსავალსა და გასავალს. მე რამოდენიმეჯერ მაჩვენა ეს ჟურნალი მაჭავარიანმა, იქ საკმაო და დიდი თანხები იყო დაფიქსირებული. რამდენიმე მათგანი მინდა აღვნიშნო, რომელიც დამამახსოვრდა.... მაგალითად, იყო ასეთი ჩანაწერი; რუსული "ოქსინენკო 1 პლიუს 3 მილიონი", ასევე იყო ბიუჯეტის თანხები დაფიქსირებული, ასევე იყო "სოროსი-ტრანზიტი" და სხვა."**

მაჭავარიანი: **"რაც შეეხება 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში თანხების მოზიდვას და განაწილებას, ფინანსური საქმეები მთავარ საბჭოსა და სმკ-ს თავმჯდომარის ე. შევარდნაძის გადაწყვეტილებით ებარა ნიკო ლეკიშვილს, ფონდის ხელმძღვანელი კი იყო ჯემალ სვანიძე... პირადად მე არ ვარ წინააღმდეგი დაიკითხოს ოქსიანენკო, ისევე როგორც ჯორჯ სოროსი."**

მამალაძე: **"ჟვანიას ბევრჯერ აქვს აღნიშნული, რომ მას რუსეთი ეხმარება და დიდ ფინანსებს აძლევენ. ეს დადასტურდა იმითაც, რომ მათ საარჩევნო კამპანიისათვის ჩამოიყვანეს რუსული ფირმა "იმიჯ კონტაქტი", რომელმაც თავის ყაიდაზე გადააწყო შტაბის მუშაობა... როგორც გაირკვა და პრესაშიც დაფიქსირდა, 1.000.000 აშშ დოლარი რუსებმა თვითონ ამ ფირმას გადაუხადეს, დანარჩენი მიიღო ზურაბ ჟვანიამ. საინტერესოა, რომ თავად ჟვანიაც და სააკაშვილიც ამბობდნენ, რომ ეს რუსები სპეცსამსახურების წარმომადგენლები არიან და ფლობენ საარჩევნო ტექნოლოგიებს. არჩევნების შემდეგ (1999 წლის) ჟვანიას კაბინეტში უკვე გაჩნდა გეგმა "План фсихологического управления Грузии", რომლითაც ძალიან კმაყოფილი იყო. მე ვფიქრობ ეს ის გეგმაა, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ ხორციელდება. ამიტომ მოვითხოვ აღიძრეს სისხლის სამართლის საქმე და გაირკვეს, რა კავშირი აქვთ ამ პიროვნებებს რუსეთის სპეცსამსახურებთან, რატომ და რა მიზნით მიიღეს მილიონები და საზოგადოებისთვის გახდეს ცნობილი, თუ რა მიზნებისთვის დაიწერა ეს გეგმა, ამისთვის აუცილებლად მიმაჩნია სადეპუტატო მანდატები ჩამოერთვათ და თანაბარ პირობებში მზად ვარ დამაპირისპიროთ".**

მაჭავარიანი: **"რუსი კონსულტანტები პრეზიდენტთან შეთანხმების შემდეგ ჩამოვიდნენ, საკმაოდ ხშირად ხვდებოდნენ პრეზიდენტს და მათი წარმოებულია საპრეზიდენტო კამპანიაც... რაც შეეხება ლევან მამალაძის მიერ დასახელებულ "მითიურ გეგმას", ასეთი არ არსებულა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის უცნობია მისი არსებობის შესახებ და თუ ამის შესახებ ლევან მამალაძემ რაიმე იცის, პასუხი აგოს, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ ქმედებებში მონაწილემ."**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პასუხების შემცველ მიმართვას მაჭავარიანი პროკურორს დღეს მიუტანს. მამალაძე კი, ჩვენი ინფორმაციით, მთავარი აქცენტის გადატანას უკვე პროკურატურაში დაპირისპირების მოწყობაზე აპირებს.

# ნაგვის მანქანამ მცხეთელებს „სულზე მიუსწრო"

თამარ დვალი

*ამიერიდან, ქართულ პოლიტიკურ ელიტას რაიონების დასუფთავება აღარ მოუწევს. ამ პრობლემის გადასაჭრელად ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახური იზრუნებს. გუშინ, არასამთავრობო ორგანიზაცია "ურბანულმა ინსტიტუტმა", ქალაქ მცხეთის მოსახლეობას ახალთახალი სანაგვე მანქანა გადასცა. მოხალისე ბავშვებმა ,გუშინვე, ახალი მანქანის ეშხით, რკინიგზელთა პარკი დაასუფთავეს.*

ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის რეფორმას, რომელიც ურბანული ინსტიტუტის მიერ 2001 წლიდან ხორციელდება, ამერიკის განვითარების სააგენტო აფინანსებს. ამერიკული ორგანიზაცია USAID-ის სათაო ოფისის წარმომადგენლის, ჯო ტაგარტოს თქმით, რეფორმის მიზანია, უფრო ქმედითუნარიანი გახადოს ადგილობრივი მმართველობა და მათ საქმიანობაში აქტიურად ჩართოს საზოგადოებაც. "ჩვენ რამდენიმე რაიონში განვახორციელეთ რეფორმა. ძირითადად, მოსახლეობის აზრს ვითვალისწინებთ. მცხეთის მოსახლეობამ პრიორიტეტი ქალაქის დასუფთავებასა და პარკების მოწესრიგებას მიანიჭა. რამდენიმე ხნის წინათ მცხეთის ცენტრში მდებარე პარკი მოვაწყეთ, დღეს ქალაქს ნაგვის მანქანა გადავეცით. ეს არ არის პროექტის დასასრული, ამჟამად USAID -ი ახალ ხუთწლიან პროგრამაზე მუშაობს. ჩვენი მიზანია, უფრო მეტი ყურადღება დავუთმოთ და დავეხმაროთ რაიონებს, პატარა სოფლებს. ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა აქტიურობას მივაღწიოთ", - გვითხრა ჯო ტაგარტმა.

მცხეთის დასუფთავების სამსახურის უფროსის, ნოდარ კაპანაძის თქმით, ახალმა მანქანამ მათ მართლაც "სულზე მიუსწრო". "კარგა ხანია უმანქანოდ გვიწევს მუშაობა. 120 კონტეინერს ხელით ვცლიდით, აბა, 20 წლის მანქანა რამდენ ხანს იმუშავებდა? ახალი მანქანის ღირებულება 11 ათასი დოლარია და, ჩვენი ბიუჯეტიდან გამომდინარე, მის ყიდვას კიდევ დიდხანს ვერ შევძლებდით. ამ მანქანის შეძენით მდინარესაც დავიცავთ დაბინძურებისაგან. რესტორნებთან ხელშეკრულება დავდეთ და იქიდან ნაგვის გამოტანასაც ჩვენ უზრუნველვყოფთ", - განაცხადა კაპანაძემ.


"O'kay, Joe!"

მანქანის საზეიმო ვითარებაში გადაცემის შემდეგ საზოგადოებამ რკინიგზელთა პარკში გადაინაცვლა, სადაც გაკვეთილების გაცდენით გახარებულმა ბავშვებმა დიდი მონდომებით დაასუფთავეს პარკი.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ურბანულმა ინსტიტუტმა" ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა საქართველოს სხვა რაიონებშიც განახორციელა. ფოთის, ოზურგეთისა და ლაგოდეხის მოსახლეობამ პრიორიტეტი საინფორმაციო ცენტრის შექმნას მიანიჭა. "ურბანული ინსტიტუტის" წარმომადგენელის, ზაალ ანჯაფარიძის აზრით, მას შემდეგ, რაც ამ პროგრამის განხორციელება დაიწყეს, მოსახლეობის აქტიურობა მკვეთრად გაიზარდა. "ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა და მოქალაქეთა სურვილების განხორციელებას - გააუმჯობესონ ცხოვრების დონე თავიანთ ქალაქებში. პროგრამა საფინანსო საბიუჯეტო მენეჯმენტსაც ითვალისწინებს. ყველაფერს მოქალაქეების მონაწილეობით ვახორციელებთ. მცხეთის ცენტრალური პარკის მოწყობაც მათი დახმარებით მოხერხდა. ჯერ გამოკითხვა ჩავატარეთ, თუ როგორ პარკს ისურვებდნენ ადგილობრივები და იმის მიხედვით გავაკეთეთ. მსგავსი პროგრამა საქართველოს სხვა რაიონებშიც ამოქმედდება", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ანჯაფარიძემ.

## მოლარე

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს მოლარის თანამდებობის დასაკავებლად.

### მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

მოლარის ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- ადგილობრივი მომწოდებლებისთვის საბანკო გადარიცხვების განხორციელება დამტკიცებული და აუცილებელი გადახდების ფარგლებში;
- ფულის მიმღებების გადამოწმება ფულის გაცემის დროის შესახებ, ფულადი გადახდების განხორციელება და გადახდის დამტკიცებულ მოთხოვნაზე თანდართული გადახდის ქვითრის მიღება;
- ბანკის ყოველდღიურად გადამოწმება ფულის კონვერტაციის შესახებ;
- ბუღალტრულ სისტემაში მონაცემების გატარება ნაღდი და უნაღდო ოპერაციების აღრიცხვის მიზნით;
- ყოველდღიურად ფულის გადაანგარიშების და შესაბამისობის ანგარიშის მომზადება;
- ადგილობრივ ანგარიშზე ფულის ჩარიცხვის შესახებ მოთხოვნების გაგზავნა ("სითიბანკიდან" გადარიცხვების წარმოება);
- ბუღალტრისთვის ხელფასების უწყისის მომზადება;
- მონაცემთა დაარქივების ზუსტი სისტემის წარმოების ხელშეწყობა;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

### სამუშაო გამოცდილება და განათლება:

სამუშაოზე აყვანის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- ბუღალტრული ჩანაწერების აწდვა ხელფასის უწყისების წარმოების 1-2-წლიანი გამოცდილება;
- ზოგადი განათლების კარგი დონე, სასურველია ფინანსური დისციპლინის დამთავრების დიპლომი;
- პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები (MS Word, Excel და ა.შ.);
- ინგლისურ/ქართულ/რუსულ ენებზე წერისა და ზეპირმეტყველების კარგი უნარი;
- ურთიერთობის კარგი უნარი და კოლეგიალობა;
- კანდიდატი უნდა იყოს სანდო და ჰქონდეს მჭიდრო გრაფიკში მუშაობის უნარი.

**განაცხადის შეტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 28 მაისი, ოთხშაბათი, 6.00 სთ. კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა №38

## საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი

სამუშაოები: კოლხეთის დაცული ტერიტორიების საზღვრების გამიჯვნა და მიწების მიღება-ჩაბარების პროცედურების უზრუნველყოფა
მსოფლიო ბანკის კრედიტი 3156-GE (GEF-ის გრანტი TF-021598)
კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: GICMP-NCB-01

საქართველოს მთავრობამ მიიღო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (მსოფლიო ბანკი) კრედიტი და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის გრანტი „საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის" დასაფინანსებლად და აპირებს გამოყოს სახსრების ნაწილი სამუშაოებისათვის "კოლხეთის დაცული ტერიტორიების საზღვრების გამიჯვნისა და მიწების მიღება-ჩაბარების პროცედურების უზრუნველყოფა". სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი (ს.ზ.ი.მ. ცენტრი) იწვევს დაინტერესებულ საკონკურსო წინადადებებს სამუშაოების შესასრულებლად, რომელიც მოიცავს:

### საველე გეოდეზიური სამუშაოები და დიგიტალური ორთოფოტომოზაიკის შექმნა;

A. საველე გეოდეზიური სამუშაოები და დიგიტალური ორთოფოტომოზაიკის შექმნა;
B. კოლხეთის დაცული ტერიტორიების დეტალური საზღვრების დადგენა;
C. არსებული საკანონმდებლო ბაზის შესწავლა საზღვრებთან მიმართებაში;
D. გამიჯვნა და მიღება-ჩაბარების პროცედურების უზრუნველყოფა;
E. საზღვრის მარკირება და სამიჯნე ნიშნების დასმა;
F. ორტოფოტოების საფუძველზე 1:5,000 დიგიტალური ვექტორული რუკების შექმნა;
G. კოლხეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების ტრენინგი შექმნილი პროდუქციისა და ინსტრუმენტების

შესასრულებელი სამუშაო მოიცავს კოლხეთის დაბლობის შავიზღვისპირა დაცულ ტერიტორიებს შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ, კოლხეთის ეროვნულ პარკს (220 კვადრატული კილომეტრი) და ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალს (5 კვადრატული კილომეტრი). სამუშაოების დაწყებისთვის გეგმიური თარიღი 2003 წლის ივლისია.

ტენდერი ჩატარდება ეროვნული კონკურსის წესით, მსოფლიო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით: შესყიდვები IBRD-ის სესხით და IDA-ს კრედიტით, იანვარი 1995 წელი (შესწორებული გამოცემები: 1996 წლის იანვარი და აგვისტო, 1997 წლის სექტემბერი და 1999 წლის იანვარი) და ღიაა ყველა მონაწილისთვის ამ დოკუმენტში, რომელიც განსაზღვრულია სახელმძღვანელო დოკუმენტში.

ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულ ორგანიზაციებს დამატებითი ინფორმაციისათვის და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად შეუძლიათ მიმართონ სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრს ქვემოთ მითითებულ მისამართზე, 09:00 საათიდან 12:00 საათამდე ადგილობრივი დროით. დაინტერესებულ კონკურსანტებს წერილობითი განაცხადის წარდგენის საფუძველზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე, შეუძლიათ მიიღონ სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი, ინგლისურ ენაზე, რომლის არაანაზღაურებადი ღირებულებაა 15 ლარი საქართველოს ორგანიზაციებისათვის და 50 აშშ დოლარი უცხოური ორგანიზაციებისათვის. სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი გაგზავნილი იქნება ელფოსტით და კურიერით.

გადახდის შესახებ ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე:

მიმღები: სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი
ანგარიში: 2700854 (ლარი)
კოდი: 220101830
ბანკი: თიბისი-ბანკი, ჭავჭავაძის გამზირი 11, 380079 თბილისი, საქართველო

გადახდის შესახებ უცხოური ორგანიზაციებისათვის გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე:

INTERMEDIARY: DEUTSCHE BANK AG
D-6236, Frankfurt/Eschborn
SWIFT: DEUT DEFF
BLZ 50070010
Correspondent Account N #949096 (USD, EUR)
BENEFICIARY'S BANK: TBC-BANK
11 Chavchavadze Ave., 380079 Tbilisi, Georgia
SWIFT: TBCB GE22
BEN'S ACCOUNT: 39070971 (USD)
BENEFICIARY: ICZM Centre

საკონკურსო წინადადებებს, თანდართული საბანკო გარანტიით 5,000 ლარის ოდენობით ან ექვივალენტური ოდენობით სხვა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ მითითებულ მისამართზე, არაუგვიანეს 2003 წლის 16 ივნისის 18 საათისა ადგილობრივი დროით. ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წინადადებების გახსნის პროცედურას, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, 18 საათზე საქართველოს დროით, 2003 წლის 16 ივნისს.

ს.ზ.ი.მ. ცენტრი
მამუკა გვილავა, დირექტორი
მე-2 სართული, ფალიაშვილის 87
თბილისი, საქართველო

ფაქსიმილე: +1 (419) 791-6651
ელფოსტა: PHASiS@ICZM.org.ge
ინტერნეტი: www.ICZM.org.ge

ტელ/ფაქსი: +995 (32) 25-20-50
მობილური: +995 (99) 54-66-16

# სამასი ლტოლვილი უსახლკაროდ დარჩა

თამარ კაციტაძე

იმ დროს, როცა არასამთავრობო ორგანიზაციები თბილისის სააღსრულებო ბიუროს წინ "კმარას" მორიგ აქციას ატარებდნენ და მას სასამართლო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობაში ადანაშაულებდნენ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – თბილისის სააღსრულებო ბიუროს - საოლქო სასამართლოს 2002 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება იძულების წესით სისრულეში მოჰყავდა.

**"რას აკეთებთ, ქართველები არა ხართ. ბავშვები მაინც შეიბრალეთ. აფხაზეთის შემდეგ ეს მეორე ომია ჩვენთვის. წასასვლელი არსად გვაქვს, ათი წელი ვეძებდით თავშესაფარს და ხელისუფლებამ რომ ყურადღება არ მოგვაქცია, ამიტომ მივმართეთ ამ გზას. სად გავათენოთ ღამე. ბარემ გვითხარით, რომ არ ვართ სიცოცხლის ღირსნი და დაგვხოცეთ. ეს ხომ სახელმწიფო არ არის. ექვსი თვეა, რაც წერილობით ვეხვეწებით ჯორბენაძეს - თავშესაფარი გამოგვიყოს, მაგრამ პასუხის ღირსადაც არ გვხდის. ვის მივმართოთ?"** – ამ სიტყვებს გეოლოგიის ინსტიტუტის შენობიდან იძულებით, ხელკეტებით, და მაინც კანონიერად გამოყრილი ლტოლვილები ყვიროდნენ.

**"სააღმსრულებლო ბიურომ სასამართლო გადაწყვეტილება აღასრულა. წინასწარ ვიცოდით, რომ სირთულეები იქნებოდა და ამიტომ მომზადებულები ვიყავით. შეიძლება ითქვას, რომ ოპერაცია თბილისის სააღსრულებოს მთელმა შემადგენლობამ და იუსტიციის სამინისტროს სპეცრაზმმა პოლიციის დახმარებით წარმატებით ჩაატარა. ახლა მოხდება ლტოლვილთა ქონების აღწერა და თუ ისინი საკუთარ ნივთებს ერთი თვის განმავლობაში არ გაიტანენ, აუქციონის წესით გაიყიდება,"** – აღნიშნა ოპერაციის დასრულების შემდეგ ახლად დანიშნულმა სააღსრულებო დეპარტამენტის უფროსმა ალექსანდრე ტუშურმა.

თუმცა, რაც შეეხება მორალურ პასუხისმგებლობას, ოპერაციის შემსრულებლების პოზიცია ასეთია - **"მორალურ პასუხისმგებლობას ჩვენს თავზე არ ვიღებთ. ჩვენ კანონი კანონის ფარგლებშივე აღვასრულეთ. ამ ხალხზე მათ უნდა ეფიქრათ, ვინც გამოსახლების გადაწყვეტილება მიიღო,"** – ამბობდნენ აღმასრულებლები, რომლებიც, თურმე, გამოსახლების თაობაზე ლტოლვილებს ექვსი თვის განმავლობაში აფრთხილებდნენ და ხელს სასამართლო ხელისუფლებისკენ იშვერდნენ. თუმცა, ამ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებაც აშკარად კანონიერი იყო.



გოგიტა ბახსაძის ფოტო

**"გეოლოგებმა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 1300 ოჯახი შევიფარეთ. შენობები დავცალეთ და ხუთი სამსახური ამ ერთ შენობაში შემოვიყუჟეთ. ერთ მშვენიერ დღეს მოვედით და აქაც ლტოლვილები დაგვხვდნენ. ჩვენ რაღა ვქნათ. გვესმის, რომ ხელისუფლებამ არ იზრუნა ამ ხალხზე, მაგრამ ჩვენ კი დალხინებული ცხოვრება გვაქვს? მინიმალური ხელფასი გვაქვს და იმასაც არ გვაძლევენ. მილიონ ნახევარი აქვს სახელმწიფოს ჩვენი ვალი, მაგრამ, გაჭირვების მიუხედავად, სამსახურში მაინც დავდიოდით, რომ წლების მანძილზე შეკოწიწებული ნამუშევარი წყალში არ ჩაგვეყარა. ახლა ხომ ხედავთ - არც ერთი წიგნი, არც ერთი ხელსაწყო, არც ერთი ნამუშევარი ადგილზე აღარ არის. ლტოლვილებმა ყველაფერი გაანადგურეს. ისეთი უნიკალური ნამუშევრები იყო, უცხოელები გვეხვეწებოდნენ, მოგვყიდეთო. სახელმწიფო მნიშვნელობის ინფორმაციას როგორ გავყიდდით. ერთი წელია, სახლებში ვმუშაობთ. ჩვენს კუთვნილ შენობაში არ გვიშვებენ. დღეს მივხვდით, რომ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. სასამართლოს ყველა ინსტანციამ ჩვენ გაგვამართლა. უკანონოდ რომ იჭრებოდნენ და არავინ რეაგირებას არ ახდენდა, იმიტომაც მივედით ამ ზომამდე,"** – ამბობდნენ ზუსტად ერთი წლის შემდეგ სამსახურში დაბრუნებული გეოლოგები, რომლებიც ატირებული და უმწეო მდგომარეობაში დარჩენილი ლტოლვილების რისხვის მთავარი სამიზნეები გახდნენ.

**"გეოლოგების ბრალია ყველაფერი. ისინი უნდა დავხოცოთ, შენობა გადავწვათ, რომ არც იმათ დარჩეთ და არც ჩვენ. კიბეზე დავსხდებით და არავის შევუშვებთ,"** – ყვიროდნენ გამწარებული უსახლკარონი, რომლებმაც ერთ-ერთ გეოლოგზე შურისძიება მოახერხეს და იგი მუშტებით დაასისხლიანეს.

**"ის, რასაც ხელისუფლება ლტოლვილებს უკეთებს, აღმაშფოთებელია. ექვსი თვის განმავლობაში აფხაზეთის ხელისუფლება ითხოვს ამ ხალხისათვის თავშესაფარს, მაგრამ დღემდე არანაირი ფართი არ გამოუყვიათ. ჩვენ კი ამ შემთხვევაში უსუსურები ვართ. ლტოლვილები დღეს გენოციდის მსხვერპლნი მეორედ გავხდით,"** – გვითხრა აფხაზეთის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელმა ნათელა ასტამიროვამ.

სამწუხაროდ, დამაიმედებელი ინფორმაცია თავშესაფრის გარეშე დარჩენილთათვის არც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელს დავით ხავთასს მიუტანია. **"ვსწავლობთ მათ პირობებს და რამეს გამოვძებნით,"** – ასეთია ხელისუფლების პასუხი. არადა, როდის ან რას მოიფიქრებს სახელმწიფო, ამაზე პასუხი არც ექვსი თვის წინ არსებობდა და არც დღეს არის.

ფაქტია, რომ კანონი აღსრულდა და დაახლოებით 80 ოჯახი ანუ სამასი ლტოლვილი კვლავ უსახლკაროდ დარჩა.

დარბევის შედეგად ხერხემლის მძიმე ტრავმა მიიღო ლტოლვილმა ქალბატონმა. მომხდართან დაკავშირებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს.

# ხელისუფლება არჩევნების წინ არასამთავრობოებთან ბრძოლას იწყებს

*არჩევნები მოახლოვდა. ხელისუფლება, რომელსაც არჩევნებზე ზემოქმედების ბერკეტები ისედაც გააჩნია, მისთვის სასურველი შედეგის უზრუნველსაყოფად უსაფრთხოების დამატებით ზომებს იღებს. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს საქართველოს არასამთავრობო სექტორის დიდი ნაწილი.*

თამარ კაციტაძე

არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე არასამთავრობო ორგანიზაციათა ირგვლივ სიტუაცია სულ უფრო მძიმდება.

**"ხელისუფლება ცდილობს, შექმნას ახალი კანონები, დაამძიმოს გადასახადები, რათა შეუძლებელი გახადოს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა. ასეთი სიტუაცია გვაფიქრებინებს, რომ მავანთა მხრიდან ეს არის აბსოლუტურად მიზანმიმართული ქმედება საიმისოდ, რომ ჩვენ გადავერთოთ ორგანიზაციების შენარჩუნების პრობლემაზე და ყურადღება მოვადუნოთ არჩევნების პრობლემებზე, რომელზეც ყოველთვის ვმუშაობდით და ვრეაგირებდით",** – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა თინათინ ხიდაშელმა.

არასამთავრობო ორგანიზაციებს პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბრის დაწყების საბაბი თავის დროზე და დღესაც უშიშროების სამინისტროდან შემთხვევით გამოჟონილმა შემდეგმა კანონპროექტმა მისცა - "ექსტრემისტულ და უცხოურ კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა და გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერების, მათი ლიკვიდაციისა და აკრძალვის შესახებ". თუმცა, მაშინ უშიშროების სამინისტრომ აღნიშნულ "დოკუმენტს", რომლითაც უცხოური პარტნიორის და დაფინანსების მქონე ყველა ორგანიზაცია ქვეყნის მოღალატედ სახელდებოდა, სამუშაო, შავი ვარიანტი უწოდა და აღშფოთებული არასამთავრობოები დაამშვიდა – კანონპროექტზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა; როცა დასრულდება, აუცილებლად გაივლის საზოგადოებრივ რევიზიასო.

აღნიშნული დაპირების შემდეგ ორიოდე თვე გავიდა და უშიშროების სამინისტრომაც, ამჯერად უკვე ოფიციალურად, კანონპროექტის ახალი ვარიანტი გამოაქვეყნა.

**"ამ კანონის მიზანია: პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისას ძალადობის გამოყენების დაუშვებლობა; საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დაცვა მისი ძალადობით დამხობის, ან ძალადობით შეცვლის მცდელობისაგან; ხელისუფლების ძალადობით ხელში ჩაგდების, ან ძალადობით შენარჩუნების თავიდან აცილება და ექსტრემიზმის სხვა გამოვლინებათა აღკვეთა"** – აღნიშნულია ახალ კანონპროექტში. არადა, რამდენადაც გვახსოვს, ზემოთ დასახელებულ მიზნებს საქართველოში აქამდე არსებული სხვა კანონები და თვით კონსტიტუციაც კი „ემსახურებოდა", მაგრამ ქვეყნის უშიშროება მაინც "სიფრთხილეს" იჩენს და საზოგადოებას ახალ კანონპროექტს სთავაზობს სახელით - "ექსტრემისტულ ორგანიზაციათა და გაერთიანებათა საქმიანობის აკრძალვის შესახებ". თუმცა, სამინისტროს მორიგ სიფრთხილეს" არასამთავრობო ორგანიზაციები კვლავ ეჭვის თვალით უყურებენ.

**"უშიშროების სამინისტროს ძველი კანონპროექტის მთავარი ხარვეზები, რაზეც ადრეც ვსაუბრობდით, ფაქტობრივად, ახალ პროექტშიც არის. ბოლო ვარიანტში კვლავ საუბარია იმაზე, რომ თუ ორგანიზაციის რომელიმე წევრი ხელისუფლებისთვის არასასურველ განცხადებას გააკეთებს, ამისთვის მთელი ორგანიზაცია უნდა დაისაჯოს. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას" 800 წევრი ჰყავს. ჩვენ ნამდვილად არ შეგვიძლია პასუხისმგებლობა ავიღოთ თითოეული მათგანის გამოსვლაზე და განცხადებაზე. იგივე უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია ჩვენი წევრია, მაგრამ მის საქმიანობაზე ჩვენ რატომ უნდა ვაგოთ პასუხი?**

**მეორე დიდი პრობლემა: კანონპროექტში რეალურად არ არის განსაზღვრული, რას ნიშნავს ესა თუ ის ტერმინი; ვთქვათ, რა არის ტერორისტული საქმიანობა და სხვა. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ახალი კანონი ორაზროვანი ინტერპრეტაციის გამო ძალიან ბევრ გაუგებრობას შექმნის, რაც ხელისუფლების მხრიდან მათთვის არასასურველი ორგანიზაციების მიმართ ზეწოლისთვის იქნება გამოყენებული. ჩვენ სხვანაირად გავიგებთ ამა თუ იმ ტერმინს, ისინი სხვანაირად და ეს იქნება მუდმივი დავისა და კამათის საგანი. სხვათა შორის, ანალოგიური პრობლემა შეექმნება მასმედიასაც, რადგან ეს კანონი მასზეც გავრცელდება",** – ასეთი აზრი აქვს ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით თინათინ ხიდაშელს.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, "ექსტრემისტულ ორგანიზაციათა და გაერთიანებათა საქმიანობის აკრძალვის შესახებ" კანონის შექმნით არასამთავრობოთა ან რომელიმე ორგანიზაციის მიმართ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას კატეგორიულად გამორიცხავს უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნიკა ლალიაშვილი და დასამშვიდებლად კვლავ წარსულში ნათქვამს იმეორებს.

**"ახალ კანონპროექტში ძალიან ბევრი რამე შეიცვალა, მაგრამ რასაც ადრე ვამბობდით, ახლაც იმავეს ვიმეორებთ: ვიდრე კანონპროექტი მთლიანად არ გაივლის საზოგადოებრივ რევიზიას, მანამდე მას მსვლელობა არ მიეცემა, ანუ ახლა შუალედურ ფაზაში ვართ: საქმეში ჩართულები არიან ევროსაბჭოს ექსპერტები, რომლებმაც უკვე გამოგვიგზავნეს თავიანთი მოსაზრებები და ახლა ველოდებით მათ ჩამოსვლას. გარდა ამისა, რამდენიმე დღის წინ შედგა შეხვედრა უშიშროების მინისტრსა და ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის, რომლებმაც ძალიან საინტერესო შენიშვნები წარმოადგინეს",** – ამბობს ლალიაშვილი და პირობას დებს, რომ საზოგადოების შენიშვნები კანონპროექტის საბოლოოდ მიღებისას გათვალისწინებული იქნება.

თუმცა, უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლების დამაიმედებელი განცხადებები, ნაკლებად დამაჯერებლად ჟღერს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რადგან, მათი თქმით, რეალობა აშკარად სხვაგვარია - ხელისუფლებამ არასამთავრობო სექტორის წინააღმდეგ ეკონომიკური ბერკეტები უკვე აამოქმედა. კერძოდ, 1 აპრილს უკვე შევიდა ძალაში ფინანსთა მინისტრის ბრძანება, რომელიც **ხელისუფლებას** არასამთავრობო ორგანიზაციების გრანტებსა და ფულად სახსრებზე დამატებითი კონტროლის განხორციელების საშუალებას აძლევს.

**"ამ ბრძანების ამოქმედებით ჩვენ, უბრალოდ, პარალიზებული ვიქნებით, რადგან არც ერთ ორგანიზაციას ამგვარი მექანიზმი ბიუჯეტში გათვალისწინებული არ აქვს. ეს რომ ყოფილიყო ორგანიზაციების ბიუჯეტის მიღებამდე, ნაკლები პრობლემა გვექნებოდა. დღეს კი ამით სერიოზულ დარტყმას მიაყენებენ არა მარტო საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორს, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოში მუშაობენ",** – ამბობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ხელისუფლების მხრიდან ამუშავებული მექანიზმები არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაწყებულ აქციას - "კმარას" უკავშირდება.

**"საქმე იმაშია, რომ ეს ხდება ახლა, როცა ხელისუფლებამ იგრძნო, რომ არასამთავრობო სექტორი არ აპირებს გაჩუმებას და შეგუებას იმ ყველაფერთან, რაც ქვეყანაში ხდება. არის კიდევ ერთი მომენტი - ზოგიერთს ჰგონია, რომ "კმარას" თანხები არჩევნებს მოხმარდება და ამის გაკონტროლებაც უნდათ, რაშიც ძალიან ცდებიან",** – გვითხრა ხიდაშელმა.

ერთი სიტყვით, არჩევნები ახლოვდება და ქვეყანაში სიტუაცია აშკარად იძაბება. რა შედეგი მოჰყვება წინასაარჩევნოდ შექმნილ კანონებს, წინასწარ ძნელი სათქმელია, მითუმეტეს, რომ უშიშროების სამინისტროს შავ სიაში უკვე ჰყოლია შეყვანილი რამდენიმე ორგანიზაცია, რომელთა ვინაობასაც, ჯერჯერობით, არ ასახელებს.

**"ჩვენი უცხოელი კოლეგებისგან ვიღებთ იმ ორგანიზაციების სიებს, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ტერორისტულ და ექსტრემისტულ საქმიანობაში და საქართველოში მოღვაწეობენ. სხვათა შორის, ამ სახის ორგანიზაციების არსებობა აკრძალულია იმ საერთაშორისო კანონმდებლობით, რომელსაც მიერთებულია საქართველო. ჩვენი დღევანდელი კანონმდებლობით აბსოლუტურად შეზღუდულები ვართ, რომ მათ ორგანიზაციულ დონეზე ვებრძოლოთ. ეს არის მთავარი მიზეზი და მიზანი იმისა, რამაც ამ კანონპროექტის შექმნის აუცილებლობა გამოიწვია",** – გვითხრა უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელმა.

# პოლიცია ტოტალიზატორ „კროკო"-ს ფილიალებში შეიჭრა

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტოტალიზატორი "კროკო" გუშინ პოლიციური ტერორის მსხვერპლი გახდა. დაახლოებით, დღის 2-3 საათზე, "კროკოს" თბილისის ოფისებში, თითქმის ერთდროულად შეიჭრა პოლიცია და ჩხრეკის ჩატარება დაიწყო. ისინი ვაკე-საბურთალოს სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა ნოზაძის მიერ გაცემული ბრძანებით იყვნენ "შეიარაღებულნი". ოფისების ადმინისტრაციების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევამ პოლიციელებს აგრესია შემატა და ძალის გამოყენებაზე გადავიდნენ. **"კროკოს" მიადგა მატერიალური და მორალური ზარალი,** - ამბობს ტოტალიზატორის ადვოკატი კახა მანჯგალაძე, - **ჯერ ერთი, რომ მთელი დღით ოფისების დაკეტვა მოგვიხდა, ეს კი პირდაპირ კავშირშია შემოსავალთან. ამასთან, ზოგიერთ ოფისში დამტვრეულია კარები. რაც შეეხება მორალურ ზიანს, ჩვენ რეპუტაცია შეგველახა"**.

მომხდურებს ტოტალიზატორის თანამშრომელთათვის თავი გაუცვნიათ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის წარმომადგენლებად და ჩხრეკის აუცილებლობის მიზეზად სამი ფაქტორი დაუსახელებიათ: პირველი – თითქოს, "კროკოს" არ აქვს მუშაობისთვის აუცილებელი ლიცენზია; მეორე - იქ არალეგალური ბილეთები იყიდება და მესამე - თითქოს, "კროკოში" ჩვეულებრივი მოვლენაა უცხოური ვალუტის ბრუნვა. ეს ჩამონათვალი მართლაც საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევაა.

თუმცა, როგორც კახა მანჯგალაძე ირწმუნება, **"ჩვენ უკვე 10 წელია ვმუშაობთ და ლიცენზიაც გვაქვს. პოლიციელთა პრეტენზია, რომ, თითქოს, ცალკეულ ობიექტზე ცალკე ლიცენზია უნდა არსებობდეს, სისულელეა. იგივე ბრალდება ჩვენც შეგვიძლია წავუყენოთ – ერთი რაიონის მოსამართლის ბრძანება რომ ჰქონდათ ხელთ, რატომ ცალკეული ობიექტების ადგილმდებარეობის მიხედვით არ მიაკითხეს სხვადასხვა სასამართლოებს. მეორეც, ჩვენთან ბილეთებიც ლეგალურია და არც უცხოური ვალუტა ბრუნავს. მაგრამ ასეც რომ იყოს, პოლიციას რა ხელი აქვს, რეაგირება ფინანსთა სამინისტრომ და საგადასახადო სამსახურებმა უნდა მოახდინონ"**.

მიუხედავად ყველაფრისა, პოლიციამ ჩხრეკები ჩაატარა, თანაც "კროკოს" ხელმძღვანელობის გარეშე, რაც, კახა მანჯგალაძის თქმით, თავისთავად წესის დარღვევაა.

**"ჩვენ ყველა წესებისა და კანონის დაცვით ვმუშაობთ და, შესაბამისად, არც იმის აუცილებლობა გვაქვს, ვინმე წილში ჩავისვათ და ბეგარა ვუხადოთ. ვინ იცის, იქნებ ესეც არის პოლიციელთა შემოჭრის მიზეზი"**, - ასკვნის კახა მანჯგალაძე და მიიჩნევს, რომ პოლიციელთა მიერ მოწყობილ განუკითხაობას ტოტალიზატორის ხელმძღვანელობის მხრიდან შესაბამისი რეაგირება მოჰყვება. მანამდე კი (ანუ დღეს) ტოტალიზატორის ხელმძღვანელობა პრესკონფერენციის ჩატარებას გეგმავს.

**"თუმცა, ეს არ იმოქმედებს ტოტალიზატორის მუშაობაზე"**, - ამბობს მანჯგალაძე, რაც ნიშნავს, რომ "კროკოს" ობიექტები კვლავ ჩვეულებრივ რეჟიმში იმუშავებენ.

# შიდა ქართლში საგუშაგოები გაძლიერდა

შს სამინისტრომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გააძლიერა სოფელ ქურთას პოლიციის განყოფილება. ადგილობრივი პოლიციის გაძლიერება მოხდა შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის ბრძანების საფუძველზე, ბოლო დროს გართულებული კრიმინოგენული სიტუაციის გამო.

შს მინისტრის მოადგილის ზურაბ ხაჟალიას განცხადებით, ქურთას პოლიცია კონფლიქტის ზონის 9 სოფელს მოემსახურება. ხაჟალიას თქმით, ამჟამად მიმდინარეობს თანამშრომელთა შერჩევისა და დანიშვნის პროცესი, რაც მაისის ბოლომდე დასრულდება. შს სამინისტრო ქურთას პოლიციას მაქსიმალურად აძლიერებს, რათა სრულად მოხერხდეს სიტუაციის გაკონტროლება.

რაც შეეხება ოს სამართალდამცავებთან ურთიერთობას, ხაჟალიას განცხადებით, ორმხრივი თანამშრომლობა აქტიურად მიმდინარეობს, რის საფუძველზეც ერთობლივად რამდენიმე სერიოზული დანაშაულის გახსნა მოხერხდა.

"რაც შეეხება სოფელ თამარაშენში, ორი კვირის წინ მომხდარ, მინდიაშვილების ოჯახის ოთხი წევრის მკვლელობის საქმეს, დანაშაულის გასახსნელად ოს სამართალდამცავებთან ერთად შემუშავებულია ერთობლივი გეგმა, რომლის მიხედვით ძიება ინტენსიურად მიმდინარეობს," - აღნიშნა მან. **პრაიმ-ნიუსი**

# საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისთვის კიდევ ერთი თურქული გემი დააკავეს

დაბა ლესელიძიდან 40 მილში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ფოთის რეგიონული სამმართველოს საზღვაო დივიზიონის მესაზღვრეებმა საქართველოს სახელმწიფო საზღვაო საზღვრის უკანონოდ გადმოლახვის და ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე დააკავეს თურქეთის დროშით მცურავი მშრალტვირთმზიდი გემი «სელიმ-1».

საქართველოს სასაზღვრო უწყების პრესსამსახურის უფროსის შალვა ლონდარიძის განცხადებით, აღნიშნული გემი ე.წ. დახურული ზონის - სოხუმის საზღვაო აკვატორიის გავლით შემოვიდა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. საზღვრის დამრღვევი გემი, რომელიც ხე-ტყით იყო დატვირთული, ამჟამად ფოთის ტერმინალშია დაკავებული.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114-ე და 190-ე მუხლების თანახმად, მსგავსი დარღვევები ითვალისწინებს ჯარიმას 50 ათასიდან 200 ათას ლარამდე. აღნიშნულის შესახებ თურქული გემის კაპიტანს შესაბამისი დადგენილება უკვე გადაეცა.

მიმდინარე წელს საქართველოს საზღვაო საზღვრის უკანონო დარღვევის ფაქტზე თურქული გემი ქართველმა მესაზღვრეებმა უკანასკნელად ერთი თვის წინ დააკავეს. **ინტერ-პრესი.**

## მოკლედ

**თბილისი.** პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო მთელი საქართველოს მასშტაბით ატარებს მოსახლეობის აღწერას, რათა დადგინდეს ამომრჩეველთა სიები. შს მინისტრის პირველი მოადგილის შოთა ასათიანის განცხადებით, შსს-ს ძირითადი სამუშაოები უკვე განხორციელებული აქვს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მესტიის რაიონის სოფელ ეცერიდან 11 მაისს გატაცებული გოგი ფილფანის ადგილსამყოფელი კვლავ უცნობია. პოლიციამ ამ დროისათვის მხოლოდ ფილფანის ცოლისძმის დაკითხვა მოახერხა, მაგრამ დეტალების გახმაურებისგან სამართალდამცველები თავს იკავებენ. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ელგუჯა ჯამბურიას განცხადებით, ბიზნესმენის გატაცების თვითმხილველებმა - მისმა შვილმა ბაჩო ფილფანმა და ძმისშვილმა მამუკა ფილფანმა პოლიციასთან ურთიერთობაზე ისევ უარი განაცხადეს. მისი თქმით, დღეს, მესტიაში, სამართალდამცველთა დამატებითი ძალებია გადაგზავნილი. გამოძიებას ახალი დეტალები ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ აქვს. პოლიცია ბიზნესმენის გატაცების სავარაუდო მოტივების დასახელებას ნაადრევად მიიჩნევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში თავდასხმა განხორციელდა აფხაზური მილიციის ერთ-ერთ თანამშრომელზე - ვინმე ჩაბალუაზე. აფხაზი მილიციელი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. რა იარაღით მოხდა მკვლელობა, ჯერჯერობით, უცნობია. ერთ-ერთი ვერსიით, აფხაზი მილიციელი გატაცებული ავტომანქანით სარგებლობდა და მისი ლიკვიდაცია შესაძლოა, მანქანის მეპატრონეებმა მოახდინეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლერი ხუხიამ დაკავებული თანამდებობა დატოვა. ლერი ხუხიას დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ პენიტენციალური სისტემის მუშაობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის სიგელი და სპეციალური საჩუქრები გადასცა. ლერი ხუხია წოდებით გენერალია და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში წლების განმავლობაში მუშაობდა. ხუხიამ თანამდებობა საკუთარი ნებით დატოვა და ამის მიზეზად გადაღლილობა დაასახელა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობის მოვალეობას დღეიდან ლევან გოგოლაური შეასრულებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 16 მაისს, საკონსტიტუციო სასამართლოში, ქართველი ჟურნალისტებისთვის ლექციას წაიკითხავს ბრემენის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე ემენ ბესტი. ლექციის თემა იქნება სასამართლოებსა და მასმედიას შორის ურთიერთობები. მსგავსი ლექციები ცოტა ხნის წინათ უზენაეს და საოლქო სასამართლოებშიც ჩატარდა. ამ პროექტს გერმანიის ტექნიკური განვითარების ფონდი აფინანსებს.**მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში ე.წ. გლდანის ეპარქიის წინამძღოლის ბასილ მკალავიშვილის სასამართლო პროცესი 16 მაისს განახლდება. დანიშნულ სასამართლო პროცესზე განხილული იქნება ბასილ მკალავიშვილისა და მისი თანამოაზრის პეტრე ივანიძის დანაშაული, რომელიც ელიას მთაზე მდებარე იელოვას მოწმეთა ორი საცხოვრებელი ბინის დარბევას ეხება. **მედია-ნიუსი**

# სად „წავიდა„ 60 ათასი ლარი




რაბიოლოგები სერტიფიკატის მიღების შემდეგ

ზაზა ფაჩუაშვილი

*ოპონენტების მტკიცებით, ექიმთა კონგრესზე შესული თანხა, 60 ათასი ლარის ოდენობით, "სულ ჯიბეში წავიდა". ამ და სხვა ბრალდებებს ოფიციალური პასუხი გასცა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ.*

ამირან გამყრელიძემ საქართველოს ექიმთა პირველი კონგრესის გახსნის დროს განაცხადა, - თუ პირველ კონგრესში მონაწილეობისთვის ექიმებმა სიმბოლური თანხა - 10 ლარი გადაიხადეს, მომავალში სემინარებში მონაწილეობა უფრო ძვირი გახდებაო.

ამასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ბრალდებებით გამოვიდნენ "ნაციონალურ მოძრაობასთან" არსებული და სამინისტროს ოპონირებით სახელგანთქმული ექიმთა თავისუფალი პროფკავშირები, რომლებმაც ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესის შეჩერება მოითხოვეს. ამ მიზნით, მათ საოლქო სასამართლოში სარჩელიც კი შეიტანეს. მოსარჩელეთა განცხადებით, დღევანდელ პირობებში უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესის ნამდვილი მიზანია ექიმთა რაოდენობის შემცირება და არა განათლება. მათი თქმით, ფასიანი განათლება, მაშინ, როცა ექიმთა უმრავლესობა გადახდისუუნაროა, სხვაზე არაფერზე მეტყველებს. ისიც გასარკვევია, სად წავიდა 60 ათასი ლარიო, - ნიშნის მოგებით კითხულობდნენ პროფკავშირლები.

მათ საპასუხოდ ამირან გამყრელიძემ საქართველოს ექიმთა პირველი კონგრესის ხარჯთაღრიცხვა გამოაქვეყნა, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

მთლიანი შემოსავალი - 62.120 ლარი, მათ შორის ექიმებისგან - 50.560 ლარი, დაწესებულებებისგან - 11.560 ლარი.

მთლიანი ხარჯები - 62.112 ლარი, მათ შორის სპორტის სასახლე - 19.287 ლარი, კონცერტი - 6.000, მონაწილეთა სამახსოვროები - 7.414, საინფორმაციო უზრუნველყოფა - 2.400, საგამოფენო სტენდის იჯარა - 9.548, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის იჯარა - 648, დოკუმენტური ფილმი კონგრესის შესახებ - 2.500, მასალების გამრავლება სემინარებისთვის - 3.243, საბანკო მომსახურება - 200, საგზაო გადასახადი - 518, დ.ღ.გ. - 10.354.

ამის შემდეგ, მინისტრმა ფასიან უწყვეტ სამედიცინო განათლებასთან დაკავშირებით შესაბამისი განმარტებაც გააკეთა.

**"უწყვეტი სამედიცინო განათლება ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, ჩვენთანაც ფასიანი იქნება, ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფული მთლიანად მონაწილე ექიმმა უნდა გადაიხადოს. მიღებულია, რომ ექიმებს, ძირითადად, დამქირავებელი აფინანსებს. სწორედ ის უნდა იყოს დაინტერესებული მაღალკვალიფიციური კადრებით. უწყვეტ სამედიცინო განათლებას, ნაწილობრივ, სახელმწიფოც დააფინანსებს და სპონსორებიც გამოჩნდებიან.**

**თანხას ექიმიც გადაიხდის, თუ მისთვის საინტერესო სემინარზე დასწრების სურვილს გამოთქვამს",** - განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ოპონენტთა ბრალდებებს სხვებთან ერთად გამოეხმაურა რაბიოლოგიაში უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამის კოორდინატორი, დოცენტი, თემურ გოგიძე:

**"ჩემთან ბავშვები რომ მოჰყავთ, წინასწარ ტირიან ხოლმე, - ნემსი არ გამიკეთოთო. ზოგს სულ არ სჭირდება, მაგრამ ბავშვმა ეს არ იცის. ასე ემართებათ ოპონენტებსაც, როცა ამბობენ, რომ მომავალში ექიმებს ფულს გადაახდევინებენ. ჩვენთან სემინარში მონაწილეობისთვის და სერტიფიკატისთვის, ჯერჯერობით, ფული არავის გადაუხდია და მომავალში რა იქნება, ვინ იცის.**

**რაც შეეხება იმ ყბადაღებულ 10 ლარს, რომელიც ექიმებმა კონგრესში მონაწილეობისთვის გადაიხადეს, მართლაც სიმბოლურია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო სუხიშვილების კონცერტი რად ღირს!"**

# კიდევ ერთი არასამთავრობო

## სახელმწიფო საბავშვო ბაღებს პატრონი გამოუჩნდათ?!

ირინე სანებლიძე

*"ავაშენოთ ერთი დიდი სახლი, დავდგათ ერთი დიდი სამოვარი და ერთად დავლიოთ ჩაი", - გაიხსენა ფიროსმანი გუშინ ერთმა ხნიერმა ქალბატონმა, რომელსაც, როგორც ჩანს, ძალიან მოეწონა ახალი არასამთავრო ორგანიზაციის "ფესვების" გეგმები.*

თბილისის ცამეტი ბაგა-ბაღის დირექტორებმა საქართველოს ბაღების გაერთიანება გადაწყვიტეს და საკმაოდ გრძელი სახელწოდების არასამთავრობო ორგანიზაცია - საქართველოს სკოლამდელი აღზრდის განათლების მუშაკთა დახმარების, სოციალური უზრუნველყოფისა და პროფესიული უფლებების დაცვის კავშირი "ფესვები" დააფუძნეს. "ფესვების" სამოქმედო არეალი ჯერჯერობით მარტო თბილისზე ვრცელდება და თავისი არსებობის, თითქმის, ერთი თვის მანძილზე წევრებმა უკვე 140 სახელმწიფო ბაგა-ბაღისა და 3700-მდე ფიზიკური პირის გაერთიანებას მიაღწიეს.

დამფუძნებლებმა აირჩიეს "ფესვების" თავმჯდომარეც - ოცდამერვე ბაგა-ბაღის დირექტორი, ქეთი ჟორდანია, რომელიც საზოგადოებისთვის ასევე ცნობილია, როგორც სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრი. გუშინ თბილისის პირველ ბაგა-ბაღში "ფესვებმა" თავი მოიყარეს და საზოგადოებას მასმედიის საშუალებით თავი გააცნეს.

თავდაპირველად ქეთი ჟორდანიამ თამარებს თამარობა მიულოცა, შემდეგ კი ორგანიზაციის დანიშნულებასა და მიზნებზე ისაუბრა.

ქალაქის ასორმოცი სახელმწიფო ბაგა-ბაღი უკვე "ფესვების" წევრია. ქალაქის ყოველ რაიონში "ფესვებს" რამდენიმე წევრი ბაგა-ბაღი და თითო თავმჯდომარე ჰყავს.

"ფესვებს", როგორც ეს ხდება ხოლმე, უამრავი განყოფილება და სამდივნო აქვს: აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, საზოგადოებასთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან ურთიერთობის, საერთაშორისო, აღმასრულებელი, საორგანიზაციო და პრეს მდივნები, იურიდიული სექტორის უფროსი, კულტურის სამსახური, სარევიზიო კომისია, საფინანსო განყოფილება და ა.შ.

ცხადია, სახელმწიფო ბაგა-ბაღებს სახელმწიფოსგან სერიოზული და რეალური მხარდაჭერა სჭირდებათ, მაგრამ ბაგა-ბაღებიღა აკლია პრობლემებით ისედაც სავსე სახელმწიფოს?! აქედან გამომდინარე, ქეთი ჟორდანია, პოლიტიკურ ლობირებას თავის თავზე იღებს, - ოღონდაც დარგი გადარჩესო. დარგს კი პრობლემა მართლაც ბევრი აქვს.

"ფესვები" მინიმუმით იწყებს და სამ ძირითად, უახლოეს გეგმას ასახელებს: "გაიტანეთ საარჩევნო სისტემა საბავშვო ბაღებიდან, - აცხადებს ქეთი ჟორდანია. - არ გვინდა არჩევნებში ასეთი მონაწილეობა. ჩვენ არ გვცალია პოლიტიკისთვის, გვცალია მარტო ჩვენი საქმისთვის".

"ფესვებს" კატეგორიულად არ უნდა, რომ საბავშვო ბაღების შენობებმა კარს მომდგარ არჩევნებში რაიმე სახით მონაწილეობა მიიღოს, ამიტომ "ფესვებისთვის," გარკვეულწილად, მყარ ზურგს წარმოადგენს საქართველოს განათლების მინისტრის, ალეკო კარტოზიას, დაახლოებით, იგივე შინაარსის განცხადება. ბაგა-ბაღების დირექტორებს, როგორც სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებათა ხელმძღვანელებს, განათლების სამინისტროსთან საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. "უბრალოდ, ერთად ვაკეთოთ საქმე და ჩვენც მოვეხმარებით იმ პრობლემების გადაჭრაში, რაც გვაწუხებს", - აცხადებს ქეთი ჟორდანია.

მეორე გადაუდებელ საკითხად დგას 5-6 წლის ბავშვებისთვის ბაგა-ბაღებში სავალდებულო სწავლების შემოღება, რადგან ბაგა-ბაღების პროგრამა 5-6 წლის ბავშვის სწავლებასაც ითვალისწინებს; ბაგა-ბაღების ფინანსური რეფორმა "ფესვების", ერთ-ერთი პრიორიტეტია. დღეს, როდესაც თითო ბავშვი ბაგა-ბაღში ოფიციალურად 5.40 ლარს იხდის (ნახევრად ოფიციალურად კი - ვისაც რამდენი შეუძლია, შემოწირულობებით იხდის) და ბაგა-ბაღისთვის ეს სიმბოლური თანხაა, მაქსიმალურად სწრაფად მოსაგვარებელია ფინანსური პრობლემებიც. სწორედ ამ მიზანსაც ემსახურება "ფესვების" მიერ დასახული კიდევ ერთი ამოცანა: საერთაშორისო ორგანიზაციებთან წარდგენითა და თავის გაცნობით "ფესვების" წევრები აპირებენ გრანტების მოძიებას და, რაც მთავარია, უპირველესად საერთაშორისო სახელის მოპოვებას.

მანამდე კი, "ფესვების" წევრებს აქვე, თბილისში უნდათ ჯერ ვანო ზოდელავასთან, შემდეგ კი სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრა და თავის გაცნობა.




"გაიტანეთ საარჩევნო სისტემა საბავშვო ბაღებიდან!"


გჭირდებათ დახმარება მიწისა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?

გსურთ მიწის და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?

გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?

მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია!

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:

- მედიაცია ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება,
- კერძო არბიტრაჟი,
- სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა,
- უფასო იურიდიული კონსულტაცია,

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

თქვენ სამსახურშია ასოციაციის ოფისები: თბილისში, ქუთაისში, გორში, ოზურგეთში, ახალციხეში, გურჯაანში და დედოფლისწყაროში.

დაგვიკავშირდით მისამართზე:

ქ. თბილისი, გაგარინის 1 შესახვევი, №8, ტელ: 93 12 76, 93 19 69, 93 16 81.





www.24hours.ge
24
B

ნომრის პერსონა

# საქართველოში ბევრი კარგი ჟურნალისტია

## მაგრამ მათ ერთად ყოფნა არ სურთ

*ჩვენმა პერსონებმა პრესაში იმ პრინციპების დანერგვა მოინდომეს, რაც აგერ უკვე წლებია, საქართველოში ვერ განხორციელებულა - მედიის წარმომადგენელთა გაერთიანება. ეს კი, მოგეხსენებათ, საზოგადოების გაერთიანების პირდაპირპროპორციულია და პირიქით...*
*გუშინ სასტუმრო "მეტეხში" მედიის პროფესიული სტანდარტების და თვითრეგულირების მექანიზმების ჩამოსაყალიბებლად ევროსაბჭოს, თავისუფლების ინსტიტუტის, დემოკრატიულ ინოვაციათა ცენტრისა და თბილისის პრესკლუბის ინიციატივით ქართული მედიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მხურვალე განხილვების შემდეგ ხელი მოეწერა ჟურნალისტის ეთიკის კოდექსს. კარგი რამ მოხდა, რადგან მომავალში გათვალისწინებული პრესის საბჭოს შექმნით მედიის, ცოტა არ იყოს, დამფრთხალ წარმომადგენლებს შეთანხმების განწყობა სულაც არ ეტყობოდათ. "ესპანეთში ფაშიზმის დიქტატურის დამარცხებისა და ფრანკოს სიკვდილის შემდეგ, სრულიად განსხვავებული და განსაკუთრებული გაზეთი - "ელ პაისი" აღმოცენდა. ამ ფაქტმა დანარჩენ მედიას გარკვეული სტიმული მისცა და დღეს ესპანური პრესა ფრანგულსა და იტალიურს ჯობნის..."- ამბობს საფრანგეთის უნივერსიტეტის პრესის ინსტიტუტის ხელმძღვანელი პროფესორი* ***ჟან-კლოდ ბერტრანი*** *და აქვე ასახელებს ქართულ "ელ პაისს" - ტელეკომპანიასა და გაზეთს, რომლის დასახელებისგანაც ჟურნალისტური ეთიკის გამო თავს ვიკავებთ. უფრო სერიოზულად კი - საქართველოში პრესა ერთადერთია, ვინც საზოგადოებას უსმენს. დანარჩენი სამი ხელისუფლება ამას თითქმის ვერ ახერხებს. ამ დასკვნამდე, როგორც ჩანს, ჩვენი სტუმრები, ზემოხსენებული მუსიე ბერტრანი, ევროსაბჭოდან მედია პროგრამის მრჩეველი* ***მარიო ოთაიმერი*** *და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელი* ***როვან ბრედიც*** *მივიდნენ...*



*სტუმრად "24 საათში"*

მაია ქალაგანიძე

**- საქართველოში შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, რა მოლოდინი გქონდათ, როგორ იმუშავებდით კოდექსზე და დაემთხვა თუ არა ეს მოლოდინი რეალობას?**

**ოთაიმერი:** პროგრამის შემუშავების იდეა იმ დღიდან გაჩნდა, რაც ევროსაბჭოში საქართველოს პრესის კანონის საპროექტო განაცხადი შემოვიდა. უნდა ითქვას, რომ პროექტი კარგად აგებული და ვადები მშვენივრად გაწერილი იყო. სწორედ ეს გახდა ის საწყისი წერტილი, საიდანაც პროექტის საქართველოში განხორციელებაზე დავიწყეთ ფიქრი.

ვერ ვიტყვი, რომ ევროსაბჭოსთვის საქართველოში ეთიკის საკითხებზე მუშაობა ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. თუმცა, მედიის ეთიკის ამაღლებაზე, პროფესიონალიზმის დახვეწასა და სრულყოფაზე მუშაობა ევროსაბჭოს მიზნების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

რაც შეეხება ჩვენს წინასწარ შეხედულებებს, აზრებსა და გარკვეულ მოლოდინებს - მინდა ვთქვა, რომ გარკვეულად არსებულ რეალობას უნდა დავეთანხმოთ და სიტუაციასთან ადაპტირება უნდა მოვახერხოთ. არანაირი კონკრეტული იმედი იმისა, რომ პროექტი წარმატებით წარიმართებოდა - თავიდან არ გვქონდა. საერთოდაც, ამასთან დაკავშირებით, არც დადებითი და არც უარყოფითი აზრი გაგვაჩნდა. ვფიქრობდით, რომ ყველაფერი საქართველოსთვის შესაფერისი კანონზომიერებით განვითარდებოდა და შედეგიც შესაბამისი იქნებოდა. თუმცა, პროექტში სხვა ელემენტებიც არის - მედია ომბუდსმენი, პრესის საბჭო... ეს ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

**- ალბათ, საქართველოში არსებულ მედია-სინამდვილეზე რაღაც წარმოდგენა გქონდათ. გარდამავალ და არეულ ქვეყნებში პროექტის მუშაობის გარკვეული გამოცდილებაც გაგაჩნიათ. რეალურად როგორ იმუშავებს ეს პროექტი, ახლა რას ფიქრობთ?**

**ოთაიმერი:** რა თქმა უნდა, სანამ პროექტის განხორციელებას შევუდგებოდით, სიტუაციის გარკვეული ანალიზი გვქონდა... ამაზე ბატონი ბერტრანი მუშაობდა.

**- რა ინფორმაცია გქონდათ ქართული მედიის შესახებ და რა სირთულეებს ელოდით?**

**ბერტრანი:** როდესაც ჩამოვედი და ვითარებას გადავხედე, ჩავთვალე, რომ თავისუფალი პრესის განვითარების ერთადერთი რეალური შესაძლებლობა თვითრეგულირება იყო და ასევე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს არ იმუშავებდა: მთავრობაზე ფსონს ვერ ჩამოხვალ - თავისუფალ პრესას ის ვერ განავითარებს; ასევე ვერ დაეყრდნობი პრესის ბარონებსაც; მედიას საზოგადოება არ ენდობა... რა უნდა ქნა ამ შემთხვევაში?! პირველი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, მედიის წარმომადგენელთა შეკრება იყო, რითიც საზოგადოებაში პრესისადმი რწმენის აღდგენის შანსი გაჩნდებოდა. მაგრამ ამის მოხერხება, გარკვეულ პრინციპებზე შეთანხმების გარეშე, შეუძლებელია. სასტუმრო "მეტეხში" ეს შეხვედრა შედგა - ეს იყო კოდექსი. განცვიფრებული და გახარებული დავრჩი იმით, რომ ამდენი ხალხი ენთუზიაზმით მოეკიდა კოდექსის მიღებას და შემდგომ პერიოდში გასაკეთებელი საქმეებითაც დაინტერესდა.

უნდა შეიქმნას ის სისტემები, რომელიც ამ კოდექსისადმი პატივისცემას უზრუნველყოფს. ამისთვის ყველაზე რეალური პრესის საბჭოს არსებობაა. ეს აერთიანებს გამომცემლებს, ჟურნალისტებსა და საზოგადოებას. საბჭო მთელს მედიასპექტრს წარმოადგენს.

თუმცა, 30 წელია, რაც ამ სფეროში ვმუშაობ, პრესის საბჭოებს შევისწავლი და მინდა გითხრათ, რომ, ძირითადად, ისინი არ მუშაობენ. საფრანგეთს საერთოდ არ აქვს ისეთი ორგანო, როგორიც პრესის საბჭოა... საბჭოები არ მუშაობენ, მაგრამ სიგნალს იძლევიან და ეს არის ის სიგნალი, რომლითაც გამომცემლები ჟურნალისტებს ლაპარაკის უფლებას მისცემენ; ეს ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტი საზოგადოებას აზრის გამოთქმის საშუალებას მისცემს. პრესის საბჭოს მრავალი ელემენტი აქვს და ერთ-ერთი - პრესის ომბუდსმენია (არა იმ გაგებით, როგორიც დღეს საქართველოში, თქვენს გაზეთშია). აგრეთვე ერთგვარი ელემენტია - შეცდომების გასასწორებლად გამოყოფილი სპეციალური უჯრები.

მედიის ანგარიშვალდებულების 80-მდე სისტემა მაქვს დათვლილი. ზოგი არასამთავრობოა, ზოგი - მედიაშია შექმნილი, ზოგიც - მის გარეთ. არსებობს მედიისა და არამედიის თანამშრომლობაში ჩართული ელემენტებიც... ამ ყველაფერს ერთად ორი რამის გაკეთება შეუძლია - გაზარდოს და გააუმჯობესოს მედიის ხარისხი, საზოგადოებას მედიისადმი ნდობა დაუბრუნოს. ამის შემდეგ საზოგადოებაცა და მედიაც უფრო მდგრადი ხდება და გაცილებით ადვილად უძლებს ხელისუფლების დაწოლას. ვფიქრობ, რომ საქართველოში ეს პროცესი დაიწყო. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, მაგრამ... ამან უკეთესი ფინანსური შესაძლებლობების მქონე ქვეყნებშიც კი ვერ იმუშავა. მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებს მოვიყვან - აღფრთოვანებული ვიყავი 60-70-იანი წლების ამერიკული მედიით. 1994 წლიდან სტაგნაციის პროცესი დაიწყო და ხარისხი გაუარესდა. დღეს ამერიკული მედია მთლიანად სექსუალური მიმართულების გართობაზეა აგებული და, გარდა ამისა, გარკვეულწილად ხელისუფლების გავლენის ქვეშ იმყოფება. ამის სიმბოლოდ ორი რამ გამოდგება - მონიკა ლევინსკი და ომი ერაყში...

**- თუკი პროექტმა არ იმუშავა დიდ ქვეყნებში, რატომ ფიქრობთ, რომ პრესის საბჭოები საქართველოში იმუშავებს?**

**ბრედი:** ვფიქრობ, რომ სტანდარტის შექმნა და ჟურნალისტიკის განვითარებაში გარკვეული ძვრები - დადებითი მოვლენაა. რა თქმა უნდა, ძალზე პატივსაცემი გამონაკლისებიც არსებობს, მაგრამ როდესაც რამდენიმე წლის წინ საქართველოში ჩამოვედი, მედიისადმი საზოგადოების მოთხოვნილების არარსებობით განცვიფრებული ვიყავი. ყველაზე თავზარდამცემი კი ძლიერი ჟურნალისტური საზოგადოების არარსებობა იყო. ახლახან დავბრუნდი აზერბაიჯანიდან, ასევე ვიყავი სომხეთშიც - რა თქმა უნდა, სიტუაცია განსხვავებულია, მაგრამ იქ ჟურნალისტები კარგად არიან ორგანიზებული.

ჩემი ძირითადი მიზანია, მოხდეს ჟურნალისტების გაერთიანება. თავად წარმოვადგენ ჟურნალისტთა საერთაშორისო პროფკავშირებს. ჩვენი კავშირი ჟურნალისტთა ხელფასებზე, მათ საცხოვრებელ პირობებზე და სხვა პრობლემებზე ზრუნავს. ჩემთვის სამწუხაროა, რომ საქართველოში სიტუაცია უცვლელია და ჟურნალისტებს თავისი ორგანიზაცია არ გააჩნიათ.

ერთი რამ მინდა ვთქვა - საქართველოში ბევრი კარგი ჟურნალისტია, მაგრამ ვერ ვამჩნევ, რომ მათ ერთად ყოფნა სურთ.

**- საზოგადოებას ნაკლებად აინტერესებს, იქნება თუ არა ჟურნალისტთა საბჭო. ჟურნალისტებს კი ამის ერთგვარი შიში გაუჩნდათ. რა იქნება ამ შიშის დაძლევის მექანიზმი?**

**ბრედი:** პრესის საბჭოს იდეაც ისაა, რომ ჟურნალისტებმა დაიცვან საკუთარი თავი, გაიუმჯობესონ პირობები. პრესის საბჭო იმისთვისაა, რომ გარედან უხეშ ჩარევას აღუდგეს წინ.

**ბერტრანი:** მთელ რიგ ქვეყნებში, ჟურნალისტების დიდი ნაწილი წინააღმდეგია და შიშით უყურებს პრესის საბჭოს შექმნას.

**- რა განაპირობებს ამ საბჭოს წონასა და გავლენას?**

**ბერტრანი:** ეს არის შიში, რაც მთავრობიდან გამომდინარე არსებობს. ქვეყნების დიდ ნაწილში ეს საბჭოები მას შემდეგ შეიქმნა, რაც პარლამენტებმა და მთავრობებმა მედიის კანონმდებლობით დარეგულირებისთვის ნაბიჯების გადადგმა დაიწყეს.

**- ექნება თუ არა ამ კოდექსს ლეგიტიმურობა დავისა და სასამართლოს შემთხვევაში?**

- უნდა შევთანხმდეთ, რომ პრესის საბჭოს არანაირი იურიდიული ძალა არ ექნება. ერთადერთი, რისი თქმაც მას შეეძლება, იქნება - "გაზეთს შეეშალა, არასწორი იყო..." პრესის საბჭოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდება, სულ ეს არის. ჟურნალისტებს ეს ძალიან არ მოსწონთ.

**- როგორც შევატყვე, ეს არის ორგანიზაცია, რომელიც, ერთის მხრივ, მთავრობასა და მეორეს მხრივ, მედიას აფრთხობს...**

- ეს ასე არ არის. საბჭო აერთიანებს ხალხის გარკვეულ ჯგუფს, საუკეთესო შემთხვევაში, პრესის საბჭო მხოლოდ საჩივრების განხილვით არ შემოიფარგლება (რაც ბევრ ქვეყანაში იქცა ძირითად პრობლემად). ამ საბჭომ განსაკუთრებული მისია სწორედ განვითარებად ქვეყნებში უნდა ითაოს - ჟურნალისტების ტრენინგი, კვლევების ჩატარება, მათი უფლებების დაცვა და სხვა.

**- ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელი მედიის სიჭრელის პირობებში რამდენად შეუწყობს ხელს პრესის ობიექტურობას დადგენილი პროფესიული სტანდარტები?**

- მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის გამოსადეგი უფრო კანადური მოდელია. იქ ყველა პროვინციას პრესის თავისი საბჭო აქვს. თავიდან ეს საბჭოები რამდენიმე გაზეთმა შექმნა. ვფიქრობ, რომ კარგმა გაზეთებმა აქაც უნდა შექმნან მსგავსი ორგანოები. ხარისხი ძირითადია, რადგან ფულს სწორედ ხარისხში იხდიან. ინგლისში, ბოლო 10 წლის განმავლობაში, პოპულარულმა გაზეთებმა მილიონობით მკითხველი დაკარგა - ვგულისხმობ უბრალო გაზეთებს, თორემ ხარისხიანმა გაზეთებმა მკითხველთა რაოდენობის დიდი ზრდა მიიღეს. 30-იან წლებში, მეორე მსოფლიო ომამდე, ინგლისის წამყვანი გაზეთი "გარდიანი" დღეში 40 000 იყიდებოდა, დღეს კი მისი ტირაჟი დღეში 400 000 ეგზემპლარია.

**- ამ ტენდენციაში რა არის პრესის საბჭოს დამსახურება?**

- საბჭო ამ პროცესის ერთ-ერთი მონაწილე იყო, თორემ გადამწყვეტი როლი არ უთამაშია...

**- თქვენ თავისუფალი ჟურნალისტი ხართ. მედიის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ირლანდიური და ქართული მედიის გზები მსგავსი იყო?**

**ბრედი:** შედარება რთულია, რადგან ირლანდია არასდროს ყოფილა ცენტრალიზებული დიქტატურის მსხვერპლი...

**- მაგრამ, ქვეყნის კოლონიად ქცევის ნიშნები აშკარად იყო...**

- დიახ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს დიქტატურა იყო. ირლანდიაში ეროვნული მოძრაობა სწორედ გაზეთით დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში საგაზეთო ინდუსტრია მასშტაბური არ იყო - 150 წლის განმავლობაში საკმაოდ კარგად ასრულებდა თავის ფუნქციას. ამიტომაც საქართველოსთან ვერ შევადარებ...

**ბერტრანი:** პრესის საბჭოები არც ირლანდიაში და არც საფრანგეთში არსებობს, მაგრამ რეალობას თუ გავითვალისწინებთ, ირლანდიის მედიაბაზარი ბრიტანეთის საერთო საინფორმაციო მედიაბაზრის ნაწილია. ირლანდიაში პრესის საბჭოს არარსებობის მიზეზი ის არის, რომ იქ ცილისწამებისთვის, შეურაცხყოფისთვის საკმაოდ მკაცრი კანონებით ისჯებიან და იმის მიზეზი, რომ აკრძალვის კანონები საკმაოდ მკაცრია, სწორედ პრესის საბჭოების არარსებობაა.

**ოთაიმერი:** ჩვენ პრობლემის გადაჭრის და პრესის თავისუფლების ლიმიტირების შეზღუდვის ერთ-ერთი ინსტრუმენტი ვართ... ბატონ ბერტრანს ვეთანხმები, რომ პრესის საბჭოს დიდი ძალაუფლება არ გააჩნია, მაგრამ მას აქვს ე.წ. რბილი ძალა, გარკვეული დარწმუნების ძალა, თანხმობის ძალა. თავისი არსიდან გამომდინარე, საბჭოებს გარკვეული გავლენა გააჩნია და, რა თქმა უნდა, ცვლილებების უნარიც აქვს.

**- სასტუმრო "მეტეხში" გამართულ სემინარზე დღევანდელი ქართული ჟურნალისტიკის სპექტრი იყო წარმოდგენილი. როგორ იმუშავეთ ამ კონტიგენტთან, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

**ოთაიმერი:** ამ შეხვედრაზე ყველაზე შთამბეჭდავი ჟურნალისტთა დაქსაქსულობა იყო. ბოლოს კი ყველამ მაინც ერთიანი პოზიცია დააფიქსირა. ამ შეხვედრის ძირითადი მიზანი სწორედ საკითხის გარშემო ერთიანობა გახლდათ.

**- ეთიკის კოდექსის ქართული ვარიანტი სხვადასხვა ქვეყნის კოდექსებიდან ამოღებული ნაკრებია, რას ფიქრობთ ამაზე?**

**ბერტრანი:** ეთიკის ორასზე მეტი კოდექსი მაქვს წაკითხული და ქართული კოდექსიც იმ პრინციპთა უმრავლესობას შეიცავს, რასაც სხვები. სინამდვილეში ყველა კოდექსი ერთი და იგივეა, მაგრამ ქართული ვარიანტი ყველა მათგანზე უფრო სრულყოფილია...

**- ბრძანეთ, რომ დღეს საქართველოში პრესომბუდსმენი არ არის...**

**ბერტრანი:** გერმანიაში საერთოდ არ არის ომბუდსმენი, საფრანგეთში კი ერთადერთია... ომბუდსმენი არის ერთი კაცი, რომელიც პრესის საბჭოს ფუნქციებს ასრულებს და პრობლემებს აგვარებს... კარგი პრესა ის პრესაა, რომელიც საზოგადოებას კარგად ემსახურება. პრესა ამას ვერ გააკეთებს, თუ ის ყურს არ დაუგდებს საზოგადოებას. ძირითადად. მედიის ანგარიშვალდებულების სისტემაც სწორედ ესაა - მიიღოს რჩევა საზოგადოებისგან.

**- რამდენ ხანში დავინახავთ პრესსაბჭოს სიკეთეს, თუ საერთოდ შეიქმნა, ან რამდენ ხანში მოგვაყენებს ზიანს?**

**ოთაიმერი:** ეს პრესის განვითარების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. თავის როლს ითამაშებს ეთიკის კოდექსი, პრესის საბჭო, ეკონომიკური განვითარება - ეს კომპლექსი აუცილებლად მოგვცემს დადებით შედეგს. მთავარია, ეს სისტემა ამუშავდეს...

**ბერტრანი:** და თუ ერთი სტატია მაინც დაიწერება იმაზე უკეთესი, ვიდრე ადრე და ამის მიზეზი ჟურნალისტის მიერ ეთიკის კოდექსის თუნდაც ერთ მუხლის ცოდნაა, ესეც დადებითი შედეგია.

**- გამოდგება თუ არა ეს კოდექსი ცვლილებების მომლოდინე საქართველოს პრესის კანონის საფუძვლად, ან ალტერნატივად?**

**ოთაიმერი:** არ მინდა იფიქროთ, რომ ახალი პრესის კანონის მიღება ჩემს ინტერესებში შედის, თუმცა მინდა გითხრათ, რომ ევროპის საბჭოში განხილული საქართველოს პრესის კანონის ახალი ვერსია კარგი მიმართულებით მიდის და მასში უარყოფითი არაფერია... ეს კანონი გარკვეულწილად ამყარებს პრესის თავისუფლებას. კანონში გათვალისწინებული თემები კოდექსს არ ეხება. სხვადასხვა საშუალებებით ორივე დოკუმენტის მიღება ერთობლივად გააუმჯობესებდა საქართველოში მედიის მდგომარეობას.

**- რა დაემართება იმ ჟურნალისტს, რომელიც არ დაიცავს კოდექსით გათვალისიწინებულ ნორმებს?**

**ბერტრანი:** იგი თავისი კოლეგებისგან და საზოგადოებისგან გარიყულად იგრძნობს თავს... ეს დროში გაწელილი პროცესია. მაგალითად სხვა ქვეყნების გამოცდილებას მოვიყვან - ჟურნალისტს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს სასამართლოს განსჯის საგანი გახდება - მხარდაჭერა არ ექნება არც საზოგადოებისგან და არც კოლეგებისგან. იგი უხარისხო, ყვითელი პრესის წრმომადგენლად აღიქმება.

პარალელს ესპანეთსა და საქართველოს შორის გავავლებდი: როცა ესპანეთში ფაშიზმი დაემხო და ფრანკო გარდაიცვალა, სრულიად ახალი და განსხვავებული ტიპის გაზეთი "ელ პაისი" გაჩნდა. ამ გაზეთმა ესპანეთის მთელ მედიას მისცა სტიმული. შემდეგ "ელ პაის"-მა გააერთიანა რადიო, ტელევიზია, ჟურნალი და დღეს ესპანეთის მედია იტალიისა და საფრანგეთის მედიას სჯობნის. ამის ნიშნები საქართველოში დავინახე.

**- ჩვენთან ფაშიზმი არა, მაგრამ კომუნიზმი კი იყო...**

- რა არის კომუნიზმი, თუ არა ფაშიზმი?


*ჟან კლოდ ბერტრანი*


*მარიო ოთაიმერი*


*როვან ბრედი*


*გიორგი ტუღუში - თავისუფლების ინსტიტუტი*

ზაალ სამადაშვილის სვეტი



## ნუ "ეყვარებით"!

"ეყვარებით", თუკი არ გექნებათ ხმელი და მშრალი მარჯვენა...

"ეყვარებით", თუკი ვერ დააყენებთ კარგ ღვინოს და ვერ დაწერთ კარგ წიგნებს...

"ეყვარებით", თუ არ ეყვარებით ულამაზეს ქალებს...

"ეყვარებით", თუკი ტომ უეიტსის ჩახლეწილ ხმას ენრიკო და სხვა იგლესიასების "ხავერდოვანი" ტემბრი გერჩივნებათ...

"ეყვარებით", თუკი განიკითხავთ კაცს, რომელმაც "მდინარის გადაღმა, ხეთა ჩრდილში" დაწერა და მერე თოფის ლულა ჩაიდო პირში...

"ეყვარებით", თუკი არ გექნებათ სხვისი წარმატებით გახარების უნარი...

"ეყვარებით", თუ განაცხადებთ, რომ მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარო, ნაცვლად იმისა, რომ თქვათ, მთელი ცხოვრება ბავშვობაში ვბრუნდები, სიწრფელესა და სილამაზეში...

"ეყვარებით", თუკი ქუჩაში მოთამაშე პატარა, გახვითქული ბიჭებისგან შემთხვევით გამოგორებულ ბურთს ვერ აკენწლავთ და "მოჭრილი" დარტყმით ვერ დაუბრუნებთ უკან...

"ეყვარებით", თუკი არ გეცოდინებათ სტრიქონები, - "ქალაო, შენ რო ქმარი გყავ, თორმეტს გაგითლი ხისასა"...

"ეყვარებით", თუკი ერთხელ მაინც არ გაგიჩნდებათ სურვილი ალიყური აჭამოთ გნებავთ რა ჯურისა და გნებავთ რა ჩინის მოძალადეს...

"ეყვარებით", თუკი არ გეყვარებათ საკუთარი თავი...

"ეყვარებით", თუკი დარწმუნებული იქნებით, რომ შეუძლებელია ადამიანის გალამაზება წარმოსახვით, როგორც ეს მოახერხა მწუხარე სახის რაინდმა ერთ უშნო სოფლელ გოგოსთან მიმართებაში...

...

ნუ "ეყვარებით"!

ნუ შეუშინდებით ნაჩეხებსა და ნასერებს, რომელთაც მრავლად დაგიტოვებენ სულსა და სხეულზე...

დაე, თქვენი დანახვისას მებრძოლი ძაღლი გაახსენდეთ, დაბალი და დაკუნთული, ზორზოხა, თავისზე ჯანიან ნაგაზებს რომ ამტანობით ამარცხებს და ვიქტორიანულ ლონდონში რომ მოძრაობდა ბილ საიქსთან ერთად...

ბულზო ერქვა იმ თეთრ ძაღლს მგონი, არა?!

## ინფორმაცია

### ელენე თევდორაძის სასცენო დებიუტი

დღეს ქართულ ესტრადაზე ელენე თევდორაძის სასცენო დებიუტი შედგება. პატიმართა უფლებების ცნობილი დამცველი ელენე თევდორაძე მონაწილეობას მიიღებს მომღერალ სტეფანე მღებრიშვილის სოლო კონცერტში. ის სტეფანესთან ერთად დუეტში იმღერებს. აღსანიშნავია, რომ ელენე თევდორაძის დუეტი საახალწლოდ ჩაიწერა და მისი პრემიერა ახალ წელს პირველი არხით იყო ნაჩვენები. **(კავკას-პრესი)**

### ალმოაჩინე ქართული მინა

საქართველოში ამგვარი ღონისძიება პირველად იმართება: მასმედიის წარმომადგენლები, ბიზნესმენები, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები და ქართული საზოგადოების გამოჩენილი ადამიანები ქსანში გაემგზავრებიან, სადაც მინის ქარხანაში ახალი საწარმოო ხაზის გახსნა აღინიშნება.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ქსნის მინის ქარხნის ხელმძღვანელობა საწარმოში საზეიმო საღამოს აწყობს, სახელწოდებით "ალმოაჩინე ქართული მინა", რომლის მიზანიც სამამულო მრეწველობის პოპულარიზაცია გახლავთ.

მიწვეული სტუმრები უჩვეულო სანახაობის მომსწრენი გახდებიან: მოდელების სააგენტო "იმიჯცენტრის" მშვენიერი გოგონები ქარხანაში ქართული მინის პრეზენტაციას გამართავენ, ხოლო "შერატონ მეტეხი პალასი" სტუმრებს მისთვის ჩვეული გულუხვობით გაუმასპინძლდება.

მანამდე კი "მინის" ხელმძღვანელობა მასმედიის წარმომადგენელთათვის პრესკონფერენციას გამართავს. **(24 საათი)**

### ფრანგული ფილმი საქართველოზე კანში

საქართველოს ისტორიის შესახებ გადაღებული ფრანგული ფილმი - "მას შემდეგ რაც ოთარი წავიდა" კანის კინოფესტივალზეა წარდგენილი. ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ზაზა ურუშაძის თქმით, ფილმი ფრანგმა რეჟისორმა ჟიული ბერტუჩელიმ საქართველოში გადაიღო და მასში "თავისუფალი თეატრის" მსახიობი ნინო ხომასურიძე მონაწილეობს. კინოსტუდია "საფრანგეთმა" იგი ფილმში "როცა ოთარი წავიდა" ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის კანის ფესტივალის ნომინაციაზე წარადგინა. მსახიობი გუშინ საფრანგეთში გაემგზავრა.

"გადაღებები რამდენიმე თვის წინ დასრულდა. თავად ფილმში კი მოთხრობილია ქართული ისტორია" - დასძინა ურუშაძემ. რაც შეეხება ქართველი რეჟისორების მიერ გადაღებულ ფილმებს, ზაზა ურუშაძის თქმით, წელს კანის ფესტივალში ქართული ფილმები მონაწილეობას არ მიიღებენ. **(24 საათი)**

### გალა-კონცერტი დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად

კომპანია "არტ-იმედი" და თბილისის კულტურის საქალაქო სამსახური 26 მაისს რესპუბლიკის მოედანზე გრანდიოზულ გალა-კონცერტს გეგმავენ. კონცერტში რასაკვირველია, მონაწილეობას მიიღებს კომპანიაში გაერთიანებული ყველა შემსრულებელი. ამას გარდა, 26 მაისს "არტ-იმედი" დაარსებიდან ერთი წლის იუბილესაც იზეიმებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მოსკოვშიც აღნიშნავენ. ლიანა ისაკაძე მოსკოვის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში 25 მაისს საქველმოქმედო კონცერტს გამართავს. როგორც ლიანა ისაკაძის პრესცენტრიდან გვაცნობეს, კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად ინვალიდ ბავშვთა ფონდში გადაირიცხება. მოსკოვში ლიანა ისაკაძე საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრთან ერთად დაუკრავს. **(24 საათი)**

### ხანგრძლივი პაუზის შემდეგ

გუშინ სამეფო უბნის თეატრში მომღერალ ნანული აბესაძის კონცერტი გაიმართა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ნანული აბესაძე ქართველი მსმენელის წინაშე მერაბ სეფაშვილთან, ეკა მამალაძესთან, ნიკა მემანიშვილთან და ნუკრი კაპანაძესთან ერთად წარსდგა. მომღერალმა 40 წლიანი მოღვაწეობის რეპერტუარიდან მხოლოდ საუკეთესო სიმღერები შეასრულა. კონცერტის პროექტის ხელმძღვანელი ჯარჯი მაღალაშვილია.

### ახალი აღმოჩენა ვატიკანში

ვატიკანში ადგილის გაწმენდისას, სადაც ავტოსადგომი უნდა გაეკეთებინათ, არქეოლოგებმა მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთეს. მათ ძველი, პირველმოციქულ პეტრეს დროის ნეკროპოლისი აღმოაჩინეს, რომლის შესახებაც სახარება გვიამბობს. თუ ნეკროპოლისის სიძველე დამტკიცდა, მაშინ თავის ჰიპოთეზას წამოაყენებს ისტორიკოსი მარგარიტა გუარდოჩი. იგი ვარაუდობს, რომ წმინდა პეტრეს ტაძრის საკურთხევლის ქვეშ თავად პეტრეა დასაფლავებული. ეს ვერსია დასაბუთებას 1952 წლიდან ელოდება.

გათხრების ადგილას აღმოჩენილ იქნა წარმართული და ქრისტიანული ხანის სარკოფაგები, იატაკის მოზაიკა, ამფორები, ტერაკოტის ნაკეთობები.

# ბიოლოგიურად აქტიურნი

**ДДТ თბილისს ეწვევა**

ანა კორძაია-სამადაშვილი

*დიქლორდიფენილტრიქლორმეთილ მეტანი, ანუ, მოკლედ და გასაგებად, **ДДТ**, მდგრადია და შხამიანი, გარემოსა და ორგანიზმში ნელა იშლება. ვერც ტემპერატურის ცვლილება და ვერც უცხო ნივთიერებების მომსპობი ფერმენტები ვერაფერს აკლებს...*

1980 წლის ზაფხულში, ბაშკირეთის დედაქალაქ უფაში, 23 წლის დიპლომირებული მხატვარი, თვითნასწავლი გიტარისტი და დამწყები პოეტი, იური შევჩუკი, ერთ-ერთ ადგილობრივ კულტურის სახლში შევიდა, სადაც ოთხი ახალგაზრდა – რუსტემ ასანბაევი, გენადი როდინი, ვლადიმირ სიგაჩოვი და რუსტემ კარიმოვი – ლუდს სვამდა და საყვარელი დასავლური ჯგუფების სიმღერებს მღეროდა. ასე დაიწყო ყველაფერი, და ასე შეიქმნა ეერ, რომლის შხამიანი სახელიც კარგა ხანი უშლიდა ნერვებს მათ, ვინც 70 წლის განმავლობაში დანამდვილებით იცოდნენ, რა უნდა წაეკითხათ და რა უნდა ემღერათ სსრკ-ს ხალხებს.

არცთუ ხანმოკლე არსებობის განმავლობაში ДДТ-ს შემადგენლობა და ადგილსამყოფელი მრავალჯერ შეიცვალა. უცვლელი მხოლოდ იური შევჩუკის პიროვნება და მისი შემოქმედებითი კრედოა.



ДДТ

შევჩუკი არამარტო შესანიშნავ მუსიკოსად და მრავალი ჰიტის ავტორად გვევლინება. იური შევჩუკი – ყოველ შემთხვევაში, ჩემი თაობის წარმომადგენელთათვის მაინც – ყოველთვის მზად იყო თავის მოქალაქეობრივი პოზიციის განსაცხადებლად. მრავალი სხვა "იმდროინდელი" ხელოვანისგან განსხვავებით, ის კვლავ ასეთად რჩება – შესაძლოა, იმის გამოც, რომ ავღანეთის აგრესიის, გაყიდული ბიუროკრატიის დიქტატისა და სხვა, თუმცა სერიოზული, მაგრამ წარმავალი პრობლემების გარდა, ის მარადიულს უძღვნის თავის შემოქმედებას – მსოფლიოს ბედზე ყოველი ადამიანის პირად პასუხისმგებლობას, კონფორმიზმსა და სინდისს შორის ზნეობრივი არჩევანის თემას.

- უბადრუკობას ვერ ვიტან, - წერდა შევჩუკი. – გმირებიც არ მიყვარს – ისინი, უბრალოდ, არ არსებობენ... არსებობენ ადამიანები და არაადამიანები. მრავალნი გაჩნდნენ, თითქოს მართალს რომ ამბობენ, და სინამდვილეში სულ სხვანაირად იქცევიან. მე ძალიან პირდაპირი ადამიანი ვარ და ვცდილობ გულწრფელი ვიყო. გულწრფელი ხალხი მიყვარს: თუნდაც ჩემსავით არ ფიქრობდე, თქვი, რას ფიქრობ, შემეკამათე, ნუ იმალები, ნუ იქნები მონა...

დღეს და ხვალ ლეგენდარულ როკ-ჯგუფს თბილისი მასპინძლობს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში, 19 საათზე, ДДТ-ს კონცერტები გაიმართება.

# ედმონდ კალანდაძე უცვლელი ფერადოვნებით

ნინო ჟანიშვილი

ედმონდ კალანდაძეს 4 მაისს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. გუშინ ცისფერ გალერეაში უმეტესად მხატვრის ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში შექმნილი ნამუშევრები გამოიფინა. ვინც ბატონი ედმონდის შემოქმედებას იცნობს შენიშნავდა, რომ მის მხატვრობაში თითქმის არაფერი შეცვლილა - იგივე თემატიკა და ფერები: ლურჯი ხეები, ყვითელი ცა, წითელი თივის ზვინები და ნარინჯისფერი მიწა. კაშკაშა ფერებზე აგებული კონტრასტულობა და ლაკონური პასტოზური მონასმები, მხატვრის შემოქმედებაში ათწლეულების განმავლობაში უცვლელი რჩება.

დასავლეთ საქართველოში გაზრდილი ედმონდ კალანდაძისთვის ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილებები - დიდებული მთები და ვერცხლისფერი, მთვარიანი ღამეები, დღესაც მისი შთაგონების წყაროს წარმოადგენს.

1941 წელს ედმონდ კალანდაძე წითელ არმიაში გაიწვიეს, სადაც 4 წელი იმსახურა. დაამთავრა სამხედრო საავიაციო სკოლა. შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემია დაასრულა, სადაც 14 წლის მანძილზე თავადაც ასწავლიდა. ედმონდ კალანდაძეს ბევრი მიმდევარი ჰყავს, რომლებიც ხშირად მისი ფერწერული გავლენიდან ვერ გამოდიან, თუმცა მის ყოფილ სტუდენტებს შორის სახელოვანი ადამიანებიც არიან. მაგალითად, საფრანგეთში მოღვაწე ხელოვანი გუჯი ამაშუკელი თავის ბიოგრაფიებში თბილისის სამხატვრო აკადემიაში გატარებული წლების შესახებ, პირველ რიგში, ბატონ ედმონდს იხსენებს.



ედმონდ კალანდაძე

საბჭოთა ხანაში ედმონდ კალანდაძეს ფორმალისტ მხატვრად მიიჩნევდნენ. ამის მიზეზი ის გახდა რომ სახელმწიფო დაკვეთებს არ ასრულებდა და იმ დროისთვის სავალდებულო თემატიკაზე არ მუშაობდა. როგორც თავად მხატვარი ამბობს: **"არასოდეს სხვანაირი არ ვყოფილვარ, არასდროს არ მქონია შეკვეთები. ყოველთვის ვხატავდი და ეხლაც ვხატავ: შიშველ ქალს, მთებს, ბებიაჩემს, შეყვარებულს და ისევ შეყვარებულს. ერთხელ, როცა სტუდენტი ვიყავი ბერიამ შემომითვალა - გააკეთე ის, რაც საჭიროა და ლაურეატი იქნებიო, მაგრამ მე არ გავაკეთე. რაც იმას არ ნიშნავს, რომ გმირი ვარ".**

ზვიად გამსახურდიას მთავრობის დროს ედმონდ კალანდაძე რამდენიმე თვის განმავლობაში კულტურის მინისტრი იყო, რის შესახებაც მხატვარს გამოფენაზე მყოფმა სესილი გოგიბერიძემ მოაგონა.

დღეს რუსთველის პრემიის ლაურეატი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი ედმონდ კალანდაძე, როგორც მისი მეგობრები ამბობენ, ისეთივე ენერგიულია და ისეთივე შემართებით მუშაობს, როგორც ახალგაზრდობაში. იგი ყოველ დღე ვარჯიშობს, უყვარს ნადირობა და რაც მთავარია ყოველდღე დაუღალავად ხატავს პეიზაჟებს და ქალებს. მხოლოდ ის არის, რომ ერთი დღე მუშაობა 50 ლარი ღირს. **"სად ვშოულობ ამ ფულს კაცმა არ იცის".**

# ფესტივალი "საჩუქარი" დასრულდა

თამარ სუხიშვილი

წლევანდელი "საჩუქარი" ზუსტად ორი კვირის თავზე დასრულდა. და რახან დასრულდა, მოდით, თვალი გადავავლოთ იმას, რაც მოხდა. თავიდან დავიწყებ. სტუმრების სიმრავლით წლევანდელი ფესტივალი დიდად არ გამორჩეულა, ორი სტუმარი საბერძნეთიდან, ერთი იტალიიდან და ორიც რუსეთიდან. სამაგიეროდ, წარმომადგენლობითი იყოო – შემოგვედავება ვიღაც. გეთანხმებით, თუმცა ერთი და მეორე ერთმანეთს ხელს არ უშლის. ფინანსებიო, - დაიჩივლებს ვიღაც. რას ვიზამთ, ეს ოხერი ფინანსები ყველას და ყველაფერს სჭირდება, ამას ვეღარაფერს უშველი, ახლა მთავარია ფული თეატრს (და საერთოდ ხელოვნებას) არ დაეპატრონოს, თორემ, როგორც ფესტივალის საპატიო სტუმარი ანატოლი ვასილევი ამბობს, ფულის პარტიასა და ბოლშევიკურ პარტიას შორის დიდი განსხვავება არ არის, მანიპულირების ხერხები აქაც და იქაც ერთი და იგივეა. მართლაც, დაგვაფიქრა რუსი რეჟისორის ნათქვამმა, მასკულტურის მოზღვავების გამო რომ წუხდა და ამბობდა, ფულმა თეატრალური ენა ისე შეცვალა, მეშინია, ჩემი ნამუშევრები სრულიად გამოუსადეგარი არ გახდესო...

"საჩუქარი" ბერძენი რეჟისორის, მიხაილ მარმარინოსის სპექტაკლით – "ეროვნული ჰიმნით" გაიხსნა. ქართველი თეატრალებისთვის, რომელთაც უკვე ნანახი ჰქონდათ "ჰიმნის" ბერძნული ვარიანტი, ქართული ვარიანტის ნახვა ორმაგად საინტერესო უნდა ყოფილიყო... აქ აღარ შევჩერდებით იმაზე, რომ სპექტაკლმა საზოგადოებაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა და ერთგვარი აჟიოტაჟიც კი გამოიწვია. თეატრის მისეული ესთეტიკა ბევრისთვის ძალიან უცხო თუ მიუღებელი აღმოჩნდა. თუმცა, ალბათ, დამეთანხმებით, რაც არ უნდა უცხო ყოფილიყო, მაყურებლის ერთ ნაწილს, მათ შორის ქართველი რეჟისორებისა და მსახიობების ერთ ნაწილს, სტუმართმოყვარეობით გამორჩეულ ქვეყანაში იმდენი პატივისცემა მაინც უნდა გამოეხატათ, რომ სპექტაკლი შუა გზაზე არ მიეტოვებინათ. ნუთუ იმდენი ცნობისმოყვარეობა (ინტერესზე აღარაფერს ვამბობ) მაინც არ ჰქონდათ, რომ ფინალი ენახათ? "ასე ძალიანაც კი არ მიყვარს თეატრი, რომ ბოლომდე დავრჩეო," - ყური მოვკარი ერთი დამსახურებული რეჟისორის ნათქვამს, რომელიც დარბაზიდან გადიოდა; არადა, ეს ადამიანი თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლის, ამ ინსტიტუტში კი სწორედ ის ახალგაზრდები სწავლობენ, მარმარინოსის სპექტაკლში სცენაზე რომ ვიხილეთ.




"საჩუქარის" პლაკატი

ამ ფაქტთან დაკავშირებით კინომცოდნე გოგი გვახარიამ ასეთი კომენტარი გააკეთა: "ეს სპექტაკლი ქართველ რეჟისორს რომ დაედგა, დარბაზს არცერთი მაყურებელი არ დატოვებდა, არც ინტერვიუებში გააკრიტიკებდნენ; ახალგაზრდების დამოკიდებულებაში კარგად გამოჩნდა ქართული ძმაკაცური სიტუაცია. რაც შეეხება უფროს თაობას, ის, მგონი, გაღიზიანდა იმით, რომ ასეთი თეატრი დიდი ხანია ჩვენთან არ ყოფილა, ქართული თეატრი ხომ "კაპუსტნიკებმა" წალეკეს..."

სივრცის ფლობით, მუსიკალურობითა და პლასტიკით გამოირჩეოდა მეორე ბერძენი სტუმრის, სტავროს ცაკირისის ნამუშევარიც - ესქილეს "სპარსელები". თუ მიხაილ მარმარინოსმა ანტიკური ქოროს ფუნქციები თანამედროვე თეატრალურ სივრცეში განავრცო და გააქტიურა, სტავროს ცაკირისმა სცენაზე ანტიკური ქორო გამოიყვანა და ბერძნული ტრაგედია ისე ოსტატურად გაათამაშა ღია ცის ქვეშ, რომ ქართველმა მაყურებელმა, რომელსაც ბერძნულ ენაზე ნათქვამ-ნამღერი არცერთი სიტყვა არ გაუგია, მშვენივრად გაიგო თეატრის უნივერსალური ენა, სპექტაკლის დრამატიზმი მასაც გადმოედო და აღტაცებული ტაშით დააჯილდოვა ბერძენი მსახიობები, რომლებიც შუაგულ მზეზე მსახიობური თავგანწირვით უცხადებდნენ პროტესტს ომს და ამტკიცებდნენ დიდი ბერძენი ტრაგიკოსის სიტყვებს - მთავარი ფასეულობა ადამიანის სიცოცხლეა.

ბერძნული თეატრისგან სრულიად განსხვავებულმა, მსუბუქი ჟანრის, იტალიურმა სიჩუმის თეატრმა "სილენსე ტეატრომაც" სამოქმედოდ, ჩვეულებისამებრ, ღია ადგილი აირჩია და აბანოთუბანს ესტუმრა. ასეთ სახელდახელოდ მომზადებულ პერფორმანსებს ევროპაში, განსაკუთრებით კი იტალიაში, ლამის ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით, ჩვენი ქალაქისთვის კი მაინც სიახლეა (თუმცა თავის დროზე მოხეტიალე წარმოდგენები, ბერიკები და ა.შ არც ჩვენი ყოფისთვის ყოფილა უცხო), ამიტომ ბავშვებმაც ბევრი იხალისეს.

თეატრის მოყვარულთათვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ევგენი გრიშკოვეცი, რომელსაც რუსეთში "ჩვენი დროის გმირსაც" კი უწოდებენ. თავის "დრედნოუტში" თემატურად ერთგვარად გააგრძელა მარმარინოსის სახელმწიფო სიმბოლიკის თემა, ოღონდ აქ მონოლოგი დროშის ირგვლივ ტრიალებდა...

ფესტივალის დასკვნით ნაწილში ცნობილ რუს რეჟისორთან, ანატოლი ვასილიევთან შეხვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა (სხვათა შორის, ვასილიევი ერთადერთი იყო "საჩუქარის" მთავარ პერსონაჟებს შორის, ვინც პირველად ეწვია საქართველოს). მის მიერ წარმოდგენილმა სამმა ვიდეოსპექტაკლმა დაგვანახა, რა არის ნამდვილი თეატრი, რას ნიშნავს თეატრალური ფორმის გრძნობა, მსახიობის ტანჯვა...

2003 წელს ფესტივალი დროსა და სივრცეში ასეთნაირად გადანაწილდა: დრო 1-დან 14 მაისამდე, სივრცე: ოფიციალური – "ახლების" ოფისი; თეატრალური - ვაკის თეატრალური სარდაფი, მარჯანიშვილის თეატრი, კინოს სახლი, პატარა თეატრი; "ანდერგრაუნდული" - კლუბები "ნოანოა" და "ნეო"; მასობრივი, ღია ცის ქვეშ – ეთნოგრაფიული მუზეუმი, აბანოთუბანი. მოკლედ, დროის, ადგილის და მოქმედების ერთიანობის პრინციპი ფესტივალზე არ ყოფილა დაცული (რა თქმა უნდა, არც იყო საჭირო), ისე პრინციპებზე თუ მიდგება საქმე, "საჩუქარი" მაინცდამაინც დიდი პრინციპებით ვერ დაიკვეხნიდა; ანუ ნამდვილად ვერ გავიგე, რა გახდა ბოლო ხანებში იმის მიზეზი, რომ ფესტივალზე ქართული სპექტაკლები აღარ არის წარმოდგენილი (ბოლოს და ბოლოს ფესტივალის მიზანი ხომ კულტურული კონტაქტებია, ორმხრივი კულტურული კონტაქტები). ხოლო თუ ქართული ნამუშევრები ფესტივალის პროგრამაში გარკვეული (თუნდაც გასაგები) მიზეზების გამო არ მოხვდნენ, მაშინ რა იყო იმის მიზეზი, რომ ფესტივალის დახურვაზე, გუშინ, 14 მაისს, კინოს სახლში ჟურნალისტებისთვის დაპირებული ვასილიევის პრესკონფერენციის ნაცვლად ანატოლი ალექსანდროვიჩის სატყუარათი მიზიდულ ჟურნალისტებს ახალგაზრდა რეჟისორის, თორნიკე ბზიავას ფილმი აჩვენეს. თავად ახალგაზრდა რეჟისორს და მის ფილმს არაფერს ვერჩი, ამაზე უარესებსაც იღებენ და უკეთესებსაც, მაგრამ პრინციპი ვერ გავიგე და არც იმის გაფიქრება მინდა, რომ თორნიკე ბზიავას ნამუშევარი მხოლოდ იმიტომ აჩვენეს აუდიტორიას, რომ ის ფესტივალის ორგანიზატორის ვაჟი გახლავთ. მაგრამ სხვა რა ვიფიქრო, არ ვიცი, და თუ დამეხმარებით, მადლობის მეტი რა მეთქმის.

ფილმის ჩვენების პროცესში ოპტიმისტ ჟურნალისტებს მაინც არ დაუკარგავთ ანატოლი ვასილიევთან გასაუბრების იმედი, მაგრამ, როგორც ჩანს, პრესკონფერენცია არც იყო დაგეგმილი, ხოლო ორგანიზატორების გეგმა, რომ ფესტივალი ბატონ ვასილიევს უნდა დაეხურა, მოულოდნელი აღმოჩნდა თვით რუსი რეჟისორისთვისაც, რომელმაც "ნე პროვოცირუეტე მენია"-თი ამაოდ სცადა აერიდებინა ორგანიზატორების თხოვნა.

"საჩუქარი" ერთი წლით დაგვემშვიდობა.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმში რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## მოკლედ

**ფეხბურთი.** როგორც იქნა, დასრულდა ლევან კობიაშვილის ტრანსფერის ისტორია. მომავალი სეზონიდან საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გერმანული "შალკე 04"-ის ღირსებას დაიცავს. ლევანმა თავის ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით არ ხმაურდება. "ფრაიბურგის" მწვრთნელის ფოლკერ ფინკესთვის ეს ტრანსფერი სიურპრიზი არ ყოფილა, მაგრამ ფინკე ბოლომდე ჯიუტად უარყოფდა კობიაშვილის "შალკეში" გადასვლის შესაძლებლობას. "რა თქმა უნდა, ლევანი გუნდს ძალიან დააკლდება, მაგრამ რას ვიზამთ, ეს ფეხბურთია", - თქვა ბოლოს ფინკემ.

**ფეხბურთი.** ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" 39 წლის მეკარე დევიდ სიმენი პენსიაზე გასვლას აპირებს. სიმენმა განაცხადა, რომ საფეხბურთო კარიერას დაასრულებს ინგლისის თასის ფინალური მატჩის შემდეგ, რომელშიც ლონდონის "არსენალი" "საუთჰემპტონს" შეხვდება. სიმენის გადაწყვეტილების მიზეზი გახდა გუნდის მწვრთნელი არსენ ვენგერი, რომელმაც ვეტერან მეკარეს ახალი კონტრაქტი აღარ შესთავაზა.

**ფეხბურთი.** შოტლანდიის ჟურნალისტთა ასოციაციამ წლის საუკეთესო ფეხბურთელად "გლაზგო რეინჯერსის" კაპიტანი ბარი ფერგიუსონი დაასახელა. ფერგიუსონი მეხუთე ფეხბურთელია შოტლანდიის ისტორიაში, რომელმაც ორჯერ მოიპოვა ასეთი აღიარება. პირველად "რეინჯერების" კაპიტანმა საუკეთესო ფეხბურთელის წოდება სამი წლის წინათ მიიღო. შეგახსენებთ, რომ ფერგიუსონმა წლის ლაურეატის ტიტული შარშან ფეხბურთელთა გამოკითხვის შედეგადაც მოიპოვა.

**ფეხბურთი.** როტერდამის "ფეიენოორდის" ფორვარდს, პიერ ვან ჰოიდონკს, როგორც ჩანს, ოცნება უსრულდება. მისი აგენტი რობ იანსენი "ბირმინგემ სიტის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აწარმოებს. ინგლისის "ტოტენჰემის" ყოფილ თავდამსხმელს დიდი ხანია ნისლიან ალბიონზე დაბრუნება სურს და იმედი აქვს, რომ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება. ამჟამად მხარეები ფინანსურ კომპრომისს ეძებენ. ვან ჰოიდონკი იმედოვნებს, რომ ბირმინგემში გასამრჯელოს სახით კვირაში 24 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ "ბირმინგემ სიტი" ჯერ კიდევ ზამთარში ცდილობდა ჰოლანდიელის გადაბირებას, მაგრამ ვან ჰოიდონკის კონტრაქტს "ფეიენოორდთან" 2003 წლის ზაფხულში გასდის ვადა. კონტრაქტის გაწყვეტა კი დიდ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული. ამიტომ მხარეებმა მოცდა ამჯობინეს.

**ფეხბურთი.** იტალიური "პერუჯას" ბრაზილიელ ნახევარმცველს ზე მარიას ერთბაშად ორმა ინგლისურმა კლუბმა დაადგა თვალი. მისი შეძენა "ჩელსიმ" და "ტოტენჰემმა" განიზრახეს. ამას გარდა, ფეხბურთელს "რომა" და "მილანიც" ინტერესით აკვირდებიან. ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელ კლუბს აირჩევს ფეხბურთელი, მაგრამ ეს, ალბათ, არ იქნება "ტოტენჰემი", რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა. "ჩელსიმ" კი ლიგაში თამაშის უფლება ინგლისური პრემიერლიგის უკანასკნელ ტურში "ლივერპულს" გამოჰგლიჯა ხელიდან.

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედის" ჰოლანდიელმა ფორვარდმა რუუდ ვან ნისტელროიმ განაცხადა, რომ მომავალ სეზონში უკეთესად ითამაშებს. წლეულს ნისტელროი 24 გოლით პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ეს შედეგი ერთი პუნქტით მეტია ტიერი ანრის მაჩვენებელზე. "მე 26 წლის ვარ და რამდენიმე კარგი საფეხბურთო სეზონი ჯერ კიდევ წინ მაქვს. ჩვენ ყველა შედეგის გაუმჯობესება გვსურს. ერთადერთი გზა ამის მისაღწევად შრომაა", - განაცხადა ნისტელროიმ.

**კალათბურთი.** "დალას მავერიქსი" და "სან-ანტონიო სპერსი" სულ ახლოს არიან გამარჯვებასთან. "დალასმა" თავისი სუპერკვარტეტის ძალისხმევით მეხუთე მატჩი მოუგო საკრამენტოელ "მეფეებს" და სერიაში - 3:2 დაწინაურდა. ამ შეხვედრაში ყველაფერი გადაწყდა მესამე მეოთხედში, რომელიც "მავერიქსმა" მოიგო - 29:10. თამაშის ამ მონაკვეთში მოულოდნელად ლიდერის ფუნქცია იკისრა მასპინძელმა რაჯა ბელიმ, რომელმაც 9 ქულა მოაგროვა. საბოლოოდ კი "დალასმა" გაიმარჯვა - 112:93. რაც შეეხება სან-ანტონიოს, "სპერსმა" ტიმ დანკანის შთამბეჭდავი თამაშის წყალობით 96:94 მოუგო "ლეიკერსს" და, "დალასის მსგავსად", სერიაში 3:2 დაწინაურდა. აღსანიშნავია, რომ მატჩის მსვლელობისას ფილ ჯექსონის შეგირდები 25 ქულის სხვაობითაც აგებდნენ. ბოლო მეოთხედის წინ კი "სპერსის" უპირატესობა 16 ქულა იყო. თუმცა, ამის მიუხედავად, მათ სენსაციამდე ერთი ნაბიჯი დააკლდათ. შეხვედრის დამთავრებამდე სამი წამით ადრე რობერტ ორის სამქულიანი ტყორცნა უზუსტო აღმოჩნდა.

**ჩოგბურთი.** ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ დევისის თასის ნახევარფინალური მატჩი ავსტრალიისა და შვეიცარიის გუნდებს შორის მელბურნის კორტებზე გაიმართება. ამ წყვილში გამარჯვებული პრესტიჟული ტურნირის ფინალში არგენტინა-ესპანეთს შორის მოგებულს შეხვდება. ავსტრალიის ნაკრები, რომელსაც მსოფლიოს პირველი ჩოგანი ლეიტონ ჰიუიტი უდგას სათავეში, ფავორიტად მიიჩნევა. ავსტრალიელები, რომლებიც 2001 წლის შემდეგ დევისის თასის ფინალში არ გასულან, წლეულს "ვერცხლის სასალათისთვის" სერიოზულად იბრძოლებენ.

**ფორმულა 1.** მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ნიკი ლაუდამ ავსტრიის მთავრობა ავსტრიის გრან-პრის დაკარგვაში დაადანაშაულა. ლაუდას თქმით, მას შემდეგ, რაც თანამდებობა დატოვა სპორტის მინისტრმა სუზანა რიეს-პასერმა, რომელმაც თავის დროზე ფორმულა 1-ის ბოსებთან გრან-პრის ჩატარებაზე კონტრაქტი გააფორმა, ქვეყნის მთავრობა ამ ხელშეკრულების მოქმედებას ყურადღებას აღარ აქცევს.

## Fox Kids

# "ფოქს კიდსი" მთაწმინდაზე

"ფოქს კიდსმა" მთაწმინდაზეც შეაღწია. გუშინ გაიმართა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული ტურნირი, რომელშიც პარლამენტის თავმჯდომარის, ქალბატონ ნინო ბურჯანაძის ვაჟმაც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ დაძაბულ ბრძოლაში მისი გუნდი დამარცხდა და შეჯიბრებას გამოემშვიდობა.

ტურნირის ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ "ოჩოპინტრე" და "სოლოლაკი". ბიჭუნებმა ისეთი შემართებით ითამაშეს, რომ უფროსებსაც შეშურდებოდათ. მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა. ძირითადი დრო ფრედ - 2:2 დამთავრდა. დამატებით დროში კი "ოჩოპინტრემ" შეძლო ოქროს გოლის გატანა და მთავარი პრიზისთვის ბრძოლას გააგრძელებს.

ვაჟებს არც გოგონები ჩამორჩნენ და მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამარჯვებული გამოავლინეს. ვაჟების მსგავსად, ფინალში აქაც "ოჩოპინტრეს" ფეხბურთელებმა იმარჯვეს. მათ "თაკო" დაამარცხეს - 2:0.

გუშინვე ზუგდიდმა სამეგრელოს რეგიონის თასის გათამაშებას უმასპინძლა. მონაწილეობდნენ: ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ფოთის, სენაკისა და მარტვილის საქალაქო ტურნირში გამარჯვებული გუნდები. ფინალი დაძაბული გამოდგა როგორც გოგონათა, ისე ვაჟთა შორის. ვაჟებში მერაბ კოსტავას სახელობის გიმნაზია სენაკის პირველი საშუალო სკოლის გუნდს დაუპირისპირდა. საინტერესო შეხვედრა ფრედ – 0:0 დამთავრდა. ვაჟებში პენალტები უკეთ შეასრულეს მერაბ კოსტავას სახელობის გიმნაზიის აღსაზრდელებმა და გამარჯვებაც მათ დარჩათ.

გოგონათა ფინალი ხობის "მერცხლებმა" და ჩხოროწყუს "ამაღლებამ" გაითამაშეს. ძირითადი დრო ამჯერადაც ფრედ - 0:0 დამთავრდა. პენალტებით კი "მერცხლებმა" გაიმარჯვეს. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელებად აღიარეს: ვაჟებში - თორნიკე ზარქუა, გოგონებში - ნინო ფარფალია.

## TV-სპორტი

ხუთშაბათი. 15 მაისი

**НТВ + ФУТБОЛ**

05:35 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "კორინთიანსი" (ბრაზილია) - "რივერ პლეიტი" (არგენტინა). საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია.
13.00 თავისუფალი დარტყმა.
13.15 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "კორინთიანსი" (ბრაზილია) - "რივერ პლეიტი" (არგენტინა). საპასუხო მატჩი.
15.00 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "იუვეტუსი" - "რეალი"
16.45 "ვალერი ლობანოვსკის თასი". მატჩი მე-3 ადგილისთვის
18.30 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
19.00 თავისუფალი დარტყმა.
19.15 უიკ-ენდის მატჩების ანონსი
19.20 "ვალერი ლობანოვსკის თასი". ფინალი
21.05 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "კორინთიანსი" (ბრაზილია) - "რივერ პლეიტი" (არგენტინა). საპასუხო მატჩი.
22.50 თავისუფალი დარტყმა.
23.10 "FOOTBALL MUNDIAL"
23.40 რუსეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
00.40 ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა

**НТВ + СПОРТ**

11:00 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
12:30, 15:15, 19:45, 22:00 "პრეს-ცენტრი".
12:45, 22:15 "ოლიმპის შვილები".
12:05 აერობიკა.
13:25 "Power week - NHL-ის კვირა
13:55 პოკერი. "One million Poker-2003" მეხუთე ნაწილი
14:40 ავტორბოლა
15:30 ჩოგბურთი. "Masters Series". პირდაპირი ტრანსლაცია ჰამბურგიდან
17:15 "ნადირობის სეზონი"
17:45 "NHL-პლუსი"
17:55 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ATP-ის საჩოგბურთო მიმოხილვა
20:00 პოკერი. "One million Poker-2003" მეექვსე ნაწილი
20:45 NBA-ს მიმოხილვა
21:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
22:30 ჩოგბურთი. "Masters Series". პირდაპირი ტრანსლაცია ჰამბურგიდან
00:15 ბოდიბილდინგი. ევროპის ჩემპიონატი
01:15 ახალი ამბები
02:30 "NHL-პლუსი"

**EUROSPORT**

11:30 ცხენოსნობა. ნაციის თასი
13:00 ფეხბურთი. U-17 ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალები
16:00 ჩოგბურთი WTA. პირდაპირი ტრანსლაცია რომიდან
20:30 ჩოგბურთი WTA. მარტინა ჰინგისი. სპეციალური რეპორტაჟი
21:00 თავგადასავლები ბუნებაში
21:30 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი
23:30 ჩოგბურთი WTA. პირდაპირი ტრანსლაცია რომიდან
01:00 თავისუფალი ბრძოლები
02:15 საბრძოლო ხელოვნება. პარიზი-ბერსი

## ფეხბურთი

# იტალიური ფინალი "ოლდ ტრაფორდზე"

"იუვენტუსი" - "რეალი" 3:1 (1:2)

კახა ფარუაშვილი

**იუვენტუსი:** ბუფონი, ტიურამი, ტაკინარდი, მონტერო, ტუდორი, ძამბროტა, ბირინდელი (პესოტო), დავიდსი (კონტე), ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (კამორანეზი)
**რეალი:** კასილასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, ელგერა, კამბიასო (მაკმანამანი), კონსეისაო (რონალდო), ფიგუ, ზიდანი, გუტი, რაული
**გოლები:** 1:0 - ტრეზეგე (12), 2:0 - დელ პიერო (43), 3:0 - ნედვედი (73), 3:1 - ზიდანი (89)
**გაფრთხილება:** კონსეისაო, სალგადო, მონტერო, ტაკინარდი, იერო, ნედვედი, ფიგუ
**მსაჯი:** ურს მაიერი (შვეიცარია)



პაველ ნედვედი - "იუვე"-ს გამარჯვების შემოქმედი

დიდხანს ემახსოვრება ლუიშ ფიგუს ბუფონის კარში დარტყმული პენალტი. გამოუყენებელი შანსი იმისა, რომ 28 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალში, "ოლდ ტრაფორდზე", "რეალს" ეთამაშა და არა "იუვენტუსს". ფიგუმ პენალტი ვერ გამოიყენა და ამით წერტილი დაუსვა ყველა ვარაუდსა და პროგნოზს იმის შესახებ, თუ რა მოხდებოდა... "რეალს" რომ გოლი გაეტანა. მოხდა ის, რომ 28 მაისს, მანჩესტერში იტალიური ფინალი შედგება. ერთმანეთს ტურინის "იუვენტუსი" და "მილანი" დაუპირისპირდებიან.

მატჩის მეორე ტაიმი მიმდინარეობდა, როცა კონსეისაოს ნაცვლად მინდორზე შემოსულმა რონალდომ თავისი გუნდისთვის თერთმეტმეტრიანი დარტყმის უფლება მოიპოვა. ანგარიში 2:0 იყო "იუვენტუსის" სასარგებლოდ. ბურთთან პორტუგალიელი ლუიშ ფიგუ მივიდა. დარტყმა და... ბუფონმა პენალტი მოიგერია. "იუვენტუსმა" კიდევ ერთი არგუმენტი წარმოადგინა იმის დასტურად, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშის ღირსია.

მატჩის წინ ფავორიტად "რეალს" ასახელებდნენ და ძირითადად სამეფო კლუბის შემადგენლობის ავ-კარგიანობაზე საუბრობდნენ. ვთქვათ, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ რაული და რონალდო ვერ ითამაშებდნენ. ან ვის ანდობდა ვისენტე დელ ბოსკე კლოდ მაკელელეს ადგილს, რომელიც ტრავმის გამო მადრიდში დარჩა. "რეალმა" გამოიყენა თავისი მრისხანე დუეტი - რაული-რონალდო. მაკელელე კი კონსეისაომ შეცვალა, მაგრამ არაფერი თქმულა იმ ფაქტზე, რომ იგივე რაული და რონალდო ვერ იყვნენ სასურველ ფორმაში და მათ ძალიან გაუჭირდებოდათ გამარჯვების იშტაზე მოსულ ტურინელ მცველებთან გამკლავება.

რატომღაც უყურადღებოდ დარჩა მარჩელო ლიპიც. კაცი, რომელმაც ტურინში ნამდვილი საფეხბურთო მანქანა შექმნა და მას საფუძვლად დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო და ტრეზეგე ჩაუყენა. 90-იან წლებში ლიპის ხელმძღვანელობით "ბებერი ქალბატონი" სამჯერ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში. მაშინ, ისევე, როგორც დღეს, "იუვენტუსის" კოზირი პრესინგი და უმაღლესი კლასის ნახევარმცველებზე დაყრდნობით მოედნის შუაგულში აქტიური თამაში იყო. ძველი ფორმაციის გუნდში ამ მისიას ზიდანი, დავიდსი და დელ პიერო ახორციელებდნენ. ამჟამად კი დავიდსი, დელ პიერო და ნედვედი.

საინტერესო მოსაზრება გამოთქვა "რომას" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ: "იუვენტუსმა" სკუდეტო იმიტომ მოიგო, რომ მას ჰყავს დავიდსი"; და, რა თქმა უნდა, ნედვედი. ბევრი სპეციალისტი "იუვენტუსის" წარმატებებს სწორედ ჩეხი პაველ ნედვედის შთამბეჭდავ თამაშს უკავშირებს. ნედვედი ამჟამად შესანიშნავ ფორმაშია და თუ "იუვე" ჩემპიონთა ლიგას მოიგებს, წლევანდელი სეზონი უდავოდ მის ბენეფისი იქნება. პირველი გოლი სწორედ ნედვედის ფლანგურ გადაცემას მოჰყვა. მესამე კი შესანიშნავი დარტყმით თვითონვე გაიტანა და წერტილი დაუსვა ამ უაღრესად დაძაბულ მატჩს.

თუ ამ ლოგიკას მივყვებით, ცხადია, "რეალს" სერიოზული პრობლემები უნდა შექმნოდა და შეექმნა კიდეც. ლიპის გუნდი მადრიდელებს დებიუტშივე საკუთარ თამაშს კარნახობდა. ტურინელები მეტოქეს ყველა პოზიციაზე ასწრებდნენ და დაზღვევაზეც უშეცდომოდ თამაშობდნენ. აი "რეალის" დაცვა კი ექსტრემალურ სიტუაციაში ყოვლად უსარგებლო აღმოჩნდა და თუ "სამეფო კლუბს" მომავალში სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლა სურს, ალბათ, პირველ რიგში, დაცვითი ხაზის გაძლიერება მოუწევს.

ფერნანდო იეროს აშკარად ღალატობს სისწრაფე და კოორდინაციის უნარი. სამივე გოლი კასილასის კარში სწორედ მისი პოზიციიდან გავიდა. ვისენტე დელ ბოსკე კი ლიპი არ არის და მას არ აღმოაჩნდა საკმარისი უნარი თამაშის სასურველ რიტმში გადასაყვანად.

ამრიგად, წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას "ოლდ ტრაფორდზე" იტალიური ფინალი დააგვირგვინებს - "მილანი" "იუვეს" წინააღმდეგ. "ბებერ ქალბატონს" ამ მატჩში პაველ ნედვედი არ ეყოლება.

# ხიზანეიშვილი დასჯას გადაურჩა

## შტელინს ჯარიმა გზაში წამოაწიეს

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელზეც წინა კვირაში ქართულ ფეხბურთში მომხდარ დარღვევებზე სანქციები დააწესეს. მთავარ საკითხად განიხილებოდა "ვიტ ჯორჯიასა" და თბილისის "დინამოს" მატჩის შემდეგ მომხდარი ინციდენტი, რომლის შესახებაც კომიტეტს შეხვედრის მთავარმა მსაჯმა, კახა მესხმა უპატაკა. თუ არბიტრის პატაკში ჩაწერილ ამბავს სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტი ფაქტად ცნობდა, "დინამოს" სერიოზული საჯარიმო სანქციები ელოდა. საუბარია არა მხოლოდ ფინანსურ სანქციებზე, არამედ ფეხბურთელთა დისკვალიფიკაციაზეც.

თუმცა, ამ საკითხის განხილვამდე კომიტეტმა შედარებით უმნიშვნელო დარღვევების შესახებ მიიღო ინფორმაცია და ჯარიმებიც "გამოწერა".

"ვიტ ჯორჯიასა" და ფოთის "კოლხეთის" მატჩის დროს მთავარმა არბიტრმა, სერგო შილაკაძემ სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მოედნიდან გააძევა ვიტელი გოჩაშვილი და კოლხეთელი ნარსია. კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ ეს ფეხბურთელები მსგავს საქციელში ადრე შემჩნეულნი არ ყოფილან და სტანდარტული მინიმალური სასჯელი - 2-2 მატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარა.

3 მაისს "დინამოსა" და "ტორპედოს" მატჩის დროს ქუთაისელთა დამრიგებელმა ალექსანდრ შტელინმა ასევე უცენზუროდ მიმართა მსაჯს, კახა მესხს. მას წითელი ბარათი უჩვენეს და ტრიბუნებიდან მოუხდა მატჩისთვის თვალყურის დევნება. აქვე ვიტყვით, რომ გაბელგიელებულმა უკრაინელმა ორი დღის წინ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და "ტორპედოს" გამოემშვიდობა, თუმცა, მესხთან დაკავშირებული ინციდენტი აქ არაფერ შუაშია. თავიდან სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის წევრებს სურდათ, მისთვის რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაცია მიეცათ, მაგრამ, როდესაც ცნობილი გახდა, რომ შტელინმა "ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე საკუთარ თავს თავადვე მიუსაჯა "სამუდამო დისკვალიფიკაცია", გადაწყვეტილება შეცვალეს და საქართველოს დასატოვებლად გამზადებულ "ტორპედოს" ექსმწვრთნელს გზად ასლარიანი ჯარიმა წამოაწიეს.

საფეხბურთო თემიდის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ შერჩა არც უმაღლეს ლიგაში გადმოსვლისთვის წარმატებით მებრძოლ "მცხეთის" ფეხბურთელს, ვლადიმერ ძაგნიძეს. მას გურამ ასკარ-ოღლის უდიერად მოხსენიების გამო ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

და აი, მთავარ თემასაც მივადექით. "ვიტ ჯორჯია" – "დინამოს" მთავარი მსაჯის, კახა მესხის მოხსენებითი ბარათის მიხედვით, მატჩის დასრულების შემდეგ "დინამოს" ფეხბურთელებმა იგი ალყაში მოაქციეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ხოლო "დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მცველი, ოთარ ხიზანეიშვილი, თურმე, ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც ცდილობდა, მაგრამ ვერ მოახერხა. როგორც იქნა, მსაჯმა სამშვიდობოს გააღწია, მაგრამ გასახდელებთან მას "დინამოს" ტექნიკური პერსონალის სიტყვიერი რისხვაც წამოსწევია. მთავარ მსაჯს კვერი დაუკრა შეხვედრის კომისარმაც, რომლის პატაკიც მესხის მოხსენებითი ბარათის იდენტური იყო.

პატაკების მიხედვით გამოიკვეთა მატჩისშემდგომი აურზაურის მთავარი გმირი - ოთარ ხიზანეიშვილი. თუმცა, როგორც იმ შეხვედრისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების უშუალო თვითმხილველმა, შემიძლია გითხრათ, რომ ხიზანეიშვილს არც ვინმეზე მეტად უაქტიურია და არც ნაკლებად. ამიტომ, კომიტეტის წევრის, ზვიად დარასელის მოთხოვნა, რომ ხიზანეიშვილი 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაესაჯათ, გადამეტებულად მეჩვენა. ეს საჯარიმო სანქცია უფრო ეროვნული ნაკრების ინტერესების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, ვიდრე "დინამოს" წინააღმდეგ, რადგან ფოთის "კოლხეთის" წინააღმდეგ მატჩისთვის შუშაკი იოლად გამოძებნის ხიზანეიშვილის შემცვლელს, ხოლო ერთი თვით სათამაშოპრაქტიკადაკარგული ფეხბურთელის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში გამოყვანას მოერიდება. ხიზანეიშვილმა კი რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაშში დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი და საიმედოობა. სწორედ ამ მოტივებით იხელმძღვანელა სადისციპლინო-ტექნიკურმა კომიტეტმა და თუმცა სასჯელის ზომასთან დაკავშირებით მისი წევრების აზრი თანაბრად გაიყო (3 ხმა დისკვალიფიკაციის სასარგებლოდ, 3 ხმა მხოლოდ მკაცრი გაფრთხილების გამოცხადების სასარგებლოდ), მაგრამ გაიმარჯვეს მკაცრი გაფრთხილების მომხრეებმა, რადგან მათ რიცხვში იყო კომიტეტის ხელმძღვანელი ომარ გოგიაშვილი, ვისმა ხმამაც გადაწონა კიდეც. საბოლოო გადაწყვეტილებით, თბილისის "დინამო" 1500 ლარით დაჯარიმდა და კლუბის ხელმძღვანელობას მიეცა იმ ფეხბურთელთა და ტექნიკური პერსონალის წინააღმდეგ ფინანსური საჯარიმო სანქციების გატარების რეკომენდაცია, რომლებმაც მესხს თამაშის შემდეგ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ოთარ ხიზანეიშვილს კი მკაცრი გაფრთხილება მიეცა და თუ მას მსგავს ქმედებაში კიდევ ამხელენ, სერიოზულ სადამსჯელო სანქციებს ვეღარ აიცილებს.

გივი ნოდია ("დინამოს" სპორტული დირექტორი): "სადისციპლინო-ტექნიკურმა კომიტეტმა აბსოლუტურად სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო. ამ შემთხვევაში ინციდენტზე კოლექტიური პასუხისმგებლობის დაკისრება ნამდვილად უპრიანი იყო. ის, რაც 11 ივნისს "შევარდენის" სტადიონზე მოხდა, ნამდვილად არ ამშვენებს არც ქართულ ფეხბურთს, არც თბილისის "დინამოს". ჩვენ ასეთი ქმედებების სასტიკი წინააღმდეგი ვართ და კლუბმა სადისციპლინო-ტექნიკურ კომიტეტზე გაცილებით ადრე გაატარა ფინანსური სანქციები იმ ინციდენტის მონაწილე ფეხბურთელების წინააღმდეგ. მომავალში ასეთი რამ აღარ გამეორდება".

აი, ასე ბავშვივით თავის მართლება მოუწია ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ცოცხალ ლეგენდას, რომლისგანაც ხმამაღალი სიტყვა, არც ფეხბურთელობის დროს, არც შემდეგ, არავის ახსოვს. დიდი შანსია, რომ "დინამო" წლეულს, მართლაც, გახდეს ჩემპიონი. თუმცა, ჩემპიონობა მხოლოდ ქულებით და გამარჯვებებით არ იზომება, ამ წარმატებისთვის დამსახურებული ოქროს მედლების გროვა კი ვერ გადაწონის დავით გვარამაძის საქციელს, რომელიც იმ აურზაურში შეიჭრა და მთავარი მსაჯი ხელში აყვანილი გაარიდა თუნდაც სამართლიანი გულისწყრომის გამო გაავებულ ფეხბურთელებს.

## ჭიდაობა

# მედლების აკიდო სამეზობლოდან

*ბერძენ-რომაელები და თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ერთი საჭიდაო ოჯახის წევრები არიან და წარმატებებსაც ერთმანეთის მხარდამხარ აღწევენ. ორიოდე დღის წინ მათ მორიგ წარმატებას მიაღწიეს - თურქეთისა და აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირებზე 17 მედალი მოიპოვეს.*

გიგა გურასაშვილი

ბაქოში დასრულებულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირზე ქართველებთან ერთად გამოდიოდნენ თურქი, აზერბაიჯანელი, რუსი და ირანელი სპორტსმენები. მასპინძლებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. 60 კგ წონითი კატეგორიის ფინალი ქართული გამოდგა: ბადრი კაკალაძისა და გიორგი ბალიაშვილის დუელი კაკალაძის გამარჯვებით დამთავრდა. არჩილ ბარამიძე (74კგ) და ლაშა ქეთიშვილიც (84კგ) ახლოს იყვნენ ჩემპიონობასთან, მაგრამ ამ შემთხვევაში მეტოქეებმა იძალეს. ბარამიძის წონაში მასთან ერთად გადიოდა ხალიჩაზე ალექსი პატარქალაშვილიც, რომელიც კვარცხლბეკზე ერთი საფეხურით ჩამორჩა თანაგუნდელს. მესამე საპრიზო ადგილებით დაასრულეს ტურნირი მალხაზ ქურდიანმა (55კგ), ბენდუხი გავაშელმა (96კგ) და დავით სისაურმა (120კგ). რვა მედალი და გუნდური მეორე ადგილი. მესამეზე ირანელი მოჭიდავეები გავიდნენ.

წარმატება ხვდათ ჭაბუკებსაც. ისინი თურქეთში, კერძოდ, ბურსაში ასპარეზობდნენ. თურქეთის საერთაშორისო ტურნირი ორივე სახეობას - ბერძენ-რომაელებსა და "თავისუფლებს" აერთიანებდა. ტურნირში 12 ქვეყნის 400-მდე სპორტსმენი გამოდიოდა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ხალიჩა ქართველებისთვის მოსავლიანი გამოდგა, თუმცა, გარკვეულწილად, უიღბლოც. საქმე ის არის, რომ ცოტნე ბარამიძემ (63კგ), გია ჩიხლაძემ (69კგ), ნიკოლოზ ძაგნიძემ (76კგ) და ამირან მარკოიშვილმა (100კგ) ფინალებში იჭიდავეს, თუმცა, ვერც ერთმა ვერ გაიმარჯვა. ერთი ოქროსა და ოთხი ვერცხლის მედლით "თავისუფლებმა" გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს. პირველზე ირანის გუნდი გავიდა, ხოლო მეორეზე - მასპინძლები.

გუნდურ საპრიზო ადგილებს შორის თითქმის ანალოგიური სურათი იყო ბერძენ-რომაელთა შორისაც. ირანმა და თურქეთმა როქი გაითამაშეს, საქართველო კი აქაც მესამე ადგილზე აღმოჩნდა. 46 კგ წონაში ლაშა გოგიტაძე და რევაზ ლაშხი პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს. გამარჯვება პირველს დარჩა. ჩემპიონი გახდა გურამ ფერსელიძეც (100კგ), ხოლო ილია გულბათაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.

რაგბი

# რკინიგზამ რაგბისაც მიხედა

## თბილისის "ლოკომოტივი" აკაკი ჩხაიძის მადლიერია და რეგიონთა თასის მოგებას გეგმავს

აკა ტონია

*საქართველოს რაგბისტთა ნაკრების უკანასკნელი წარმატებები არცთუ ისე ზუსტად ასახავს ჩვენი ქვეყნის საკლუბო რაგბის რეალურ მდგომარეობას. ეროვნული ჩემპიონატის მატჩები ასფალტის მოედნებზე ტარდება, გუნდებს ელემენტარული პირობებიც კი არა აქვთ, არ არის ფორმები, ცხელი წყალი, ხელფასებზე ხომ საუბარიც ზედმეტია. რამდენიმე თვის წინ გაზეთ "24 საათის" რედაქციაში თბილისის "ლოკომოტივის" ხელმძღვანელები მოვიწვიეთ. ამ გუნდშიც ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორიც საქართველოს კლუბების უმეტეს ნაწილში - არავითარი პირობები. გავიდა რამდენიმე თვე და... "ლოკომოტივს" საშინაო მოედანიც გამოუჩნდა, რაგბისტებმა ახალი ფორმები ჩაიცვეს და მატჩებსაც ერთიმეორეს მიყოლებით იგებენ. რა მოხდა "ლოკომოტივში"? საიდან ასეთი პროგრესი? - ამის გასარკვევად "24 საათის" რედაქციაში "ლოკომოტივის" ხელმძღვანელები და მოთამაშეები მოვიწვიეთ.*

ჩვენი სტუმრები არიან "ლოკომოტივის" მწვრთნელი **თემურ ბენდიაშვილი**, მოთამაშე მწვრთნელი **კახა კობახიძე**, კაპიტანი **კახა ალანია** და გუნდის კურატორი **კუსა კალანდაძე**.

**- რა ხდება "ლოკომოტივის" თავს? საიდან ასეთი პროგრესი?**

***თემურ ბენდიაშვილი:*** უკანასკნელ წლებში ჩვენს გუნდს დიდი წარმატებები ჰქონდა, თუმცა, არ იყო ელემენტარული პირობები. გადავწყვიტეთ, ჩვენი გულისტკივილი საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელისთვის გაგვეზიარებინა. ბატონმა აკაკი ჩხაიძემ გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი პრობლემები და დახმარების ხელიც გამოგვიწოდა. ახლა გუნდს შესანიშნავი სტადიონი აქვს. "ლოკომოტივს" გვერდით მოედანზე სწორედ ჩვენი გუნდი თამაშობს. გვაქვს სპორტული ბაზა დიღომში, სადაც სრულფასოვანი მომზადება არის შესაძლებელი. მოთამაშეებმა იგრძნეს ყურადღება. ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ჩვენს რაგბისტებს მომავლის იმედი გაუჩნდათ. გვპირდებიან, რომ დროთა განმავლობაში მეტი დახმარება იქნება.

***კუსა კალანდაძე:*** ბატონი აკაკი ჩხაიძე ხშირად იმეორებს, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია. ეს ადამიანი ძალიან ბევრს აკეთებს ქართული სპორტისთვის. ყველამ კარგად იცის, თუ რა პირობები შეუქმნა მან "ლოკომოტივის" საფეხბურთო გუნდს. აღმოჩნდა, რომ ბატონი აკაკი მხოლოდ ფეხბურთით არ არის დაინტერესებული. უმოკლეს დროში, სათამაშო მოედანთან და ბაზასთან ერთად, ახალი ფორმები, ბუცები და ყველა საჭირო ატრიბუტი მივიღეთ.



*თემურ ბენდიაშვილი, კუსა კალანდაძე, კახა კობახიძე და კახა ალანია*

**- რა გავლენა აქვს ამ მხარდაჭერას სპორტულ შედეგებზე?**

***კახა ალანია:*** ისეთი პირობები, როგორიც ჩვენ შეგვიქმნეს, საქართველოს ნაკრებსაც კი არა აქვს. გვაქვს საკუთარი ბაზა, ჩვენი "სახლი". ასეთ პირობებში თავს სრულფასოვან სპორტსმენად გრძნობ. ცხელი შხაპი და სხვა ელემენტარული პირობები რამდენიმე წლის წინ წარმოუდგენელი ფუფუნება იყო. ახლა მხოლოდ დრო გვჭირდება, რომ დიდ წარმატებებს მივაღწიოთ.

***კახა კობახიძე:*** სასიხარულოა, რომ ისეთი დიდი ტრადიციების მქონე გუნდს, როგორიც "ლოკომოტივია", საშუალება მიეცა, მსოფლიოს სხვა გუნდებს გაუტოლდეს. დარწმუნებული ვარ, მალე დიდ წარმატებებს ვიზეიმებთ.

**- რაიმე მოთხოვნა ხომ არ წამოუყენებია რკინიგზის ხელმძღვანელობას გაწეული დახმარების სანაცვლოდ? ხომ არ დაგისახათ კონკრეტული ამოცანა?**

***თემურ ბენდიაშვილი:*** არა, ეს უფრო გრძელვადიანი პროგრამაა. ჩვენ არავინ გვთხოვს, უმოკლეს დროში რაიმე დიდი ტურნირი მოვიგოთ. მთავარი მიზანი გუნდის ფეხზე დაყენება, ახალი თაობების აღზრდაა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წარმატებებს არ უნდა მივაღწიოთ.

**- აქამდე მხოლოდ ბათუმის "დათვებს" ჰქონდათ კარგი პირობები, ახლა თქვენი ჯერიც დადგა. როგორი მდგომარეობაა სხვა კლუბებში?**

***თემურ ბენდიაშვილი:*** ბათუმელებმა შეინარჩუნეს ის დონე და სხვა გუნდები მათგან ჯერ კიდევ შორს არიან, თუმცა, მნიშვნელოვანი ძვრებია ქუთაისელთა რიგებში, "ლელოში". ძლიერი სპონსორი გამოუჩნდა "აკადემიას". ისეთი პირი უჩანს, რომ ეს ცვლილებები საფუძვლიანად ხორციელდება და, ვფიქრობ, ეს დროებითი მოვლენა არ იქნება. განსაკუთრებით კარგი პირობები გვაქვს ჩვენ და "დათვებს", თუმცა, საქმე იქით მიდის, რომ პროფესიული ლიგის ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდება.

**- კარგ ლიგას მაყურებელიც სჭირდება.**

***თემურ ბენდიაშვილი:*** ამ მხრივაც არის პროგრესი. მას შემდეგ, რაც ახალ მოედანზე დავიწყეთ თამაში, ჩვენს მატჩებს ბევრად მეტი მაყურებელი ესწრება. დაგეგმილია, რომ მნიშვნელოვან მატჩებს "ლოკომოტივის" მთავარ სტადიონზე გავმართავთ. საქართველოს რაგბის კავშირმა ქვეყნის თასის ფორმატი შეცვალა და ახლა ბევრად უფრო მეტი - 9 მატჩის ჩატარება მოგვიწევს. ეს იმით არის კარგი, რომ, ევროპის რეგიონთა თასზე მოხვედრის შემთხვევაში, სათამაშო პრაქტიკა გვექნება.

**- რეგიონთა თასზე წარმატების პრეტენზია თუ გაქვთ?**

***თემურ ბენდიაშვილი:*** რეგიონთა თასის მოგება ნამდვილად შეგვიძლია. ეს სავსებით რეალურია. ჯერ გარკვეული არ არის, თუ რომელი გუნდები ითამაშებენ, მაგრამ ჩვენ გამარჯვებას ვგეგმავთ.

**- კიდევ რა შედის თქვენს გეგმებში? ახალი მოთამაშეებით გაძლიერება, მომავალი თაობების აღზრდა...**

***კუსა კალანდაძე:*** ახლა საქართველოს უჭირს, თუმცა, მაინც გამოინახა საჭირო სახსრები. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა აკაკი ჩხაიძეს. თუ დაწყებული საქმე გაგრძელდება, შესაძლოა, ის რაგბისტებიც დაგვიბრუნდნენ, რომლებიც ახლა საზღვარგარეთ თამაშობენ.

***კახა ალანია:*** ჩვენ გვაქვს რაგბის კლუბი, სადაც ბავშვები ვარჯიშობენ. თუმცა, ეს არ არის საკმარისი. ეს მუდმივი პროცესი უნდა იყოს. გუნდმა უწყვეტად უნდა მიიღოს შევსება, რათა თაობათა ცვლის პრობლემის წინაშე არ დადგეს.

***კახა კობახიძე:*** ის, რომ "ლოკომოტივს" ასეთი ძლიერი პატრონი გამოუჩნდა, ბავშვებისთვისაც დიდი სტიმულია. ისინი უკვე სულ სხვა შემართებით ვარჯიშობენ. "ლოკომოტივის" საქმეების გამოსწორებამ ყველას გაუჩინა მომავლის იმედი. ახალგაზრდებს ერთი სული აქვთ, ჩაიცვან მაისურები და ჩვენ შეგვცვალონ.

Giro d'Italia

# აქაც ყოფილან სიაფანდები?

ირაკლი ბერიაშვილი

დღევანდელ წერილში ფინიშებსა და მაისურებზე საუბრით მინდა შევიქციო მკითხველი. ცხადია, მეოთხე ეტაპის ამბებსაც მოვყვები, თუმცა, სიმართლე გითხრათ, მოსაყოლი ბევრი არაფერია.

პირველი და მთავარი ფინიში ჯიროს ფინიშია, რომელიც 1 ივნისს მილანში მოეწყობა. იმ დღეს დიდი ზეიმი იქნება იტალიის ჩრდილოეთის მთავარ ქალაქში. სამიათასხუთასკილომეტრგამოვლილი პელოტონი მილანელებით სავსე ქუჩებში ჩაიქროლებს და ეს ლამაზი დღესასწაულიც დასრულდება.

ამას გარდა, ყოველ ეტაპს აქვს თავისი ფინიში. ამგვარი ეტაპები შუადღისას იწყება და საღამოს მთავრდება. ფინიში კი ხან რომელიმე ქალაქის ცენტრში აქვთ, ხან – მთებში. ეგრეთ წოდებულ ვაკე და მთიან ეტაპებზე მკითხველი საკმაოდ გათვითცნობიერებულია, ბარემ მესამე ტიპის ეტაპებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ასეთი ეტაპები მრავალდღიან შეჯიბრებებში (ჯირო, ტური, ვუელტა) ორჯერ, დიდი-დიდი, სამჯერ ეწყობა. მესამე გაცილებით მოკლეა დანარჩენ ორზე, პირველსავე დღეს იმართება, პროლოგი ეწოდება და შვიდიდან თორმეტ კილომეტრამდე მერყეობს. დანარჩენ ორს ფრანგები დროსთან ბრძოლას, დროსთან ჭიდილს უწოდებენ, იტალიელები - დროის ინდივიდუალურად ათვლას. ყველაზე მოხერხებული ტერმინი, ალბათ, მაინც ინდივიდუალური რბოლა იქნება, რადგან ამ ეტაპებზე, რომელთა სიგრძე დაახლოებით 30-60 კილომეტრია, სპორტსმენები სტარტიდან ცალ-ცალკე, ორ-ორი ან სამ-სამი წუთის ინტერვალით გადიან. რაც არ უნდა იყოს მთელი ტრასის გაყოლებაზე ორი ან მეტი მრბოლის ერთად მოხვედრის მიზეზი, - სულ ერთია, დაწევა იქნება თუ ჩამორჩენა, - აკრძალულია მეტოქის ზურგში მიყოლა. მთელი ეტაპი თითოეულმა სპორტსმენმა თვითონ, სხვისი დახმარების გარეშე უნდა გაიაროს.

ახლა შუალედურ ფინიშებზეც ვთქვათ. ასეთი თითოეულ ეტაპზე რამდენიმეა. მთაში მოწყობილი ამგვარი საშუალედო ფინიშები "მთის მეფის" ნომინაციის ჩასათვლელ ქულებს იძლევა, ბარისა – "საუკეთესო სპრინტერის" ნომინაციისას.

ტურ დე ფრანსისა და ესპანური ვუელტასგან განსხვავებით, ჯიროში კიდევ ერთი ნომინაციაა - ინტერჯირო. მისი ფინიში, როგორც წესი, ეტაპის შუაშია მოწყობილი და საბოლოო ანგარიშით სწორედ ამ ნახევარეტაპზე ნაჩვენები შედეგები განსაზღვრავს "ინტერჯიროში" გამარჯვებულს. ისე, ჩვენში დარჩეს და, ნახევარგამარჯვება მაინც ნახევარგამარჯვებაა და, ბუნებრივია, რომ ეს ნომინაცია მაინცდამაინც დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. თავისი თავის პატივისმცემელი არც ერთი ველომრბოლი ამ პრიზის მოგებისთვის თითს თითზე არ დააკარებს.



*ალესანდრო პეტაკი, რობი მაკივენი და ბერნარდ ეიზელი*

REUTERS

### ნინო პრიმა

1912 წლის ჯირო ექსპერიმენტული იყო - სპორტსმენები გუნდებში გაერთიანდნენ და, საკუთარი შედეგის გარდა, გუნდის პრესტიჟზეც ზრუნავდნენ. ამ დროისთვის ჯირო უკვე იმდენად პოპულარული იყო, რომ სპორტსმენები რომში მატარებლით ჩააბრძანეს. სხვათა შორის, რომაელები, რომლებიც ველოსიპედებზე ამხედრებულ თავიანთ კერპებს პიაცა პონტე მილვიოზე ელოდნენ, უკმაყოფილონი დარჩნენ.

1914 წლის ჯირო თარსიანად დაიწყო და ასეც გაგრძელდა. როგორც კი პელოტონი მილანიდან გავიდა და კუნეოს გზას დაადგა, ქარი ამოვარდა და თოვაც დაიწყო. აი, ამ პირობებში 3100 კილომეტრის გავლა 81 მონაწილიდან მხოლოდ რვამ შეძლო. გამარჯვება 27 წლის ბოლონიელმა ალფონსო კალცორალიმ მოიპოვა.

პირველმა მსოფლიო ომმა, ცხადია, ჯიროსაც შეუშალა ხელი. ავსტრო-უნგრეთის მონარქიის დაცემის შემდეგ იტალიელებმა პირველი ჯირო 1919 წელს გამართეს. ტურნირი 21 მაისიდან 8 ივნისამდე გაგრძელდა და 10 ეტაპისგან შედგებოდა. ომის შემდეგ ასეთი შეჯიბრების მოწყობა იოლი არ იყო და ეს ჯიროსაც დაეტყო. რბოლაში მხოლოდ 66-მა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. გაიმარჯვა კოსტანტე ჯირანდენგომ.

1920 წელს აქამდე "მარად მეორედ" წოდებულ ტანო ბელონის გაუღიმა ბედმა. მიუხედავად ამისა, ეს სპორტსმენი სწორედ "მარად მეორის" მეტსახელით შევიდა ჯიროს ისტორიაში.

### ფლავიო კარბონე

გავიგე, ჩემს გვარს დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია თქვენს რედაქციაში.

ჩემი დიდი პაპა აბაიშვილი იყო და მეორე მსოფლიო ომში ამ გვარით წავიდა. ტყვედ ჩავარდნილა და დიდი გაჭირვებაც უნახავს, თუმცა, როგორც გადმოცემით ვიცი, გერმანელებზე ერთი აუგი არ დასცდენია - ტყვეებს ადამიანურად გვეპყრობოდნენო. დამთავრდა ომი და როგორც კი ჩვენამდე ჩამოაღწია ამბავმა, სტალინი ტყვედყოფილებს ზოგს იმქვეყნად ისტუმრებს, ზოგსაც ციმბირში გზავნისო, ყოველი შემთხვევისთვის გვარი გამოუცვლია, მამიდაშვილის გვარზე გადასულა და საბჭოთა კავშირის გზაც სამუდამოდ დაუვიწყებია. იმის შემდეგ კარგა ხანს ვყოფილვართ კარბელაშვილები. მერე მამაჩემსაც შეუტანია მცირე კორექტივი და, როგორც ხედავთ, დღეს კარბონე ვარ.

### ირაკლი

ჯერჯერობით ჯიროში ავანტიურისტებს არ უმართლებთ. ეს ის ხალხია, ტელეობიექტივების წინ კოპწიაობა რომ უყვართ. გაექცევიან პელოტონს და, მართალია, ფიქტიურ, მაგრამ მაინც ლიდერის როლში მყოფნი, ლამის საათობით ყელყელაობენ ტელეეკრანებზე. მაყურებელს კოჟრები ნამდვილად არ უჩნდება თვალებზე, მაგრამ სიაფანდი სპექტაკლების ცქერა, დამეთანხმებით, მაინცდამაინც სასიამოვნო ვერ არის.

კარგია, რომ არ უმართლებთ, მაგრამ მაინც გარბიან. გულში ფიქრობენ, - იქნებ წაუძინოს პელოტონმა, იქნებ ლირსად არ ჩაგვთვალოს, იქნებ... რა, სპორტის გარეთ კი ცოტაა ასეთი? გაჩალიჩდებიან, გამოჩალიჩდებიან და გამოჰკრავენ ხოლმე კიდეც ხელს. აი, "ჩიპოს" კი, ვინც ნამდვილად ღირსია, ვაკე-ეტაპებზე მაინც მიიღოს ის, რისი ღირსიც არის, არ უმართლებს.

სპრინტის მეფეს არც მეოთხე ეტაპზე გაუმართლა. ფინიშამდე ორმოციოდე კილომეტრით ადრე პელოტონი ორად გაიხლიჩა. ფინიშზე მომლოდინე ველოფანების სამწუხაროდ, ჩიპოლინი მეორე, ჩამორჩენილ ჯგუფში მოხვდა და სპრინტერულ სპექტაკლში მონაწილეობა ვერ მიიღო. უქმად ჩაიარა "ჩიპოს" თანაგუნდელის კოლომბოს თავგანწირვამაც, რომელიც კარგა ხანს ცდილობდა წინ წასული ჯგუფის დაწევას, მაგრამ როცა ორივე დარწმუნდა, რომ ამ უთანასწორო ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა, ისიც ბედს დამორჩილდა.

ეტაპი კი მარიოს არყოფნაში შედარებით იოლად მოიგო ავსტრიელმა რობი მაკივენმა.

**ტექნიკური შედეგები**
**IV ეტაპი.**
**ტერმე-ლუჯანე - ვიბო ვალენტია.**
**175 კმ.**

**1. რობი მაკივენი ("ლოტო", ავსტრალია) - 4 სთ. 00 წთ. 25 წმ.**
**2. ალესანდრო პეტაკი ("ფასა ბარტოლო", იტალია) - იგივე დრო.**
**3. ბერნარდ ეიზელი (FDJ, ავსტრია) - იგივე დრო.**

**საერთო ჩათვლა**
**1. ალესანდრო პეტაკი - 17 სთ. 37 წთ. 21 წმ.**
**2. სტეფანო გარძელი ("ვინი კალდიროლა", იტალია) - +29 წმ.**
**3. ფრანჩესკო კასაგრანდე ("ლამპრე", იტალია) - +39 წმ.**
**....................**
**6. ჯილბერტო სიმონი ("საეკო", იტალია) - +44 წმ.**
**....................**
**10. აიტორ გონზალესი ("ფასა ბარტოლო", ესპანეთი) - +51 წმ.**
**....................**
**16. მარკო პანტანი ("მერკატონე უნო", იტალია) - +56 წმ.**
**....................**
**22. დარიო ფრიგო ("ფასა ბარტოლო", იტალია) - +58 წმ.**
**23. რაიმონდას რუმსასი ("ლამპრე", ლიტვა) - +58 წმ.**
**....................**
**26. პაველ ტონკოვი ("CCC-პოლსეტი", რუსეთი) - +58 წმ.**

ნაფიცვაქი



ნინო I

## რომანტიკული ქორწილი კაპრიზე

მიუნხენის "ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ექს-კაპიტანს ლოთარ მათეუსს თავისი ცხოვრების მანძილზე იმდენ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა, რომ როცა გერმანულ ყვითელ პრესაში გამოჩნდა მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი სათაური, "მათეუსის ყოფილი საყვარელი გათხოვდა"-ო, ერთბაშად ვერც მივხვდი, რომელ ქალზე იყო ლაპარაკი - მათეუსს ხომ არასოდეს აკლდა თვალისმომჭრელი ლამაზმანები, სწორედ მასთან ურთიერთობის წყალობით რომ ექცეოდნენ საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

ქერათმიანი მარენ მიულერ-ვოლფარტი ერთ-ერთი იმათგანია, ვის-



*მარენ მიულერ-ვოლფარტი და ლოთარ მათეუსი*

აც მათეუსის წყალობით გაეცნენ გერმანელები. 24 წლის მარენი მოდელი და მსახიობი კია, მაგრამ მაინცდამაინც წარმატებული კარიერით ვერ დაიკვეხნის. მათეუსი რომ არა, შესაძლოა, ვერც გამხდარიყო ისეთი სახელგანთქმული, როგორიც დღესაა.

მარენი "ბაიერნის" ექიმის, ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტის ქალიშვილია. ამ მშვენიერ გოგონას "ბაიერნის" ყველა ფეხბურთელი იცნობდა, მაგრამ მათეუსის გარდა ვერავინ მოხიბლა. 1999 წელს, როცა მარენი ოცი წლის იყო, მათეუსი სერიოზულად დაინტერესდა. დიდი ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ისინი მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მალე ჟურნალმა "ბუნტემ" მათი ერთად გადაღებული პირველი ფოტოები დაბეჭდა - ბავარიულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი მარენი და ლოთარი ლუდის კათხებით ხელში. მაშინ მიუნხენში "ოქტობერფესტის" დღეები იყო და საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ქალაქში შეყვარებულები შესანიშნავად ატარებდნენ დროს. მათეუსი ბედნიერი ჩანდა, თითქოს მარენზე გიჟდებოდა, მაგრამ ვერც მასთან გაძლო დიდხანს. ორ წელიწადში მათი რომანი დასრულდა. 2001 წლის მაისში "ბუნტემ" უკვე მათი დაშორების შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. მათეუსმა იმავე წლის ოქტომბერში იპოვა ახალი გატაცება, მარენი კი დიდხანს იყო მარტო, სანამ ორი წლის იტალიელ სიმონე დე მარტინოს არ შეხვდა.

თავისი ცხოვრების ახალი მამაკაცი მარენმა ნიუ-იორკში, ლი სტრესბერგის მსახიობთა სკოლაში გაიცნო. ისინი წარმატებულ კარიერაზე ოცნებობდნენ და ბეჯითად დადიოდნენ ყველა ლექციაზე. მართალია, სკოლის დამთავრების შემდეგ არც ერთი არ მიუწვევიათ ჰოლივუდში, მაგრამ სამაგიეროდ ერთმანეთი იპოვეს და დაქორწინება გადაწყვიტეს. სიმონე დე მარტინო 27 წლის მომხიბვლელი შავგვრემანი მამაკაცია. ოქროსფერთმიანი ნაზი მარენი კი მის გვერდით ფერიასავით გამოიყურება. ქორწილი კუნძულ კაპრიზე გაიმართა. "ბაიერნის" ექიმი ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტი ლამის ქალიშვილზე უფრო ბედნიერი ჩანდა. ძალიან ღელავდა და როცა მარენი საკურთხეველთან მიიყვანა, თვალზე ცრემლიც კი მოადგა. ერთი წლის განმავლობაში მარენი იმდენად სევდიანი და ნაღვლიანი იყო, რომ მამამ აღარ იცოდა, რითი გაერთო გოგონა. "ბაიერნის" ექიმს თავიდანვე არ მოსწონდა მათეუსი და მათი მეგობრობის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ვერაფერი გააწყო. როცა მარენი ლოთარს დაშორდა და მარტო დარჩა, ძალიან გაუჭირდა ახალი ცხოვრების დაწყება. ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტს კარგად ახსოვს ის უსიხარულო დღეები, როცა მისი ქალიშვილი სახლიდან არ გადიოდა და თავს უბედურად გრძნობდა. ახლა კი, როცა მათეუსი შორეულ წარსულად იქცა და მარენმა ისევ იპოვა ერთგული მეგობარი, შვილის ბედნიერებით გახარებული მამა საშინლად ღელავდა ქორწილის დროს, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. "მამაჩემს ძალიან მოსწონს სიმონე. ის ჩემი და მათეუსის ურთიერთობის წინააღმდეგი იყო, გრძნობდა, რომ ეს სიყვარული კარგს არაფერს მომიტანდა. სიმონე რომ გავაცანი, ძალიან კმაყოფილი დარჩა. ჯვრისწერისას საშინლად ღელავდა, თუმცა, არაფერი შეშლია", - ამბობს მარენი.

მათეუსი და დეპრესია, როგორც ჩანს, სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. მარენი ოქტომბერში ბავშვს ელოდება. ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტი მალე იტალიელი გოგონას პაპა გახდება. არავინ იცის, იტალიურ სახელს დაარქმევენ პატარას თუ გერმანულს. შემოდგომამდე ხომ ჯერ კიდევ დიდი დროა.

კრივი

# კლიჩკოები ზაფხულში დაბრუნდებიან

მარტში სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსთან განცდილი მარცხის შემდეგ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ვლადიმირ კლიჩკოს აქამდე არასდროს განუცხადებია, თუ როდის დაბრუნდებოდა რინგზე. და აი, გუშინწინ ცნობილი გახდა, რომ უმცროსი კლიჩკო აგვისტოში იჩხუბებს, თუმცა, მოკრივეს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ სად და ვის შეხვდება. სამაგიეროდ ზუსტადაა ცნობილი ვიტალი კლიჩკოს ბრძოლის გამართვის თარიღი და ადგილი - 21 ივნისს უფროსი ძმა ლოს-ანჯელესის "სტეპლ-ცენტრში" იჩხუბებს.

მართალია, ოფიციალურად არაფერი განუცხადებიათ, მაგრამ როგორც გერმანული საინფორმაციო წყაროები იტყობინებიან, ვლადიმირ კლიჩკო მომავალ ბრძოლას, სავარაუდოდ, გერმანიაში გამართავს. მატჩის ტელევიზიით ჩვენების უფლება ამერიკულმა HBO-მ და გერმანულმა ZDF-მ მოიპოვეს.

"ახლა არ შემიძლია, ზუსტად განვაცხადო, სად ჩატარდება ბრძოლა და ვინ იქნება მეტოქე. ამ საკითხებს ჩემი მენეჯერი კლაუს-პეტერ კოლი მოაგვარებს. ყველაფერი უახლოეს მომავალში გადაწყდება", - გერმანელ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა ვლადიმირ კლიჩკომ. ჯერჯერობით უმცროსი კლიჩკო დღეში მხოლოდ ერთხელ ვარჯიშობს. "ინტენსიურ მზადებას ივნისის შუა რიცხვებში ამერიკაში დავიწყებ, ჩემი ძმის ჩხუბის შემდეგ კი გერმანიაში დავბრუნდები. იმ დროისთვის, ალბათ, ყველა დეტალი დაზუსტებული იქნება", - თქვა უკრაინელმა მოკრივემ.

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაერთს სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

[illegible]

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9[00]-დან 20[00]-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

## ბინები

### იყიდება

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

სასწრაფოდ იყიდება 4-ოთახიანი ბინა კეთილმოწყობილი კაპიტალური გარაჟით, სარდაფით, პატარა ბაღით, ტელეფონით. გოთუას ქუჩა 22. 38 01 86

იყიდება 3-ოთახიანი 12 სართულიანის მე-8 სართულზე კოსმეტიკური რემონტით, ტელეფონით, ბ/აირით, სარდაფით. 96 41 80

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი საგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

იყიდება კერძო სახლი ეზოთი და ავტოფარეხით მეტრო "ღრმაღელესთან" 61-56-58, 66-78-79.

იყიდება 110 კვ.მ. 2-ოთახიანი მიშენებით, ავტოფარეხით და სარდაფით ბახტრიონზე. ფასი შეთანხმებით. 96 91 93

იყიდება ფოთში მალთაყვის პირას ორსართულიანი სახლი ციტრუსოვანი 600 კვ.მ ეზოთი, გამოდგება როგორც საგარაკოდ, ისე საცხოვრებლად. 93-27-82, 893-20-32-92.

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

**იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25**

## მიწის ნაკვეთი

ასურეთში აგარაკი 1100კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი, კაპიტალური ორსართულიანი გარემონტებული სახლი, ელექტროგაყვანილობით, წყლით. ტ. 93-27-82, 893-20-32-92.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

გირავდება ბინა. 96 99 32, 95 33 93

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

## კომერც. ფართი

იყიდება კომერციული ფართი 85 კვ.მ. I სართულზე ყველა საჭირო კომპონენტით. თ. მღვდლის ქ. №16. ვაგზლის ბაზრობასთან. 35 20 79 ნუგზარი

ქირავდება ფართი საოფისედ 3 ოთახი მეორე სართულზე (20+20+18). დ. აღმაშენებლის გამზ. 123. 95 95 13, 96 75 06

იყიდება კომერციული ფართობი დიღომში, ცენტრალურ გამზირზე. 98-83-75.

## მანქანები

**იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866**

იყიდება "რენო-ლაგუნა" 1994 წლის, სრული ელპაკეტით და კლიმატკონტროლით, ძრავი 3,0 კუბ.მ. 899 95-68-67.

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

გთავაზობთ რკინის კარებზე ძირითადი და დამატებითი საიმედო საკეტების დაყენებას. 79 90 68 გელა

იყიდება კბილის სატექნიკო იარაღები და დანადგარები. ბრეზენტის 2- და 4-კაციანი კარვები. 30 23 32

მოვამზადებ რუსულში. 30 39 36

## სხვადასხვა

ვარ 25 წლის, მაქვს უმაღლესი განათლება. ვიმუშავებ ავეჯის, პარფიუმერიის მაღაზიაში. 96 83 55 შორენა

მაქვს სათანადო რეკომენდაცია. მოვუვლი ნებისმიერი ასაკის ბავშვს, ასევე მწოლიარე ავადმყოფს. 8(93) 28 50 12 ნანა

**კახა გიორგაძე!**
**გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს და წინსვლას ცხოვრებაში.**
**ლელა**

შევიძენ "ლაი-ლაის" სიმ ბარათს.
ტელ: 893 319288

**ორგანიზაცია შეიძენს 60 ცალ გენერატოს HONDA-ს მარკის 2,5 კვ. შეთავაზება მოგვაწოდეთ 15 მაისამდე. ტელ: 98 22 04.**










## აფიშა

### თეატრები

- **თეატრალური სარდაფი**
"ბალზამინოვის ქორწინება", რეჟ. ნინო ლიპარტიანი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი
- **კლუბი „სარდაფი"**
მოძრაობის თეატრი, ერთმოქმედებიანი დრამატული ცირკი "მიმიკრია",
რეჟ: კახა ბაკურაძე
დას: 20:00

### საგამოფენო დარბაზები

- **ეროვნული გალერეა**
ედმუნდ კალანდაძის პერსონალური გამოფენა
გახსნა: 15:00
- **„არტ-ორიენტი"**
"აბრეშუმის გზა"
- **გალერეა New Art**
New Art-ისა და "კოდაკის" ფოტოსკოლის კურსდამთავრებულთა გამოფენა
- **თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
80-იანელთა ნამუშევრების გამოფენა
- **„ქარვასლა"**
- **საერთაშორისო გამოფენა Appendix**
ჯგუფური გამოფენის ავტორები: ჰარუნ ფაროკი, ლევან ჭოღოშვილი, მარიცა გოევიჩი, სტეფან ფოშტეტლერი, ორხან ჰუსეინოვი, დავით კარეიანი, კარინე მაწაკიანი, ევა შტელე, გიო სუმბაძე, მატიას ვენერი, გელა კინწურაშვილი, თემურ ჯავახიშვილი, რაუფ ხალილოვი, ტორა აგაბეკოვა
- **აბრეშუმის ფაბრიკა**
Schweizer Int.
- **დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი**
გურამ წიბახაშვილის, მარიცა გოევიჩისა და ნიკო ლომაშვილის ნამუშევრები
- **„კლუბი 22"**
იოჰან გრიმონპრე
- **9 აპრილის სახელობის პარკი:**
ატელიე ვან ლისჰაუტის "ციხე"
- **გალერეა „არტ-სინთეზი"**
სტივენ ბლუმი
- **საზოგადოებრივ ადგილებში**
წარმოდგენილი იქნება ფილიპ მესტის ნამუშევრები

### კინოთეატრები

- **„ამირანი"**
"საათები"
დას: 14:00; 18:00 ფასი 5-8 ლარი
"გემი მოჩვენება"
დას: 16:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
- **„ელისო"**
"ცისფერი კრუიზი"
დას: 15:00, ფასი 5 ლარი; 19:00, ფასი 7 ლარი
"მზის ცრემლები"
დას: 17:00, ფასი 5 ლარი; 21:30, ფასი 7 ლარი
- **„რუსთაველი"**
"მზის ცრემლები"
დას: 15:00, 19:00, ფასი 5 ლარი
"ცისფერი კრუიზი"
დას: 17:00, ფასი 5 ლარი; 21:30, ფასი 9 ლარი

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**
ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.
მიღების წესები იხილეთ www.dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

გაზეთი 24 საათი
უფასო განცხადებების კვითარი
[illegible]
ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვაკანსიები, მომსახურება, სამუშაო, გაცნობა
[illegible]
15.05.03 N-131

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

## TV პროგრამა 15 მაისი

### რუსთავი - 2
07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
19.00 სერიალი „მაშველები"
19.45 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
00.05 მხ. ფილმი „სიველურე" მთ. რ-ში: კევინ ბეიკონი
02.10 კლასიკა

### პირველი არხი
07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა"
10.15 მხ. ფილმი „განყენების მომენტი"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
14.25 „ქართული მთამსვლელობის ისტორია"
15.15 მხ. ფილმი „უჩინარი ბავშვი ანუ პატარა მოგზაურობა"
16.40 ტელესერიალი „ძილის წინ"
16.55 რამპა
17.00 შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო
17.25 „თბილისი და თბილისელები"
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ჯანმრთელობა"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
22.10 საქართველო არის ესე
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება ?!"
23.55 მხ. ფილმი „დანაშაულის გენეოლოგია".

### პირველი სტერეო
08.00 ტოროლა
11.00 განმ. ქართ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „მისის დაუტფაიერი". მთ.რ-ში რობინ უილიამსი.
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ბრავო „ცუდი ბიჭი" მთ. რ-ში დენის ლირი.
02.00 ღამურა „ხენდრო" მთ. რ-ში ალისია სილვერსტოუნი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი
19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა"
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „ურჩხულთა მეჯლისი"

### კავკასია
12.00 მხ. ფილმი „პერლ ჰარბორი"
15.00 მხ.ფილმი „მიზერი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „გაქრობა"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „სახელმწიფოს მტერი"
23.00 დოკ. ფილმი

### იბერია
08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „ტალღის ქიმზე"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
15.15 მხ. ფილმი „ახალი ჟიანჟველები შარვალში"
17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.45 მუსიკა
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.40 მხ. ფილმი „მთელი მომხიბვლელობით"
21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმ.)
22.00 დიალოგი
00.05 მხ.ფ. „შიშის ფასი"
01.55 მუსიკა

### მეცხრე არხი
09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.45, 19.50, 21.55, 01.55 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
10.25 მულტსერიალი „ბანანების ზოოპარკი"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „გამანადგურებლები"
12.40 მხ. ფილმი „ლიბერესი მუსიკის მიღმა"
14.20 „ტელემეტრი"
14.45 „ევროპის სტადიონებზე"
15.05 მხ. ფილმი „ამერიკული ნამცხვარი"
16.35 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ.სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
18.25 მულტსერიალი „ბანანების ზოოპარკი"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ქართული ფეხბურთი"
21.00 დოკ. ფილმი „პიკასო"
22.00 გადაცემა „ყვითელი კვადრატი".
22.25 მხ. ფილმი „ღალატი"
00.20 მხ. ფილმი „ნამგალი და ურო"

### იმედი
17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
17.10, 00.15 იმედის მელოდიები
18.00, 20.57, 00.10 ახალი ამბების დაიჯესტი
18.05 სერიალი „იუდას ქალი"
19.25 სპორტ. პროგრამა „ესტაფეტა"
19.55 ფანების კინოკლუბი „ეჭვქვეშ"
21.00 ფანების კინოკლუბი (გაგრძელება)
22.45 სერიალი „გაიხსენე ყველაფერი"
23.40 სპორტ. პროგრამა „ესტაფეტა"

### აჭარა
08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკ. ფილმი
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 ზღაპარი „დაბრუნება ოზ-ის ქვეყანაში"
11.00 დოკუმენტური ფილმი „პიკასო"
12.10 კომედია „წვრილმანი თაღლითები"
13.55 სათავგადასავლო ფილმი „ადამიანი რკინის ნიღაბში"
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი"
16.20 მულტფილმი „პრინცი ჰოდონი და პრინცესა რანრანი „
17.30 კომედია „კანადური ბეკონი"
19.30 „პირისპირ"
20.20 კომედია „კურიერი"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
22.40 დოკ. ფილმი
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.00 მხატვრული ფილმი „სპეციალისტი"
03.20 მუსიკა
03.30 დრამა „ამისტადი: აბსოლუტურად დაუვიწყარი სანახაობა"

### VII არხი
09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.45 მობილურები
10.10 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
11.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
12.30 „ბიორითმი" - .
12.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.30 დისნეი და მისი მეგობრები
13.50 კომპიუტერული თამაშები
14.10 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა"
19.35 კომპიუტერული ტექნიკა
20.20 კომპიუტერული თამაშები
20.30 ღამის კაპრიზი" - თემა: „ „.
21.15 მობილურები
22.05 რაგბი - ზე12 - სიდნეი - ჯამილტონი
23.45 „კინოკლუბი „ - „რომისა და მიშელის სასკოლო შეხვედრა". კომედია. რეჟ. დევიდ მერკინი როლებში: მირა სორვინოლაიზა გუდროუ
01.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
01.50 „ბიორითმი" - .

### ОРТ
07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.10 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.05 Комедия „Серебряная свадьба", 1 с.
12.05, 17.25, 00.55 „Фабрика звезд 2"
12.35 Дисней-клуб: „Базз и его команда"
13.15 Худ.фильм „Пропавшая экспедиция", 2 с.
14.30 „Сканер"
15.00 „Если завтра на Марс..."
15.30 „Русский экстрим"
16.15 Худ.фильм „Досье детектива Дубровского", 3 с.
17.55 „Большая стирка"
19.25 „Сами с усами"
21.00 Ток-шоу „Основной инстинкт"
22.00, 00.30 Время
22.40 Комедия „Серебряная свадьба", 2 с.
23.45 „Человек и закон"
00.55 Футбол. Международный турнир на „Кубок Лобановского"
02.35 „Апология"
03.10 Сериал „Пришелец"

### РТР
07.45 „Доброе утро, Россия!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00 Вести
10.45, 22.55 Сериал „Идиот"
11.45 Сериал „Люди и тени 2"
12.45 Вести. Дежурная часть
13.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
14.20 Мелодрама „Перекрестки"
15.15, 18.45 „Экспертиза"
15.30 „Вся Россия"
15.45 Вести - Москва
16.20 Ток-шоу „Что хочет женщина"
17.10 Сериал „Трое против всех 2"
18.15, 05.55 „Агентство одиноких сердец"
19.20, 21.50 Вести. Дежурная часть
19.50, 04.45 „Дорожный патруль"
20.05, 01.30 Вести - Спорт
20.20, 22.30 Местное время. Вести - Москва
20.50 Сериал „Комиссар Рекс"
22.50 „Спокойной ночи, малыши!"
23.55 Сериал „Люди и тени 2"
01.00 Ток-шоу „Вести+"
01.40 Худ.фильм „Легенды осени"
04.15 „Синемания"
05.00 Сериал „Твин Пикс"

### НТВ
07.00 „Утро" на НТВ
09.50 Сериал „Ребята из нашего города"
11.00 „Сегодня утром"
11.25 „Чистосердечное признание"
12.00 „Квартирный вопрос". „Победа в интерьере"
13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.55 „Сегодня"
13.35 Детектив „Золото Югры", 3 с.
14.45 Криминал
15.00 Детектив „Она написала убийство"
16.35 Ток-шоу „Принцип домино". „Мужские недостатки"
18.30 Сериал „Скорая помощь"
19.25 „Очная ставка". „Деревенская вендетта"
20.40 Сериал „Ребята из нашего города"
21.45 Детектив „На углу, у Патриарших 3", 4 с.
23.00 „Страна и мир"
23.40 Сериал „Секс в большом городе"
00.25 Проект Л.Парфенова „Российская империя: Александр-I"
02.20 „Гордон"
03.05 „Кома"
03.35 „Ночь"

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*


ფესტივალი პენელოპა კრუსმა გახსნა

# კანი

## კონკურსში მონაწილე ფილმების სია:

"ნათელი მომავალი", კიოში კუროსავა (იაპონია)
"კარანდირუ", ექტორ ბაბენკო (ბრაზილია)
CE JOUR-La, რაულ რუისი (ჩილე-საფრანგეთი)
"დოგვილი", ლარს ფონ ტრიერი (დანია)
"სპილო", გუს ვან სენტი (აშშ)
"მამა და შვილი", ალექსანდერ სოკუროვი (რუსეთი)
Il Coure Altrove, პუპი ავატი (იტალია)
"პატარა ლილი", კლოდ მილერი (საფრანგეთი)
"კატლეტები", ბერტრან ბლიე (საფრანგეთი)
"ბარბაროსების შემოსევა", დენის არკანი (კანადა)
"მისტიკური მდინარე", კლინტ ისტვუდი (აშშ)
"შუადღის ხუთ საათზე", სამირა მაჰმალბაფი (ირანი)
"იისფერი პეპელა", იე ლოუ (ჩინეთი)
Shara ნაომი კავასი (იაპონია)
Les Egares ანდრე ტეშინი (საფრანგეთი)
"აუზი", ფარნსუა ოზონი (საფრანგეთი)
"ყავისფერი ბოცვერი", ვინსენტ გალო (აშშ)
"ტულს ლუპერის ჩემოდნები", პიტერ გრინუეი (დიდი ბრიტანეთი)
"ტირეზია", ბერტრან ბონელო (საფრანგეთი)
"უზაკი", (თურქეთი), ნური ბილგე ჯეილანი


მინერვა პორტელო Chopard-ის სამკაულით

თამარ ბაბუაძე

### ოქროს სამკაულები კინოში

FTV-იმ ტყუილად კი არ გააკეთა ახალი გადაცემა "მოდა კინოში". ეს, მართლაც, სრულიად დამოუკიდებელი თემაა, რომელიც მრავალ საინტერესო ასპექტს მოიცავს. გადაავლეთ თვალი კინემატოგრაფის ნიმუშებს მუნჯი ეპოქიდან ჰოლივუდის უახლეს პროდუქციამდე, გაიხსენეთ ადრეული მე-20 და 21-ე საუკუნეების ფილმების გმირები და თავადაც დარწმუნდებით, რომ კინემატოგრაფი მოდური ტენდენციების კვლევისთვის ხანგრძლივ ისტორიასა და ზღვა მასალას გვთავაზობს.

მართალია, FTV მხოლოდ 2003 წელს გამოსულ ფილმებს მიმოიხილავს, მაგრამ ეპოქებში "ხეტიალი" და ათასგვარი აქსესუარისა და მოდელის მოსინჯვა ხომ თავადაც შეგვიძლია... თუმცა, მოდით, ეს საქმე მომავლისთვის გადავდოთ. დღეს კი მივყვეთ FTV-ისა და ძვირფასი სამკაულების მწარმოებელი Chopard-ის პროექტს და ვნახოთ, როგორია ძვირფასი აქსესუარების მოდა 2003 წელს. თანაც, მაისში და თანაც, კანში – ქალაქში, რომელიც წლის უმნიშვნელოვანეს კინო-ფესტივალს მასპინძლობს.

გახსოვთ, ალბათ, წლევანდელი "ოსკარი" ბრილიანტის იუბილეს ზეიმობდა, რის გამოც, ბრილიანტის სამკაულების მთელ ტანზე "ასხმა" მსახიობებისთვის ლამის საღამოზე დასწრების ძირითად მოთხოვნად იქცა. კანი წელს რაიმე განსაკუთრებულ იუბილეს არ ზეიმობს, თუმცა, იქაურები ძვირფასი აქსესუარების "ასხმაში" ჰოლივუდელებს მაინც სჯობიან.

"ოსკარის" ცერემონიალისა და კანის ფესტივალის "შეპირისპირებითი დახასიათება" კიდევ მრავალ სხვა ასპექტშიც შეიძლებოდა. თუმცა, რახან მოდაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, სწორედ ძვირფასი კაბებისა და სამკაულების საკითხი გამოვყავით და აქვე კანის უპირატესობაც ვაღიარეთ: გარდა იმისა, რომ ფრანგულ რივიერაზე გამართული საერთაშორისო ფესტივალი "ოსკარს" ხანგრძლივობით და კიდევ სხვა რაღაცეებით ჩაგრავს, არის კიდევ ერთი განსაკუთრებული დეტალი, რომელიც მას კიდევ უფრო უპირატესს ხდის – კანის ოფიციალური პარტნიორი, უკვე რამდენიმე წელია, გახლავთ Chopard-ი – ძვირფასი სამკაულების მწარმოებელი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ფირმა. სამხრეთულ მზეზე აბრჭყვიალებული ბრილიანტების, ზურმუხტებისა და ლალების სიუხვესაც სწორედ ეს ფირმა უზრუნველყოფს.

მეტიც: გარდა იმისა, რომ კანში ჩასული მსახიობები სხეულს Chopard-ის სამკაულების გარდა არაფერს აკარებენ, გამარჯვებულთათვის გადასაცემ ჯილდოებსაც – "ოქროს პალმისა" და "ოქროს კამერის" ჩათვლით, სწორედ Chopard-ი ამზადებს.

ერთი სიტყვით, Chopard-ი, როგორც ფირმის წარმომადგენლები ამაყობენ, კანის ფესტივალზე მოვლენათა ცენტრში ტრიალებს. წელს, ფირმა მთავარ ღონისძიებას 22 მაისისთვის გეგმავს. იგი FTV-სთან ერთად "ნოგა ჰილტონის" ვიპ-დარბაზში საზეიმო ვახშამს მოაწყობს. წვეულებაზე, ბუნებრივია, ყველას Chopard-ის სამკაული ეკეთება.

თუმცა, ფირმა კანში ჩასულ სტუმრებს არც 22 მაისამდე მოაწყენს. იმავე "ნოგა ჰილტონში" Chopard-ის საპატიო სტუმრებს ყოველდღიურად გაუმასპინძლდებიან საუზმით, ლანჩით, სადილით; "ფორტეპიანოს ბარში" კი მათ დღის ნებისმიერ მომენტში შეეძლებათ დასასვენებლად და მუსიკის მოსასმენად შევლა. Chopard-ი აწყობს სპეციალურ გამოფენასაც, რომელიც "ოქროს პალმის" ისტორიას ასახავს, კანის ფესტივალის პირველი წლებიდან დღემდე.

ეს ისტორია, მართლაც, საინტერესოა. სანამ Chopard-ი კანს დაუმეგობრდებოდა, "ოქროს პალმა" განსაკუთრებული დიზაინით არ ბრწყინავდა. 1998 წლიდან კი გაფორმდა კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც მთავარი ჯილდოების ახლებური კონცეფციის შემუშავება Chopard-ის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, კაროლინ გროუზი-შეფელეს დაევალა. ბროლის სწორკუთხა ჩარჩოში ჩასმული, ყვითელ ოქროში ჩამოსხმული პალმა პიედესტალზე დგას და იქვე გაკრული ხელით აწერია სიტყვა Chopard – ასე გამოიყურება "ოქროს პალმა" 1998 წლის შემდეგ. ფირმის დიზაინერებმა განაახლეს ორი მინი-პალმაც და "ოქროს კამერაც" – ახალგაზრდა რეჟისორისთვის.

შარშან Chopard-ი კიდევ ერთი ფაქტის გამო იწონებდა თავს. ბრაიან დე პალმას ფილმში "საბედისწერო ქალი" ხომ სწორედ Chopard-ის ძვირფასი სამკაულებია გამოყენებული. ვისაც ფილმი აქვს ნანახი, კარგად ეხსომება საპირფარეშოს სცენაც, რებეკა რომინ-სტამოსის მონაწილეობით და ის გველის ფორმის ოქროსა და ბრილიანტის სამკაული, რომელიც ქალის ტანზეა შემოხვეული. ეს ხელოვნების ნიმუშიც Chopard-ის დიზაინერების ფანტაზიის ნაყოფია...

ახლა კი, მოკლედ მოგახსენებთ იმ ვარსკვლავების შესახებ, რომლებიც Chopard-ის სამკაულებით შარშანდელ კანზე იწონებდნენ თავს და მასზე უარს, ალბათ, არც წესლ იტყვიან. ესენია: შერონ სტოუნი, შარლოტა რემპლინგი, რებეკა რომინ-სტამოსი, მელანი გრიფიტი, ანტონიო ბანდერასი, ჯერი ჰოლი, სერ ელტონ ჯონი, ვუდი ალენის მეუღლე სუნ ი, მილა იოვოვიჩი, სოფია კოპოლა და კიდე ბევრი სხვა.

### კინო-პილიგრიმები და კანის სამზადისი

"ვგიჟდები ამ კინო-ფესტივალზე, ყოველთვის ბევრ ნაყინს ვყიდი ხოლმე", - უცხადებს "ბი ბი სი"-ს ჟურნალისტს კანელი მენაყინე, რომელიც იქვე, კანის სასახლესთან ვაჭრობს. ნაყინის გამსაღებელთა რიცხვმა ქალაქში, მართლაც, საგრძნობლად მოიმატა. ფესტივალზე დასასწრებად ხომ 150 ათასამდე სტუმარი ჩავიდა. მათგან 4 ათასი ჟურნალისტია.

თუმცა, წელს საფრანგეთის პროფკავშირებმა ეს მენაყინეცა და ფესტივალის ორგანიზატორებიც საშინლად ანერვიულა. მოსალოდნელი საპენსიო რეფორმის გასაპროტესტებლად მოეწყო 24-საათიანი გაფიცვა, გადაიდო საჰაერო რეისების 80 პროცენტი, სარკინიგზო მარშრუტების ორი მესამედი და კანში მიმავალი სტუმრები რამდენიმე საათით პარიზში გაიჭედნენ. შემდეგ კი, როდესაც დანიშნულების ადგილზე ჩააღწიეს, ტრაპიდან გადმოსულებმა პირველი რაც დაინახეს, საფრანგეთის ჯანდაცვის მინისტრის გაფრთხილება იყო – ატიპური პნევმონიის შესახებ. მართალია, აზიელმა სტუმრებმა სამედიცინო ექსპერტიზა კანში ჩასვლამდე გაიარეს, მაგრამ ისინი მკაცრად გააფრთხილეს, რომ ნებისმიერი საეჭვო სიმპტომის შემთხვევაში დაკავშირებოდნენ კანელ ექიმებს.

ნერვიულობის კიდევ ერთი მიზეზი გახლდათ ტერორიზმის საფრთხეც. ფესტივალის ორგანიზატორებმა ღიად გამოაცხადეს, რომ უსაფრთხოების მკაცრ ზომებს იღებდნენ და რომ მნიშვნელოვან პუნქტებს პოლიციელთა ხუთი ესკადრონი გააკონტროლებდა – ჰყვება "ლოს ანჯელეს ტაიმსის" ჟურნალისტი, რომელსაც კანში ჩასვლა დანარჩენებივით გაუჭირდა.

ასე რომ, თუ წინა წლებში ფესტივალის მთავარ სკანდალებს თავად ფილმები ქმნიდნენ, წელს პრობლემურობის ფუნქციას პოლიტიკა და მომაკვდინებელი ვირუსი ითავსებს.



ჟიურის თავმჯდომარე პატრის შერო ფესტივალს გახსნილად აცხადებს


ჟიურის წევრები მეგ რაიანი, აიშვარია რაი და სტივენ სოდერბერგი


შარშანდელი გამარჯვებული რომან პოლანსკი


შერონ სტოუნი, მილა იოვოვიჩი და რებეკა რომინ-სტამოსი


რებეკა რომინ-სტამოსი, ანტონიო ბანდერასი და მელანი გრიფიტი

არადა, ჟურნალისტები იგონებენ იმ წელს, როდესაც გასპარ ნოეს ფილმის Irreversible ჩვენებისას ოცამდე მაყურებელს გული წაუვიდა და მათ მოსასულიერებლად ჟანგბადის ბალონები დასჭირდათ. პუბლიკამ ვერაფრით გაუძლო გაუპატიურების 9-წუთიანი სცენისა და ხანძრის ჩასაქრობი ბალონით თავის გახეთქვის ეპიზოდის ცქერას. "მთელი 25 წლიანი კარიერის განმავლობაში კანის ფესტივალზე მსგავსი არაფერი მინახავს", - ამბობდა მაშინ ლეიტენანტი ჟერარ კურტელი, ფესტივალის მეხანძრეთა ბრიგადიდან, რომელიც, ალბათ, ხანძრის ჩასაქრობი ბალონის არადანიშნულებისამებრ გამოყენების გამო იყო აღშფოთებული.

ასეა თუ ისე, მაინც სავარაუდოა, რომ ტერორიზმსა და ატიპურ პნევმონიას, ფილმები მთელ პასუხისმგებლობას არ გადააბარებენ. მართალია, ისეთმა ხმაურიანმა სახელებმა, როგორებიცაა კვენტინ ტარანტინო და ემირ კუსტურიცა, ფესტივალისთვის ფილმების დასრულება ვერ მოასწრეს, მაგრამ კანშია ლარს ფონ ტრიერი და ფრანსუა ოზონი, სამირა მაჰმალბაფი, ვინსენტ გალო და სხვები. ასე რომ, ალბათ, ხმაურიანი და გრანდიოზული პრემიერები არც წლევანდელ კანს მოაკლდება. რაც შეეხება მორალისტებს, ალბათ, გასაპროტესტებლად მიზეზს ისინი წელსაც გამონახავენ. მართალია, არსად ჩანს მიჰაილ ჰანეკეს "პიანისტი" და ვინსენტ გალოს ეროტიკული სცენები ფილმიდან Trouble Every Day, მაგრამ სკანდალისთვის საბაბს აბა, რა გამოლევს. მით უფრო, რომ ჰანეკე კონკურს გარე პროგრამაში ახალ სურათს წარმოადგენს, ვინსენტ გალოს ფილმი "ყავისფერი ბოცვერი" კი კონკურსში მონაწილეობს.

უბრალო და მშვიდობიან დამსვენებლებს კი, რომელთაც კინო-ჩვენებებზე დასწრების უფლება არ აქვთ, კანზე წარდგენილი ფილმების ნახვა მაინც შეეძლებათ. სპეციალურად მათთვის პლაჟებზე დამონტაჟებულია დიდი ეკრანი, რომელზეც ფესტივალზე ნაჩვენებ ფილმებს გაიმეორებენ. ტურისტებიც ორმაგ სიამოვნებას მიიღებენ – დატკბებიან ფრანგული რივიერით და თან ახალ ფილმებს ვარსკვლავიანი ცის ქვეშ ნახავენ.

მოგეხსენებათ, წელს კანის ფესტივალი ფედერიკო ფელინის იხსენებს. დარბაზებში გაისმის ნინო როტას მუსიკა ფელინის ფილმებიდან. ფელინის სახელი 2003 წლის ფესტივალის ოფიციალურ კალენდარზეც კი დომინირებს. თუმცა, საინტერესოა, რა რეაქცია ექნებოდა თავად დიდ რეჟისორს, რომ ენახა ის კინოფირის ჩასადები მრგვალი ქილა, რომელსაც კანის შოკოლადის მაღაზიებში გარშემო ტრიუფელებს უწყობენ, შოკოლადით ავსებენ და შოკოლადითვე აწერენ: "ეძღვნება ფელინის", შემდეგ კი გემრიელად მიირთმევენ, თქვენ წარმოიდგინეთ, სიტყვა ფელინისაც კი...

### კანი და გლობალური პოლიტიკა

2003 წელს კანი 56-ედ იმართება. არავინ იცის, ზუსტად, მთელი ამ დროის განმავლობაში ფესტივალი რამდენჯერ გამხდარა პოლიტიკური იდეების მქადაგებელი. თუმცა, ფაქტია, რომ პოლიტაქტიურობით კანში რეჟისორები წელსაც გამოირჩევიან. წლევანდელი ფილმებიდან, ამ მხრივ, აღსანიშნავია ორი სურათი, რომლებიც მეტად უჩვეულო გადასაღებ მოედანზე – ქაბულში გადაიღეს, თანაც საომარი ოპერაციების დასრულებიდან მალევე. საუბარია, ირანელი სამირა მაჰმალბაფის "შუადღის ხუთ საათზე", რომელიც კონკურსში მონაწილეობს და ბევრის ფავორიტადაც ითვლება და ავღანურ-იაპონურ სურათზე "უსამა", რომელსაც კანში დამოუკიდებელი პროგრამის ფარგლებში აჩვენებენ. ფილმის რეჟისორია სედიჰ ბარმაკი.

ასე რომ, პოლიტიკა კინოს ჩარჩოებს წელსაც გაარღვევს. თუმცა, კანის ისტორიაში მოიძებნება ისეთი ფაქტებიც, რომელთა გამოც შეიძლება დავასკვნათ, რომ ხანდახან პოლიტიკა არათუ არღვევს კინოს ჩარჩოებს, არამედ მისთვის დიდი ზიანიც მოაქვს. იგულისხმება 1939 წლის ინციდენტი. მაშინ ფესტივალის ჩასატარებლად ყველაფერი მზად იყო. 1 სექტემბერს ღონისძიება ოფიციალურად გაიხსნა კიდეც და სტუმრებმა ფილმი, "კუზიანი ნოტრდამიდან" ნახეს ჩარლზ ლოუტონის მონაწილეობით. თუმცა, მეორე დილით ჰიტლერი პოლონეთში შეიჭრა და ერთი დღის წინ დაბადებული ფესტივალიც ასე დაიხურა. დაიხურა 1946 წლამდე, მაგრამ პრობლემები არც შემდეგ გამოელია – 1948 და 1950 წლებში საერთოდაც არ ჩატარდა - ფინანსური კრიზისის გამო. ფესტივალი გადაიდო 1968 წელსაც. მაშინ საფრანგეთში საშინლად არასტაბილური პოლიტიკური კლიმატი სუფევდა და მაღალი მატერიებისთვის არავის ცხელოდა. სწორედ იმ წელს მოხდა კიდევ ერთი გაუგონარი პრეცედენტი – კანის სასახლეში ფილმების გარეშე მისულმა ფრანსუა ტრიუფომ და ჟანლუკ გოდარმა სცენა "დაიპყრეს" და ის პოლიტიკურ ფორუმად აქციეს...

ბუნებრივია, წელს საქმე აქამდე არ მივა. ფესტივალზე არც ამერიკა-საფრანგეთის ერაყული ომის დროს დაძაბულ ურთიერთობას გაიხსენებენ. მით უფრო, რომ ჟიურიში ერთმანეთის გვერდით ფრანგი და ამერიკელი შემფასებლები ისხდებიან და ღირსეულ ფილმებს ერთად გამოავლენენ...

ასე რომ, კანის ფესტივალი უკვე დიდი ხანია "დაღვინდა" და იქცა იმ ადგილად, სადაც კინო-ინდუსტრიის ბიზნესის 50 პროცენტი იჩარხება. თუმცა, ევროპული და განსაკუთრებით კი სამხრეთული ტემპერამენტი კანში მაინც იჩენს ხოლმე თავს და ამიტომ ფესტივალზე გამოძახებულ პოლიციელებსაც საქმე არასდროს ელევათ. დარბაზებში სიჩუმისკენ მოწოდებაც ხშირად გაისმის, რადგან მაყურებელი ათვალწუნებული ფილმისადმი უკმაყოფილებას გულწრფელად და ხმამაღლა – სტვენით გამოხატავს. წინათ, პუბლიკამ "ოქროს პალმის" მფლობელ ფილმებს "სატანის მზის ქვეშ", "მოცეკვავე წყვდიადში" და "ველურ გულს" უსტვინა. წელს რომელ რეჟისორს გაწირავს პუბლიკა ჯერ უცნობია. თუმცა, დაწუნებულთა შორის რომ პენელოპა კრუსი არ მოხვდება, ფაქტია. ეს ქალბატონი ხომ დაახლოებით ისეთივე "საყვარელი გოგონას" იმიჯით სარგებლობს, როგორიც ჯულია რობერტს აქვს ჰოლივუდში. ამიტომაც კრუსის ღიმილს გუშინ კანელები საპასუხო თბილი ღიმილით შეხვდნენ და იმასაც იოლად შეეჩვივნენ, რომ "ფანფან ტიულპანში" პენელოპამ ჯინა ლოლობრიჯიდას მაგივრად ითამაშა. კანის ფესტივალი გუშინ სწორედ ამ ძველი ფილმის რიმეიქმა გახსნა.

დღეს კანში კონკურსში მონაწილე რაულ რუიზის ფილმს Ce Jour-La-ს უჩვენებენ. ასევე შედგება ჰოლივუდელი პრომოუტერების მიერ რამდენიმე კვირის წინ "აყვირებული" "მატრიცა-2"-ის პრემიერაც, იტალიელი მონიკა ბელუჩისა და კიენუ რივზის მონაწილეობით. სხვათა შორის, ქალაქში დადის არნოლდ შვარცნეგერიც და ენერგიულად ცდილობს, კინო-ინდუსტრიის წონიანი წარმომადგენლებისკენ მიპყრობილი უზარმაზარი ყურადღების ნაწილი მაინც საკუთარ ფილმზე "ტერმინატორ-3"-ზე გადაიტანოს. საინტერესოა, გამოსდის რამე თუ არა...

მოკლედ, ჯერაც ყველაფერი წინ არის და ფესტივალის ჟიურის, პატრის შეროს თავმჯდომარეობით, მართლაც, უზარმაზარი სამუშაო აქვს შესასრულებელი. ღირსეული ნამუშევრების ამორჩევა საკმაოდ ძლიერი ფილმებით დაკომპლექტებული კონკურსიდან ხომ ძალზე რთული ამოცანაა.

# კაბალისტიკა და ევროები



მადონა

*ამბობენ, მადონას სწორედ ამ ფსევდოებრაულმა სწავლებამ მოუტანა ბედნიერებაო. თურმე კაბალას სიყვარულისა და ფულის მოტანა ძალუძს! მსოფლიომ ახალი სწავლება სასწრაფოდ აიტაცა, მორწმუნე ებრაელები კი აღშფოთებული არიან – და სავსებით სამართლიანად.*

წესით, ის, რასაც 44 წლის მადონა აკეთებს, ნორმალურ ადამიანებს ნამდვილად არ უნდა ვნებდეს: უკვე მრავალი წელია, ლოს ანჯელესში, "კაბალას ცენტრში" ჩადის ხოლმე, სადაც, მისი თქმით, ცხოვრების სირთულეების დაძლევას სწავლობს. "სახელი და დიდება მნიშვნელოვანი არაა. მთავარია, კარგი ადამიანი იყო," ქადაგებდა მადონა გერმანიის ტელეარხის, RTL-ის საგანგებოდ მისადმი მიძღვნილ გადაცემაში. მის მკლავს დემონსტრატიულად ამშვენებდა "კაბალისტების" წითელი ლენტი.

ამ საქმით ლიზ ტეილორიც ყოფილა გატაცებული, ისევე, როგორც ბარბარა სტრეიზანდი და მიკ ჯაგერი. თუმცა, იმისთვის, რომ კაბალას მიმდევარი გახდეთ, პოპულარობა სულაც არაა აუცილებელი.

კაბალა საუკუნოვანი ტრადიციის მქონე, ძალიან რთული ებრაული საიდუმლო სწავლებაა, მაგრამ ფილიპ ბერგმა, რომელიც ამჟამად 73 წლისაა და ლოს ანჯელესის ცენტრის ხელმძღვანელი გახლავთ, მოღვაწეობა 30 წლის წინათ დაიწყო და ყველაფერი ფრიად გაამარტივა: ერთი-ორი კაბალისტური ელემენტი ეზოთერიულ სწავლებებთან შეაზავა, ფსიქოლოგების ნაცადი ხრიკებიც ზედ დაურთო და მრავალრიცხოვან ბედნიერების მსურველთაგან ჯგუფები ჩამოაყალიბა.

ამჟამად ამ ცენტრს მთელ მსოფლიოში 50-ზე მეტი ფილიალი აქვს, მათ შორის ერთი გერმანიაში, ჰანოვერში.

ამ ფილიალის ხელმძღვანელი, ჰანან ნაორი, 51 წლისაა, მაგრამ თავად ირწმუნება, 5663 წლისა ვარო – პირველად ხომ არ ცხოვრობს! ის ისრაელში დაიბადა, მეუღლესთან ერთად 1988 წელს გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად, მისი უფროსი ვაჟი კი კაბალას შტატებში ეუფლება.

შესავალი კურსი, რომელიც რვა საღამოს განმავლობაში ტარდება, 250 ევრო ღირს. შემდეგ ძირითადი კურსი იწყება, რომელსაც "მეექვსე გრძნობა" ჰქვია. ეს ამბავი შემდეგში გამოიხატება: ჯგუფის ყოველ წევრს ურიგებენ თითო ნაჭერ პომიდორს, თითო ნაჭერ კიტრს, კენჭს, ყვავილს და ჭანჭიკს. ყველამ უნდა წარმოიდგინოს, რომ ეს ობიექტები უზარმაზარია და მათში შეღწევა უნდა სცადოს.

ეს ყველაფერი შესანიშნავად ფუნქციონირებს. მაგალითად, მოხუცი ქალბატონი სეანსის შემდეგ დანარჩენებს უყვება: "კიტრში უმიზნოდ ვიყავი, მაგრამ პომიდორში თავს ისე ვგრძნობდი, როგორც დედის საშოში". ერთ ახალგაზრდა ქალს კენჭთან უბრალოდ უსაუბრია, ჭანჭიკში კი თავის მფარველ ანგელოზს შეხვედრია. მამაკაცები უფრო პრაგმატულნი აღმოჩნდნენ: "პომიდორში როცა ვიყავი, ხახვზე, რეჰანზე და ახალგამომცხვარ პურზე ვფიქრობდი".

ამის შემდეგ დიდი ვაი-ვიშითა და ტირილით "ბლოკადების მოხსნა" ხდება, 5663 წლის ჰანან ნაორი ერთ-ორ შეგონებას აკეთებს, მერე „ბითლზის" სიმღერას All You Need is Love-ს შემოსძახებს და ჯგუფის წევრები შინისაკენ გასწევენ. სემინარი სულ შვიდსაათიანია, თითო საათი მხოლოდ 28 ევრო ღირს.

აღშფოთდით? სულ ტყუილად! ჰანან ნაორი ამას მარტივად ასაბუთებს: "ხალხი კინოშიც დადის, ტირის და მერე სახლში ბრუნდება. ამიტომ რა, სატირალი ფილმები უნდა ავკრძალოთ?"

მართალია, კინოსთვის შესაწირავს არავინ გასცემს. მოძღვრის სიტყვები კი - "შენ განსაკუთრებული ხარ" - მოწოდებასავით ჟღერს. მაგალითად, ვინმე ოლაფ კუბეს (ბავშვი არ გეგონოთ, ორმოცი წლის კაცია) ამ გზით 36 ათასი ევროს შეწირვა აკისრებინეს. არავის დაუძალებია, თვითონ გაბრიყვდა, ეგონა, სემინარებს გადავრჩები და უფრო იოლად მეშველებაო...

ჰანოვერელი მორწმუნე ებრაელები ძალიან შეწუხებული არიან – შიშობენ, რომ ნაორის სიხარბის გამო მათაც ვერცხლთმოყვარეობას დასწამებენ. ქალაქის მთავარმა რაბინმა, მარკ შტერნმა თქვა, რომ "ეს ძალიან ცუდი ამბავია. ებრაულად შეფერილი საინტოლოგიაა, კაბალასთან არაფერი აქვს საერთო".


## სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

2003 წლის 7 აგვისტო.

MBA
MSc

მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950 სანქტ-პეტერბ. ჩ.

BA (Hons)

10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).

B. Eng (Hons)

£ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

1600$-ის (£ 1000)

12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08; +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67


# მე რობი უილიამსი მქვია




თავისი კარიერის განმავლობაში ბრიტანელმა მომღერალმა რობი უილიამსმა მთელს მსოფლიოში 28 მილიონი ალბომის გაყიდვა შეძლო, მაგრამ ამერიკაში აღიარება დღემდე ვერ მოიპოვა. მისი ახალი ალბომის ყიდვა ამერიკელებს აშკარად არ უნდათ. არადა, ვარსკვლავი ამერიკული ბაზრისთვის სასოწარკვეთილი იბრძვის, ბოლო დროს საკმაოდ წარმატებულადაც - ნიუ იორკში ჩატარებულ კონცერტზე უკვე 15 ათასი კაცის შეგროვება შეძლო. მომღერალმა დარბაზს ამ სიტყვებით მიმართა: "თუ არ მოგწონთ, ამის თქმა ხომ მაინც შეგიძლიათ?"

აღიარებულ მუსიკოსს შეერთებულ შტატებში საკმაოდ გულგრილად შეხვდნენ. ამიტომ რობერტ დე ნიროს მიერ ორგანიზებული ახალი საერთაშორისო კინოფესტივალის, Tribeca-ს გახსნაზე რობიმ უფასო კონცერტი ჩაატარა. ის ბრბოს სულ უმეორებდა: "მე რობი უილიამსი მქვია!" როგორც გაირკვა, სწორად იქცეოდა, რადგან მრავალ დამსწრეს მანამდე მისი სახელიც კი არ ჰქონდა გაგონილი.

ოცდაათწუთიანი გამოსვლის შემდეგ, რამდენიმე გოგონა უკვე რობის სახელს ამღერებდა – ჩანს, გაკვეთილს ფუჭად არ ჩაუვლია.

# სიმღერა სადამისთვის

ეგვიპტელი მომღერალი, შაბან აბდელ-რაჰიმი თავის სიმღერებში ხან ამერიკელებს ლანძღავდა, ხან ისრაელის პოლიტიკას და ხან სადამ ჰუსეინს. ახლა კი უცებ ერაყელი დიქტატორის სადიდებელი სიმღერა დაწერა.

ამ ახალი, უკვე ჰიტად ქცეული სიმღერის სახელწოდებაა "სადამის ჯოჯოხეთი ამერიკელთა სამოთხეს სჯობს". მასში ნათქვამია, რომ ერაყელები უმადური ხალხია – აბა, ექს-პრეზიდენტის ძეგლის ჩამოგდება იქნებოდა? თავის ახალ ალბომში შაბან აბდელ-რაჰიმი ერთ სიმღერას ერაყის ინფორმაციის მინისტრსაც უძღვნის. არაბული გაზეთის, "ალ ჰაიათისთვის" მიცემულ ინტერვიუში მომღერალმა მას "ძვირფასი კაცი" უწოდა.

აბდელ-რაჰიმის ცვალებადობა და უპრინციპობა საზოგადოებას, როგორც ჩანს, სულ არ აღიზიანებს. ის ჯერ კიდევ 2001 წელს მღეროდა, "ერაყი მძულსო", ახლა კი სადამის დიდებას გალობს, და ორივე შემთხვევაში მისმა სიმღერებმა დიდი წარმატებით ისარგებლა. მისი უკანასკნელი სიმღერა 100 ათასიანი ტირაჟით გაიყიდა, და ამას კიდევ ერთი მილიონი უკანონოდ გაკეთებული ასლიც დაერთო...





თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24


## კროსვორდი



**ჰორიზონტალურად**: 1. ძველ ქართულ სამართალში - სადავო საქმის გამრჩევი, მოსამართლე; 3. ძვ. სოფელი და ციხე მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე (ცხინვალის რაიონში); 5. შორისდებული, გამოხატავს შეგულიანებას; დამუქრებას; გაკვირვებას; 7. ხელოვნების სახე; 9. თაფლაისძე, ქართველი ხუროთმოძღვარი (IX-X ს.); 10. ქართველი საბავშვო მწერლის, მღვიმელის სახელი; 11. საფარველი, რომელიც ლამპას უკეთდება მხედველობის დასაცავად; 13. მდინარე შვეიცარიაში; 15. სოფელი სამაჩაბლოში; 16. მდ. ურალის შენაკადი; 17. ქართული ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელშიც კალენდარული თანმიმდევრობითაა დალაგებული მთელი წლის ყოველდღიური საგალობლები; 19. საგანგებოდ დამუშავებული ხის (უმთავრესად წიფლის) სოკო. უძველესი დროიდანვე იყენებდნენ ცეცხლის დასანთებად; 21. სოფელი აჭარაში, ქობულეთის რაიონში; 22. იგივეა, რაც ჩრდილი; 23. მოლდავური და რუმინული მრავალყელიანი ფლეიტა; 24. სოფელი მარტვილის რაიონში; 26. ესპანეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე; 29. სოფელი ონის რაიონში; 30. რუსი ადმირალი; 31. ქალაქი ნიგერიაში, ოიოს შტატში;

**ვერტიკალურად:** 1. (კუთხ) მოლი, ახალი ბალახი ეზოში; 2. საბრძოლო ან ოპერატიული ამოცანის გადასაწყვეტად ჯარების სიღრმეზე დანაწევრებული საბრძოლო მწყობრის შემადგენელი ნაწილი; 3. სოფელი დუშეთის რაიონში; 4. ქართველი საბჭოთა მწერლის, მოსაშვილის სახელი; 5. ძველბერძნულ მითოლოგიაში: სახელი ლამაზი ჭაბუკისა, აფროდიტეს სატრფოსი; 6. შეძახილი ვირის გასარეკად; 8. კაპასი, ანჩხლი; 9. ამბროლაურის რაიონის ორი სოფლის ძველი სახელწოდება; 10. დამარილებული თევზის, ხორცისა და სხვა საკვები პროდუქტების კვამლით დამუშავება მათი შენახვის დროის გასახანგრძლივებლად, აგრეთვე სასიამოვნო გემოსა და არომატის მისაცემად; 11. ახირება; 12. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ქართველი ტომების სახელწოდება ანტიკური და ბიზანტიური წყაროების მიხედვით; 14. სოფელი ჭიათურის რაიონში; 17. ქართველი საბჭ. მსახიობი; 18. ქალაქი აშშ-ში, პენსილვანიის შტატში; 19. იგივეა, რაც ავშარა; 20. სოფელი ჩოხატაურის რაიონში; 24. ნასოფლარი ახალციხის რ-ნში, ახალციხიდან 2 კმ.; 25. შეძახილი ცხენის გასარეკად; 27. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 28. სოფელი დუშეთის რაიონში;


## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.